ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

12 ნოემბრიდან!
3ფ[ფკ სფჯ,ფცსფყ4
ერთად
3hxtekbmfhsekbpqfght,bc4
vtcfvtnjvb
№კფპფლ

cfvif,fsb7 !# yjtv,thb7 @)!@ 1270 (5960) afcb5 #) stshb



# როლანდ ახალაია ალასანიას პროკურატურაში უჩივის


გვ. 3

თუთბერიძე წულუკიანის გადადგომას ითხოვს





ირინა სარიშვილი: ნაციონალები და „ქართული ოცნება“ პოლიტიკაში მესამე ძალას არ გააჭაჭანებენ“ გვ. 2

## ნაციონალები პარლამენტში ბრუნდებიან გვ. 3


გვ. 4

ზაზა ხატიაშვილი: მივმართავ თეა წულუკიანს, დაინტერესდეს მოსამართლეთა საქმიანობით!“

ლადო პაპავა: პენსია 150 ლარამდე გაიზრდება“


გვ. 6



გვ. 3 შალვა ოგბაიძე რასმუსენს მიმართავს


გვ. 4

მიხეილ სააკაშვილი ნატო-ს გენერალურ მდივანს შეხვდა გვ. 2



ივანიშვილს ელჩები არ დახვდნენ გვ. 5



მაია თოფურია: დამაბრალეს, თითქოს მერაბიშვილის და ოქრუაშვილის მოკვლა მინდოდა“

9 771987 938006

2 თეთრიწყაროს გამგეობის შენობასთან დაპირისპირება მოხდა

5 სტუდენტები აჯანყდნენ

6 ზაზა გაბუნია თბილისის განვითარების ფონდთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურას მიმართავს

7 რა წარმატებებს აღწევენ ქუჩის ბავშვები?

კევ]ბ ობსტკბ .ღბსტკბ იფღბ

# ირინა სარიშვილი: ნაციონალები და ქართული ოცნება" პოლიტიკაში მესამე ძალას არ გააჭაჭანებენ"

ნონა ცაბაძე

**ირინა სარიშვილი ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესს ეხმაურება და აცხადებს, რომ სასამართლომ პოლიტიკურად დაბალანსებული გადაწყვეტილება მიიღო. იგი თვლის, რომ სასამართლო ვერ გათავისუფლდა იმ „ჭირისგან", რასაც ჰქვია იყო ხელისუფლების ყურმოჭრილი მონა და მსახური.**



– როგორც ჩანს, დღევანდელ ხელისუფლებას დაავიწყდა ის ბრალდებები და ეპითეტები, რითაც ამკობდა, სრულიად სამართლიანად, წინა ხელისუფლებას. ცოტა სასაცილო ხომ არ არის სისხლისმსმელი, ადამიანების მკვლელი, დამმახინჯებელი, ყველანაირი საზიზღრობის ჩამდენი ბაჩო ახალაიას დაპატიმრება იმ ბრალდებით, რომელი ბრალდებითაც მოხდა.

***– თქვენი აზრით, რატომ მოხდა ასე?***

– ბაჩო ახალაია ალკაპონე არ არის, რომელიც გადასახადების გადაუხდელობის გამო დააკავეს თავის დროზე, იმიტომ, რომ სხვა საბუთი არ არსებობდა. ეს მოხდა და მოხდება ყველა სხვა შემთხვევაშიც თუ საერთოდ გვექნა სხვა შემთხვევები. ერთადერთი რამის გამო ეს ხელისუფლება, როგორც ჩანს, არ აპირებს ამ სისტემის, როგორც სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას. არ აპირებს დანაშაულის დადგენას მთლიანად სისტემის მიმართ და თუ ასე კონკრეტულ სახელებსა და გვარებს გამოეკიდება, ბუნებრივია, მაშინ არც ერთი მათგანის მიმართ არ იარსებებს ხელმოწერილი დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ მე მკვლელი ვარ, ან მე ეს ადამიანი უსამართლოდ დავიჭირე, ვაწამე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. სისტემურად უნდა მომხდარიყო და კიდევ შეიძლება ამის გაკეთება თუ ამისი სურვილი გაჩნდება, წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი რეჟიმის მხილება და აი ამ კუთხით მთელი მაშინდელი ხელისუფლების დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლა, პრეზიდენტ სააკაშვილის მეთაურობით. როგორც კი ჩვენ ერთ კონკრეტულ ადამიანამდე დავიყვანთ ამ ყველაფერს და თან სამი დაპატიმრებულიდან ორს შეღავათს გავუკეთებთ, ჩვენ ამ ადამიანებს ბევრად უკეთეს მდგომარეობას შევუქმნით, ვიდრე აქამდე ჰქონდათ. მე მგონი, საზოგადოების მხრიდან კონკრეტული რეაქციები სწორედ აქეთკენ მიდის. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ ე.წ. თავისუფალი ტელევიზიები დიდი მონდომებით ნაციონალების მხარეს თეა თუთბერიძის მუდმივი მონაწილეობით აშუქებენ და კიდევ იმას გვასმენინებენ, რომ სისხლის მსმელი ბაჩო ახალაია საზოგადო მოღვაწეც ყოფილა, როგორც წიკლაურმა თქვა თავის გამოსვლაში. აი, ამ ყველაფრის აღრევით, ჯერ ერთი, ძალიან ეცემა საზოგადოების თვალში დღევანდელი ხელისუფლების რეიტინგი და ის ძალიან უსუსური ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ეს დაპატიმრება მოხდა და ეს რითი დასრულდება არავინ არ იცის. მოგეხსენებათ ისიც, რომ ბაჩო ახალაია საზღვარგარეთ არავის არ დაუკავებია, ის თვითონ ჩამოვიდა. მან ძალიან სწორი ნაბიჯი გადადგა სათავისოდ, მაგრამ რამდენად ჩამოვიდა ის გარანტიებით, ამას მომავალი გვიჩვენებს. ერთი რამ ცხადია, ამ ფაქტის გათვალისწინებითაც და კიდევ სხვა შეცდომების გათვალისწინებით, რომელიც ამ მოკლე პერიოდში უკვე ნაციონალების დახმარებით დაუშვა ოცნების ხელისუფლებამ, აი ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ დასტურდება ნაციონალების გეგმა, რომელშიც ისედაც ეჭვი არავის არ ეპარებოდა.

***– რომელ გეგმაზე გაქვთ საუბარი?***

– იმაზე, რომ ყველაფერს გააკეთებს 40%-იანი ნაციონალური ოპოზიცია იმისათვის, რომ საზოგადოებაში გააჩინოს ძალიან დიდი იმედგაცრუება დღევანდელი ხელისუფლების. მანამ, სანამ კოალიცია ოცნება დაკავებულია სამინისტროების დაკომპლექტებით და მინდა გითხრათ, რომ ეს პროცესი ძალიან გაჭიანურდა, გაგრძელდა და ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, აი, ამ პერიოდში ყოფილი ხელისუფლება ახერხებს ძალიან კარგი ფეთქებადი წერტილების შექმნას და ხელშეწყობას ამ ფეთქებადი წერტილების შესაქმნელად მთლიანად მთელ საქართველოში. ერთი წუთითაც ეჭვი არ მეპარება, რომ ეს გაფიცვები, რომლებიც მიმდინარეობს ქვეყანაში და რომელთა რაოდენობაც ყოველდღიურად იზრდება, ეს გაფიცვები უსაფუძვლო არ არის და ყველა იმ სკოლაში თუ ნებისმიერ წარმოებაში მართლაც არის პრობლემები, მაგრამ რაღა თქმა უნდა, ჩნდება ეჭვი, რომ ჯერ კიდევ ადგილობრივი ხელისუფლება, ძველი ხელისუფლება, რომელსაც პრეზიდენტიც ჰყავს ერთი წლით დარჩენილი, ძალიან დიდი მონდომებით შეუწყობს ამ ყველა პროცესს ხელს. აი, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მდგომარეობა მოსახლეობისთვის არის ძალიან შემაშფოთებელი. მოსახლეობაში მე ვგულისხმობ იმ უდიდეს ნაწილს, რომელმაც არა ქართული ოცნების სიყვარულით, არამედ ნაციონალური მოძრაობის სიძულვილით და იმ დიდი პროტესტის გამო, ასეთი ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო. უბრალოდ, ერთსულოვნება შეიცვალა პროცენტების მიხედვით, იმიტომ, რომ კოალიცია ოცნებამ 25% პირდაპირ აჩუქა ნაციონალურ მოძრაობას და ამას, მე მგონი, თვითონაც აღარ მალავენ.

***– არდამალვაში რა იგულისხმება?***

– თითოეული მათგანი ვერც ხვდება, როგორც ჩანს, რას ამბობს, როცა აცხადებს, რომ ეს არჩევნები 20-25%-ით არის გაყალბებული. ამასთან ერთად, უკვე ჩნდება ყველაზე მთავარი შეკითხვა, გვყავს კი ჩვენ პარლამენტში ამ ხელისუფლების ოპოზიცია?! რა უნდა გააკეთოს მოსახლეობამ, რომელსაც არ მოეწონება ამ ხელისუფლების მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯი, უნდა მას ეს თუ არ უნდა, მაშინ უნდა დადგეს ნაციონალური მოძრაობის პოზიციაზე. ანუ ამ ე.წ. ოპოზიციის პოზიციაზე. აი, ამას მიაღწიეს სამწუხაროდ ნაციონალური მოძრაობის და დღევანდელი ხელისუფლების უკან მდგომმა ძალებმა, რომ შექმნა უალტერნატივო და ფაქტობრივად უოპოზიციო პარლამენტი, სადაც ჩვენ ვნახავთ ხელისუფლებისთვის ბრძოლას, სკამებისთვის ბრძოლას, მაგრამ აქ არ იქნება არანაირი იდეოლოგიური დაპირისპირება, არანაირი საგნობრივი ბრძოლა ერთმანეთთან, იმდენად, რამდენადაც საგარეო პოლიტიკა არ იცვლება, როგორც ამაში ყველა დარწმუნდა. პირიქით, ეს კიდევ უფრო მკვეთრდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. საშინაო პოლიტიკაში ჩვენ ვხედავთ, რომ არანაირ სისტემურ რეორგანიზაციაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება იყოს. ყველაფერი ძველებურად მიდის და იცვლება მხოლოდ სახელები და გვარები. აბსოლუტურად ყველაფერი რჩება იგივე. ისევ და ისევ აქტუალური ხდება მესამე პოლიტიკური ძალის შექმნის თემა. იმიტომ, რომ ეს სიტუაცია, უნდა ეს ვინმეს თუ არ უნდა, აუცილებლად უნდა მივიდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებამდე და იქ უკვე მოსახლეობამაც თავის მხრივ და პოლიტიკურმა სპექტრმაც კარგად უნდა დაინახოს ის სავალალო შედეგი, რაც ამ არჩევნებმა მოგვცა. ანუ არჩევნებმა კი მოგვცა ახალი გამარჯვებული ხელისუფლება, მაგრამ უოპოზიციო პარლამენტი. ის 25%, რომელიც კოალიცია ოცნებამ აჩუქა თავისი ამერიკელი კოლეგების დახმარებით ნაციონალურ მოძრაობას, ეს 25% რომ რომელიმე სხვა რეალურად ოპოზიციურ გაერთიანებას შეხვედროდა, მაშინ, რა თქმა უნდა, პარლამენტში სულ სხვა სურათი იქნებოდა. თუმცა, როგორც ჩანს, ამის ინტერესი არც ერთ მათგანს არ ჰქონდა. არჩევნებამდეც გარიგების თემაც სწორედ ეს იყო, რომ მხოლოდ ორი ძალა უნდა გასულიყო პარლამენტში. სწორედ ამან გამოიწვია ასე მშვიდად იმ 25%-ის დათმობა და მთელი ოპოზიციის შემოფარგვლა ნაციონალური მოძრაობის წევრებით 40%-მდე. სამომავლო არჩევნებისთვის, რიგგარეშე იქნება ეს თუ რიგითი, არც ნაციონალურ მოძრაობას უნდა ჩამნაცვლებელი, როგორც ოპოზიციის სტატუსით და არც კოალიცია ოცნებას, ანუ რესპუბლიკურ ხელისუფლებას, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, აწყობს ის, რომ მას რეალური ოპოზიცია ჰყავდეს. აი, ეს არის შეფასება, რომელიც ფაქტიურად ჩემი მხრიდან ახალი არ არის, მაგრამ რომელიც უფრო გამკვეთრებულია ამ ბოლო ნაბიჯებიდან გამომდინარე.

***– როგორ ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილმა ვერ შეძლო პროცესების მართვა თუ ის ბოლომდე არ ჩაახედეს საქმეში?***

– ბიძინა ივანიშვილი არც არჩევნებამდე იყო მმართველი ამ პროცესების, ყველაფერი განსაზღვრა მის მიმართ საკმაოდ სამართლიანმა დამოკიდებულებამ ხალხის, იმიტომ, რომ ის, როგორც დიდი ქველმოქმედი, ყველას ძალიან უყვარდა და უმრავლესობაში ძალიან პოპულარული ადამიანი იყო. რაც შეეხება წინასაარჩევნო სამუშაოებს, ყველა ადამიანი ძალიან კარგად ხედავდა, რომ რეალურად ეს სამუშაოები იმდენს არაფერს არ ნიშნავდა, რამდენიც ამ ერთი ადამიანის მიმართ დამოკიდებულება და საბოლოო შედეგი განსაზღვრა, რა თქმა უნდა, ციხის კადრებმა. ამიტომ ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ბიძინა ივანიშვილმა რაიმე სახის პოლიტიკური გამოცდილება შეიძინა. რაც შეეხება მისი, როგორც პრემიერ-მინისტრის მოღვაწეობას, მისი დანაპირებიც და ასევე მოსახლეობის იმედები მის მიმართ, არის კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილის სიმდიდრე. მისი ერთი მილიარდი, რომელიც უნდა ჩაიდოს სასოფლო სამეურნეო ფონდში. მის მიერვე შემსუბუქება ფასების და აწევა ხელფასების. ანუ ადამიანებში მარტივად ასოცირდება ამ პრობლემების მოხსნა არა სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესებასთან, არამედ ამ ერთი კონკრეტული ადამიანის სიმდიდრესთან. ასეთ ვითარებაში, გაქნილი, გაიძვერა და პოლიტიკურ ინტრიგებში უკიდურესად გამოცდილი ნაციონალური მოძრაობის წევრები, თუ დიდხანს გააგრძელებს კოალიცია ოცნება ამ სამინისტროების დაკომპლექტებას და ამაზე მთელი თავისი ენერგიის ხარჯვას, კიდევ ძალიან ბევრი მახის დაგებას მოასწრებს მათთვის ნაციონალური მოძრაობა. პირველივე მახე, რომელიც მათ დაუგეს კოალიცია ოცნებას, პირველივე მახეში აღმოჩნდა კოალიცია გაბმული.

***– რას გულისხმობთ?***

– მე ვგულისხმობ მათი ოჯახის წევრების, ანუ იმ ორი ადამიანის გათავისუფლებას, რომელიც ერთი მათგანი სოზარ სუბარის ძმა იყო და მეორე მათგანი თამაზ თამაზაშვილი, ისიც ასევე ახლო ნათესავი კოალიციის ერთ–ერთი ლიდერისა.

***– თქვენ თვლით, რომ მათი გათავისუფლება მახის დაგება იყო?***

– რა თქმა უნდა, მახის დაგება იყო. ამ მახეს, სამწუხაროდ, კომენტარების გარეშე წამოეგნენ კოალიციის წევრები. ასევე ბიზნესის სფეროშიც გაჩნდა გარკვეული უსაფუძვლო ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ ისევ გაჩნდება ფავორიტი ბიზნესები და არასასურველი ბიზნესები. რაც ასევე კარგად ეტყობა ტელევიზიებსაც. ყველა თავისი მიმართულებით მუშაობს. რაც მთავარია, ყველა მათგანს აქვს ერთი საერთო მიზანი, რაც მათ ასე აერთიანებთ, ანუ ჭაჭანება არ უნდა იყოს მესამე განსხვავებული აზრის. უნდა არსებობდეს თეა თუთბერიძე ერთ მხარეზე და მეორე მხარეს უნდა არსებობდეს ნინია კაკაბაძე. ის რომ არსებობდეს კონკრეტული პოლიტიკური ძალა, რომელსაც არც ერთის და არც მეორის მოსაზრებები მისაღები არ არის, ეს ერთნაირად უნდა დაბლოკოს როგორც მაესტრომ, ასევე მეცხრე არხმა, იმედმა, რუსთავი ორმა და ასე შემდეგ. მე მგონი, ვერავინ ვერ შემეკამათება იმაში, რომ ეს სწორედ ასე ხდება. ამიტომ ერთადერთი გამოსავალი შექმნილ ვითარებაში არის ის, რომ გამოჩნდეს რეალური რესურსი და სურვილი იმისა, რომ რეალურად შეიქმნას მესამე პოლიტიკური ძალა, რომელიც როდესაც ჩვენ სახელისუფლო კრიზისამდე მივალთ, სულ სხვა წონით და პრეტენზიებით მიიღებს მომავალ არჩევნებში მონაწილეობას და როგორც მინიმუმ, იმას მაინც შეძლებს, რომ ხელისუფლება უალტერნატივოდ და ოპოზიციის გარეშე არ დარჩეს პარლამენტში.

## მიხეილ სააკაშვილი ნატო-ს გენერალურ მდივანს შეხვდა



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ნატო-ს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენს შეხვდა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ორმხრივი შეხვედრა პრაღაში ალიანსის საპარლამენტო ასამბლეის 58-ე სესიის ფარგლებში გაიმართა. საუბრის მთავარი თემა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები და ქვეყნის ევროატლანტიკური მისწრაფება იყო.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ნატო-ში ინტეგრაცია ქვეყნის უცვლელი პრიორიტეტია. თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტთან საუბრისას, ანდერს ფოგ რასმუსენმა საპარლამენტო არჩევნებიც შეაფასა და აღნიშნა, რომ პროცესი დემოკრატიულად და გამჭვირვალედ წარიმართა, რასაც ქვეყნისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანია ხელისუფლების დემოკრატიული გზით გადაბარება და დასაფასებელია, რომ საქართველოში ეს პროცესიც წარმატებით მიმდინარეობს.

მიხეილ სააკაშვილი ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიურ სესიას ანდერს ფოგ რასმუსენის პირადი მიწვევით ესწრება.

**ინტერპრესნიუსი**

## თეთრიწყაროს გამგეობის შენობასთან დაპირისპირება მოხდა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობასთან ,,ქართული ოცნების" მხარდამჭერებსა და საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირება მოხდა.

,,ქართული ოცნების" მხარდამჭერები დილიდან გამგეობის შენობასთან არიან მობილიზებული და გამგეობის თანამშრომლებს შენობაში შესვლის საშუალებას არ აძლევენ.

დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც საპარლამენტო უმცირესობის წევრები – პავლე კუბლაშვილი, გოგა ხაჩიძე, ირმა ნადირაშვილი და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დეპუტატი დავით ბეჟუაშვილი ადგილზე მივიდნენ და მოპიკეტეებს სთხოვეს, გამგეობისთვის მუშაობის საშუალება მიეცათ, რასაც დაპირისპირება მოჰყვა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრები პოლიციას რეაგირებას სთხოვენ.

„ქართული ოცნების" 50-მდე მხარდამჭერი თეთრიწყაროს რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და 20-ვე სოფლის გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვენ.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

[illegible]

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

[illegible]

# შალვა ოგბაიძე რასმუსენს მიმართავს

თეა მარხვაიძე

არჩევნების შემდეგ ნაცმოძელებმა გუშინ პირველად გაიღიმეს. მათ ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა მოჰგვარა შვება, რომელმაც თავის მხრივ შეშფოთება გამოთქვა საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო. საქართველოში ბოლო დროს იმდენი შემაშფოთებელი რამ მოხდა, რომ თემურ ლენგიც კი აღშფოთდებოდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო.

ამდენად, რასმუსენის აღშფოთება არ უნდა გაგვკვირვებოდა. თუმცა ალიანსის მამა ამჯერად სხვა მოვლენებზე აღშფოთდა. რასმუსენს არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენები აშფოთებს. ამან ნაციონალები გაახარა. მათმა ოპონენტებმა კი რასმუსენს საყვედური უთხრეს.

საგანგებო განცხადება გაავრცელა შალვა ოგბაიძემ, რომლის ოჯახმაც საკუთარ თავზე იწვნია ნაციონალური რეჟიმის „სიკეთე“. შალვა ოგბაიძის მიმართვას „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ.

– ბატონო რასმუსენ, მე მიჩნდება კითხვები თქვენი განცხადების შემდეგ.

ბატონო რასმუსენ,

თქვენ ბრძანებთ, რომ „დაირღვა სტანდარტი“ და არ შეიძლება პოლიტიკური ოპონენტის დაპატიმრება.

ამასთან დაკავშირებით მე გეკითხებით:

1. ამ წუთშიც კი, სხვა უკანონო პატიმრებთან ერთად, ციხიდან გათავისუფლებას და რეაბილიტაციას ელოდება „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ 42 წევრი, რომლებიც შარშან, 26 მაისს (უმეტესი ნაწილი კი 26 მაისამდე) დააპატიმრეს სწორად პოლიტიკური აქტივობის გამო. რატომ მაშინ არ გამოხატეთ შეშფოთება?



2. ჩემი შვილები სასტიკად აწამეს დაპატიმრების შემდეგ. რატომ მაშინ არ გამოხატეთ შეშფოთება?

3. მე და ბევრ ჩემს თანამოქალაქეს გაუყიდეს სახლ-კარი და საწარმოები მხოლოდ იმიტომ, რომ ვიყავით ოპოზიციური პარტიის წევრები. ჩემი ოჯახის წევრის ბინაში, რომელიც იძულებით აუქციონზე „ვითომ“ გაყიდეს, დღეს პოლიციელი ცხოვრობს. რატომ მაშინ არ გამოხატეთ შეშფოთება?

4. მე და ბევრი ჩემი თანამოქალაქე ხელისუფლების ძალით ჩამოაცილეს საყვარელ საქმიანობას. ხშირად ამ ამაზრზენ პროცესში პრეზიდენტ სააკაშვილის ოჯახის წევრის გამოყენებასაც არ ერიდებოდნენ. რატომ მაშინ არ შეშფოთდით?

5. 2007 წლის 7 ნოემბრის, 2009 წლის 6 მაისის და 2012 წლის 26 მაისის მიტინგების დაშლის დროს ხელისუფლებამ აშკარად გამოიყენა არაპროპორციული ძალა და აკრძალული შეიარაღება. რატომ მაშინ არ შეშფოთდით?

- გულზე ხელი დაიდეთ და ბრძანეთ - თქვენი შვილები რომ აწამონ, თქვენი პოლიტიკური მრწამსის გამო - თქვენ რას მოიმოქმედებდით?

ეს არასრული ჩამონათვალია სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი უკანონობებისა, რომელზეც თქვენ შეკითხვები არ გაგჩენიათ და არც ერთხელ აღშფოთება არ გამოგითქვამთ.

ეს მიძლიერებს ეჭვს, რომ თქვენ, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩემთვის „მხარედ“ იქეცით. მხარედ, რომელიც სააკაშვილის რეჟიმს დემოკრატიული ოპოზიციური ძალის საერთაშორისო იმიჯს უქმნის.

ბატონო რასმუსენ,

ნუ შეუქმნით „ნატოს’-ს სააკაშვილის რეჟიმის დამცველის იმიჯს.

„ნატო“ ხომ პირველ რიგში ადამიანის უფლებადაცვითი ფუნდამენტური პრინციპების დამამკვიდრებელი ინსტიტუტია.

მე მინდა მოვესწრო იმ დროს, როცა საქართველო „ნატო’’-ს წევრი გახდება, ოღონდ ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის სამართლიანი სასამართლოს მიერ გასამართლებული დამნაშავე რეჟიმის გარეშე, – ვკითხულობთ განცხადებაში.

ასეთივე კითხვები საქართველოში გუშინ ძალიან ბევრს გაუჩნდა და სრულიად სამართლიანადაც.

# როლანდ ახალაია ალასანიას პროკურატურაში უჩივის

## თუთბერიძე წულუკიანის გადადგომას ითხოვს

თეა მარხვაიძე

ბაჩო ახალაიას დაკავების ფაქტი ნაციონალებმა პოლიტიკურ დევნად შეაფასეს. ეს შეფასებები რამდენიმეს ძალიან საინტერესოდ გამოუვიდა. ყველაზე ორიგინალური იყო დეპუტატი ნუგზარ წიკლაური. ის ამტკიცებდა, რომ ბაჩო ახალაია ირაკლი ალასანიამ დააჭერინა.

– ის არის ირაკლი ალასანიას პირადი პატიმარი. ბაჩოს დაკავებით ალასანიამ შური იძია როლანდ ახალაიაზე. რომელთანაც ზუგდიდში არჩევნები წააგო. ალასანიამ ეს ვერ მოინელა, – განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

მამა ახალაიას წიკლაურის შეფასება ენიშნა და სათანადო დასკვნებიც გამოიტანა. ახლა თავადაც ფიქრობს, რომ ბაჩოს დაკავება ალასანიას შურისძიებაა.

ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი როლანდ ახალაია მთავარ პროკურორს, არჩილ კბილაშვილს თხოვნით მიმართავს, დაიწყოს გამოძიება თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ, რომელიც, ახალაიას მტკიცებით, წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდში მას უგზავნიდა ე.წ. კრიმინალურ ავტორიტეტს, დანაშაულზე არაერთხელ მხილებულ თემურ გერგაიას, რათა მოგებული არჩევნებიდან კანდიდატურა მოეხსნა.

როგორც მიმართვაშია აღნიშნული, ალასანია ზუგდიდში სიტუაციის უკიდურესად გამწვავებით იმუქრებოდა. თუ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდებოდა, როლანდ ახალაიას დაჭერით ემუქრებოდა.

– გაცნობებთ, რომ 2012 წლის 1-ელ ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებზე კენჭს ვიყრიდი მაჟორიტარ დეპუტატად ზუგდიდის №67-ე საარჩევნო ოლქში. სხვა პირებთან ერთად კანდიდატად წამოყენებული იყო დღევანდელი საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია. ჩემი მხრიდან მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, მეორე დღეს, 2012 წლის 3 ოქტომბერს ი. ალასანიას ხელმძღვანელობით, დაიწყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ხალხის მასობრივი შემოყვანა და დაპირებისამებრ არეულობის მოწყობის მცდელობა. რომ არა ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის დროული რჩევა, სამოქალაქო დაპირისპირება და სამოქალაქო ომის პროვოცირება გარდაუვალი იყო, – ნათქვამია მიმართვაში.

ახალაია მიიჩნევს, რომ ალასანიას ქმედებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები იკვეთება.

თავდაცვის მინისტრმა ახალაიას მიმართვაზე ბევრი იხითხითა თურმე. ის ყოველგვარ მუქარას უარყოფს. ამბობს, რომ ყველაფერს გამოძიება დაადგენს.

კარგი დღე არც თეა წულუკიანს დაადგება. მოძრაობა „SOS“ ხუთშაბათს, 15:00 საათზე იუსტიციის სამინისტროსთან მშვიდობიან საპროტესტო აქციას გამართავს თეა წულუკიანის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით. მოძრაობის წევრები ბაჩო ახალაიას დაპატიმრებას აპროტესტებენ.

– მოძრაობა „SOS“ ხუთშაბათს, 15:00 საათზე გამართავს მშვიდობიან საპროტესტო აქციასა და მსვლელობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან პოლიტპატიმარ ბაჩო ახალაიას მხარდასაჭერად და ქვეყანაში გმირების დაპატიმრების დასაგმობად, ასევე მოვითხოვთ იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის დაუყოვნებლივ გადადგომას, ვინაიდან მისი მინისტრობა პირდაპირ საფრთხის ქვეშ აყენებს ქვეყნის სახელმწიფოებრიობას და მისი ბოლოდროინდელი განცხადებებიც, რომლებიც უხეშად ეწინააღმდეგება დემოკრატიისა და უდანაშაულობის პრეზუმპციის პრინციპებს, არ უტოვებს მას მორალურ და პოლიტიკურ უფლებას იყოს ქვეყნის იუსტიციის მინისტრი. წულუკიანის მიერ გენერალური შტაბის უფროსის, გიგი კალანდაძის დაკავების ფაქტის შედეგად ჩაიშალა ნატოს სამხედრო კომიტეტის საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი ნოემბრის ვიზიტი.

ნატოს მიერ ვიზიტის გადადების ფაქტის დადასტურების შემდეგ, გენერალი კალანდაძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს. რუსეთის მიერ ოკუპირებულ ქვეყანაში, ნატოს სამხედრო კომიტეტის დაგეგმილი ვიზიტის ჩაშლის ფაქტი უნდა შეფასდეს, როგორც პოლიტიკური ქმედება მიმართული საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

მოვითხოვთ – თეა წულუკიანის დაუყოვნებლივ გადაყენებას დაკავებული თანამდებობიდან და აღნიშნულ ფაქტზე გამოძიების დაწყებას. გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ეს იქნება მშვიდობიანი პროტესტი და მსვლელობა იუსტიციის სამინისტროდან მთავარ პროკურატურამდე, მოვიდა დრო, ჩვენ – სამოქალაქო საზოგადოებამ დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ღირსება და დემოკრატიული პრინციპები. ყველა, ვისაც გინდათ ჩვენთან ერთად დადგეთ სამართლიანობისა და დემოკრატიის სადარაჯოზე, შემოგვიერთდით, ბაჩო ახალაიას პატიმრობაში ყოფნა არის საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და შეიარაღებული ძალების შეურაცხყოფა, რაზეც ჩვენ ,,არა“-ს ვამბობთ! ეს არის გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის, – ნათქვამია განცხადებაში.

ეს მოძრაობა ცოტა ხნის წინ შეიქმნა. რომელსაც მხარს თეა თუთბერიძეც უჭერს.

თეა თუთბერიძემ გუშინ გაავრცელა ვიდეო-მიმართვა, რომელიც, მისი მტკიცებით, ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ წაყენებული საქმის ერთ-ერთ მთავარ მოწმეს, მანუჩარ დარასელიას ეკუთვნის.

ვიდეო-ჩანაწერში, ადამიანი, რომელიც თუთბერიძის მტკიცებით, ზემოხსენებული მოწმეა, ამბობს, რომ მას ახალაიას წინააღმდეგ მიცემულ ჩვენებაზე ხელი ძალით მოაწერინეს.

– 2012 წლის 7 ნოემბერს დამიბარეს პოლიციაში, როდესაც იქ მივედი, დამხვდა გამომძიებელი, ასევე პროკურორი თენგიზ ხარებავა. ასევე იქ იყო დაახლოებით ხუთი პოლიციელი. ერთ-ერთმა კომპიუტერში დაწერა ჩვენება, რომელიც წამაკითხეს. იქ ეწერა რაღაც ძალადობის შესახებ, რომელიც მე არ მსმენია და მითხრეს, ხელი მოაწერეო... მე უარი ვუთხარი, რის შემდეგაც მითხრეს, დროზე მოაწერე, 7-დან 10 წლამდე გელოდება და აქედან ვერ გახვალო. ამ ფსიქოლოგიური ზეწოლის და მუქარის ქვეშ იძულებით მოვაწერე ხელი. იქ ასევე მითხრეს, შენ ბაჩო ახალაიაზე რაიმე „გრეხები“ გეცოდინებაო და თუ გვეტყვი, სამშვიდობოს გახვალო, – აცხადებს ვიდეო-მიმართვის ავტორი.

ის არასამთავრობო სექტორს, ასევე სახალხო დამცველის აპარატს დახმარებას სთხოვს.

# ნაციონალები პარლამენტში ბრუნდებიან

**იხარე ერო, მოკვდი მტერო! საპარლამენტო უმცირესობამ ბოიკოტი შეწყვიტა. ქუთაისში სანახევროდ აშენებულ შენობას მათ ზურგი მიმდინარე წლის 7 ნოემბერს აქციეს. თავიდან სხდომას გამოუცხადეს ბოიკოტი, მერე კი საპარლამენტო საქმიანობა შეწყვიტეს. ერის ნაწილს სიხარულისგან, ხოლო მეორე ნაწილს მწუხარებისგან გული რომ არ შეწუხებოდა, დამამშვიდებელი ცნობაც გაავრცელეს.**

თეა მარხვაიძე

ნაცმოძი სხდომათა დარბაზიდან იმიტომ გაიჭრა გარეთ, რომ მეოცნებეებმა მათ მიერ წარდგენილი კანდიდატურა ჩააგდეს. ცოტა ხანში კი განცხადება გააკეთეს და გვამცნეს, თბილისში ვბრუნდებითო და საპარლამენტო საქმიანობას დროებით ვწყვეტთო.

მათმა დროებითმა პროტესტმა 9 ნოემბერს დაგეგმილი სხდომა ჩაშალა. ამის გამო, სხვათა შორის, არც მეოცნებეები შეწუხებულან დიდად. მათაც ეზარებათ ქუთაისში სიარული.

9 ნოემბერს ვიცე-სპიკერმა გია ბარამიძემ პრესკონფერენცია გამართა და გვახარა, პარლამენტში აუცილებლად დავბრუნდებითო. მას არ დაუკონკრეტებია დაბრუნების თარიღი. გუშინ კი გაირკვა, რომ ისინი პარლამენტს დაუბრუნდნენ.

ქუთაისში გუშინ დილითვე ჩავიდა ნაცმოძრაობის წევრი, დეპუტატი ზურაბ მელიქიშვილი.

– ამ პერიოდში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი თბილისში ყოფნა იყო, რადგან პოლიტიკური ნიშნით შეტევა ხორციელდებოდა. ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო ტრიბუნაზე უარის თქმას არ აპირებს და საპარლამენტო განხილვებშიც მიიღებს მონაწილეობას, – განუცხადა ჟურნალისტებს მელიქიშვილმა.

წინ საკმაოდ საინტერესო სხდომები გველოდება. ნაცმოძი აწ უკვე პარლამენტის ტრიბუნიდან გააპროტესტებს ქვეყანაში გამეფებულ უსამართლობას. მათი მტკიცებით, ქვეყანაში არნახულმა უსამართლობამ დაისადგურა.

ისე, საინტერესოა, როგორ ივლიან ერთად საზღვარგარეთ ჩაგრული ნაციონალები და მჩაგვრელი მეოცნებეები. ამას იმიტომ ვკითხულობთ, რომ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობა დაასახელა.

11 საპარლამენტო დელეგაციის შემადგენლობა გუშინვე ბიუროს სხდომაზე გაიტანეს, დღეს კი პლენარულ სხდომაზე საბოლოოდ დაამტკიცებენ.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელი თედო ჯაფარიძე იქნება, დელეგაციაში კი ლევან ბერძენიშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, დავით ბაქრაძე, ჩიორა თაქთაქიშვილი შევლენ, სათადარიგო შემადგენლობაში კი ზაქარია ქუცნაშვილი, გია ვოლსკი, თინათინ ხიდაშელი, თინათინ ბოკუჩავა და გიორგი კანდელაკი იქნებიან.

საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის დელეგაციას თინათინ ხიდაშელი უხელმძღვანელებს, დელეგაციის ძირითად შემადგენლობაში კი გია ვოლსკი, ვიქტორ დოლიძე, გიორგი კანდელაკი, გიორგი ვაშაძე შევლენ. სათადარიგო შემადგენლობაში კი ერეკლე ტრიპოლსკი, ანი მიროტაძე, დავით ონოფრიშვილ, ნიკოლოზ ყიფშიძე, ტარიელ ლონდარიძე იქნებიან.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას დავით საგანელიძე უხელმძღვანელებს და მის ძირითად შემადგენლობაში ზვიად კვაჭანტირაძე, დავით ბერძენიშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, ზურაბ მელიქიშვილი, სათადარიგო შემადგენლობაში კი ირინა იმერლიშვილი, გოგი თოფაძე, ზურაბ აბაშიძე, გიორგი ფეიქრიშვილი, რევაზ შავლოხაშვილი იქნებიან.

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას ირაკლი სესიაშვილი უხელმძღვანელებს და მის ძირითად შემადგენლობაში ირაკლი ჩიქოვანი, გიორგი ბარამიძე შევლენ. ასევე, დელეგაციაში ერთი ადგილი არის განკუთვნილი ფრაქცია „უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარებისთვის“. სათადარიგო შემადგენლობაში კი თედო ჯაფარიძე, ზურაბ აბაშიძე, ლევან ბერძენიშვილი, გიორგი კანდელაკი შედიან.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას დავით უსუფაშვილი უხელმძღვანელებს და მის ძირითად შემადგენლობაში ზაქარია ქუცნაშვილი, ზურაბ აბაშიძე, გიორგი წერეთელი, აკაკი მინაშვილი, სათადარიგო შემადგენლობაში კი ირინა იმერლიშვილი, ვიქტორ დოლიძე, ვახტანგ ხმალაძე, ზურაბ ჯაფარიძე, ლევან ბეჟაშვილი იქნებიან.



საპარლამენტთაშორისო კავშირის დელეგაციას მანანა კობახიძე უხელმძღვანელებს და მის ძირითად შემადგენლობაში ელისო ჩაფიძე, ვახტანგ ხმალაძე, ხათუნა გოგორიშვილი, დავით ბეჟუაშვილი, სათადარიგო შემადგენლობაში კი მურმან დუმბაძე, ზვიად ძიძიგური, გელა სამხარაული, დავით ბაქრაძე, პაატა ლეჟავა იქნებიან.

დემოკრატიის და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის დელეგაციას ზურაბ აბაშიძე უხელმძღვანელებს და მის ძირითად შემადგენლობაში ნანა ყეინიშვილი, ზურაბ ტყემალაძე, დავით საყვარელიძე, კახაბერ ოქრიაშვილი, სათადარიგო შემადგენლობაში კი ზაზა პაპუაშვილი, გედევან ფოფხაძე, ნოდარ ებანოიძე, ვახტანგ ლემონჯავა, დავით ბეჟუაშვილი შევლენ.

ფრანგულენოვანი ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას ზვიად კვაჭანტირაძე უხელმძღვანელებს და მის ძირითად შემადგენლობაში დავით საგანელიძე, თინათინ ბოკუჩავა, სათადარიგო შემადგენლობაში კი გია ჟორჟოლიანი, თეიმურაზ ჭკუასელი და ჩიორა თაქთაქიშვილი იქნებიან.

სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ინიციატივის დელეგაციას გუბაზ სანიკიძე უხელმძღვანელებს, მის ძირითად შემადგენლობაში ზვიად ძიძიგური, რუსლან პოლოსიანი, ალი მამედოვი, დავით ბერძენიშვილი, ნინო გოგუაძე, სერგო ხაბულიანი, პავლე კუბლაშვილი, სანველ პეტროსიანი, აზერ სულეიმანოვი, სათადარიგოში კი მირიან წიკლაური, თამაზ ავდალიანი, კობა სუბელიანი იქნებიან.

ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ძირითად შემადგენლობაში ვიქტორ დოლიძე, დავით ონოფრიშვილი, გია ხეჩინაშვილი, შალვა შავგულიძე, ეკა ბესელია, გიგლა აგულაშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, გიორგი მელაძე, დავით დარჩიაშვილი, ენზელ მკოიანი, სათადარიგო შემადგენლობაში კი გუგული მაღრაძე, ალექსანდრე ქანთარია, თინათინ ხიდაშელი, გიორგი ღვინიაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი იქნებიან.

მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის დელეგაციას ზაქარია ქუცნაშვილი უხელმძღვანელებს და მის ძირითად შემადგენლობაში იოსებ ჯაჭვლიანი, დიმიტრი ხუნდაძე, პაატა ლეჟავა, ნიკოლოზ ყიფშიძე, სათადარიგო შემადგენლობაში კი თემურ ჩხაიძე, შალვა კიკნაველიძე, გია ჯაფარიძე, რამაზ ნიკოლაიშვილი და ტარიელ ლონდარიძე შევლენ.

# მაია თოფურია: დამაბრალეს, თითქოს მერაბიშვილის და ოქრუაშვილის მოკვლა მინდოდა“

თამარ ნინიძე

**2006 წლის 6 სექტემბერს სახელმწიფო გადატრიალებისა და აჯანყების მცდელობის მოტივით სააკაშვილის რეჟიმმა იგორ გიორგაძის მომხრეთა დიდი ჯგუფი დააპატიმრა. პარტია „სამართლიანობის“ წევრებს ბრალი ედებოდათ იარაღის შენახვაში, აჯანყების და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაში, მაგრამ ახლა უკვე გამოჩნდა, რომ ეს საქმე ისევე იყო შეკერილი სააკაშვილის მიერ, როგორც სხვა მრავალი სისხლის სამართლის საქმე.**



გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებების დაცვისათვის“ ოფისში ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა და ამ საქმეზე ე.წ. ცრუ მოწმემ პარტია „სამართლიანობის“ ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელმა პაპუნა შონიამ პრესკონფერენცია გამართეს. პაპუნა შონიამ გაიხსენა, როგორ ახდენდნენ მასზე ფსიქოლოგიურ და მორალურ ზემოქმედებას, რომ მას მიეცა ცრუ ჩვენება. მისი თქმით 2006 წლის 4 სექტემბერს მას გაახსნევინეს ზუგდიდის ოფისი, რათა „რაღაც საბუთები“ მოეძებნათ, მაგრამ ვერაფერი იპოვეს, ამიტომ ის დააკავეს და გადაიყვანეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში. იქ მასზე ხორციელდებოდა ზეწოლა, რომ მას ეთქვა, თითქოს ერთ-ერთი ის პირი იყო, რომელიც მონაწილეობდა სახელმწიფო გადატრიალებაში. მას უნდა მიეცა ცრუ ჩვენება რევაზ გულიას წინააღმდეგ, რომელიც თითქოს იყო ამ გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორი და იგორ გიორგაძესთან დაახლოებული ადამიანი. პაპუნა შონიას ავტომატის მიბჯენითაც აშინებდნენ, შემდეგ ჩამოიყვანეს თბილისში და მისი დაკითხვა ცრუ ჩვენების გამოძალვის მიზნით კუდის შენობაში კვლავ გაგრძელდა. მისგან სასურველი ჩვენება მიიღეს სწორედ ზეწოლის მეთოდით, მაგრამ შონია ამბობს და ამას გელა ნიკოლაიშვილიც ადასტურებს, რომ ის სასამართლოზევე აპირებდა სიმართლის თქმას, მაგრამ ის სასამართლომდე არ მიუშვეს, შემდეგ კი ოჯახზე დაიწყო ტერორი და დაშინება, ემუქრებოდნენ ბავშვებისა და ცოლის გაუპატიურებითაც კი. აიძულებდნენ საქართველოდან წასულიყო. დღეს პაპუნა შონია მზად არის, პროკურატურას ჩვენება მისცეს და ხელი დაადოს იმ გამომძიებლებსა და პროკურორებს, რომლებიც მასზე ზემოქმედებას ახორციელებდნენ.

ამ ეტაპზე ამ საქმეში დაკავებულთაგან სასჯელს მხოლოდ ორი ადამიანი იხდის, რამაზ სამნაძე და კახა ქანთარია. საგულისხმოა, რომ პროკურორები რეზო ზარანდია და მანუჩარ ქაჯაია, რომლებიც დაკითხვის დროს წამების მეთოდებს იყენებდნენ, დღეს სავარუდოდ შეიძლება დაწინაურდნენ. ამის შესახებ მედიას გელა ნიკოლაიშვილმა აცნობა.

ცრუ ჩვენების მიცემის გამო სინანულს განიცდის კიდევ ერთი პირი, სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი, რომელთანაც ცრუ ჩვენების მიცემის სანაცვლოდ საპროცესო გარიგება შედგა და ის გაათავისუფლეს. ის განცხადების შეტანას აპირებს პროკურატურაში, რომ ეს საქმე ხელახლა იქნეს გამოძიებული. მალე ამ საქმეზე ახალი გამოძიება დაიწყება, გელა ნიკოლაიშვილი პროკურატურაში აპირებს განცხადების შეტანას, ეს მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხია, პირველ რიგში, უდანაშაულო ადამიანებს გაამართლებენ და გაუქმდება გამამტყუნებელი განაჩენი, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ვინც ამ საქმის მასალების ფაბრიკაცია მოახდინა და გააყალბა საქმე, დაისაჯოს. საქმე ეხება არა მარტო გამომძიებლებს და პროკურორებს, არამედ მოსამართლეებს.

გუშინდელ პრესკონფერენციას ესწრებოდნენ ასევე ამ საქმეზე მსჯავრდებულები და ახლა განთავისუფლებულები თემურ ჟორჟოლიანი, მაია თოფურია და ზაზა დავითაია, ასევე ირინა სარიშვილი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის მიერ ამ შეთქმულებაში მონაწილეობაში იყო ეჭვმიტანილი, მაგრამ გაურკვეველი მოტივით მაშინ არ დააპატიმრეს. ასევე გელა ნიკოლაიშვილმა განაცხადა, რომ დღემდე ამ ბრალდებით საქმე არ არის აღძრული თავად გიორგაძის მიმართ, გიორგაძე საქართველოში ჩამოსვლას აპირებს და ობიექტური გამოძიებისთვის ჩვენების მიცემას, შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტის საქმესთან დაკავშირებით.

„ახალი თაობა“ **მაია თოფურიას** გაესაუბრა:

– მე მომისაჯეს რვაწელიწად-ნახევარი. ბრალი დამდეს, თითქოს იგორ გიორგაძემ დამავალა, მომემზადებინა ოქრუაშვილის და მერაბიშვილის მკვლელობა და პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის იზოლაცია.

***– საინტერესოა, ჰქონდათ ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულებები?***

– არა, არანაირი მტკიცებულებები არ ჰქონდათ, ამიტომაც იყო ჩვენი სასამართლო დახურული, ადვოკატებს ხელი მოაწერინეს, რომ ჩვენებები არ გახმაურებულიყო. ბრალდება იყო აბსურდული, არარეალური, ცრუ ჩვენებები იდენტურია, ერთი და იგივე ჩვენება არის გადაწერილი, იგივე ორთოგრაფიული შეცდომებიც კი იყო ამ ჩვენებებში. მე უნდა ჩამომეყვანა რუსეთიდან სპეციალურად მომზადებული ხალხი, რომლებსაც აქ ამ დავალებას მივცემდი.

***– როგორი იყო ბიძათქვენის, იგორ გიორგაძის რეაქცია, როცა დაგაკავეს?***

– იმ დროს იზოლირებული ვიყავი, მან ეს მდგომარეობა ძალიან განიცადა, ამ წლების მანძილზე მან გვიპატრონა, იყო საუბრები, რატომ არ ჩამოდის და არ მიდის პროკურატურაში, მსგავსი რამის გაფიქრებაც არ გვინდოდა იმიტომ, რომ საერთოდ უპატრონოდ დავრჩებოდით. დღემდე გვაქცევს ყურადღებას. ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაცია „სამართლიანობა“ დავაფუძნეთ ვარდების რევოლუციიდან ერთ თვეში, 2003 წლის დეკემბერში მოძრაობა „ანტისოროსთან“ ერთად. ჩვენი პარტია იყო მემარცხენე ცენტრისტული მიმართულების. მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით გვინდოდა ხელისუფლების შეცვლა, ჩვენი პოლიტიკური მიმართულება იყო ნეიტრალიტეტი და ნორმალური ურთიერთობა როგორც დასავლეთთან, ისე აღმოსავლეთთანაც.

***– თქვენი განცხადებით მშვიდობიანად ებრძოდით სააკაშვილის რეჟიმს?***

– დიახ, აქციები ჩავატარეთ, მაგალითად, სოროსის გასვენება, ბრმა თემიდა სახედარზე შევსვით, უნივერსიტეტიდან პროფესორების გამოყრა რომ დაიწყეს, პირაკრული იქ ვიდექით. ეს იყო სერიოზული მოძრაობა, კოორდინირებულად ვმოქმედებდით ანტისოროსთან ერთად.

***– ციხეში თქვენზე იყო რაიმე ფორმით ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ზემოქმედება?***

– არა, მაგრამ გამოძიების პროცესში, გამომძიებელმა ლალაძემ შემომთავაზა საპროცესო გარიგება, მემუქრებოდა, თუ ამაზე არ წახვალ, საქმეს დაგიმძიმებთო. ერთ თვეში მუხლი შემიცვალეს ექვსი წლიდან თხუთმეტ წლამდე. მახსენებდნენ, ბავშვები გყავსო და სჯობს მათ მიხედოო.

***– ნორა კვიციანი აცხადებს ინტერვიუში, რომ ჰქონდა ცნობები, თითქოს მისი და თქვენი ლიკვიდაცვია სურდათ, თქვენ გსმენიათ მსგავსი ინფორმაცია?***

– დიახ, ქალთა ციხეში ბუნტის დროს სპეცრაზმის დიდი ტალღა შემოვარდა, ათ წუთში ეს ხმა გავრცელდა, რომ ბრძანება ჰქონდათ ჩვენი ლიკვიდაციის. რომ ჰქონოდათ ასეთი ბრძანება, ისინი მას შეასრულებდნენ.

# ზაზა ხატიაშვილი: მივმართავ თეა წულუკიანს, დაინტერესდეს მოსამართლეთა საქმიანობით!“

გულიკო ბალაძე




საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი მოსამართლეებს, მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების საფუძველზე, დანაშაულში ამხელს და იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს ოფიციალურად მიმართავს მოსამართლეთა კორპუსის შეცვლის აუცილებლობის თაობაზე.

– საქართველოში სააკაშვილის რეჟიმმა ჩანასახში მოსპო სასამართლო სისტემა, რომელიც წარმოადგენდა რეჟიმის მთავარ დასაყრდენს. როგორც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ვეცნობოდი რა სასამართლოს მხრიდან ჩადენილ უკანონობებს, მივედი იმ აზრამდე, რომ თუ მთელი მოსამართლეთა კორპუსი არ შეიცვალა, საქართველოს სასამართლო სისტემა ვერასოდეს შეასრულებს სამართლიანი სასამართლოს როლს, – ნათქვამია მიმართვაში.

– სამოქალაქო საზოგადოებამ იცის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის გადაწყვეტილების თაობაზე, რომელიც სწავლობს სასამართლოს მხრიდან აშკარა სიყალბის, ფალსიფიცირებისა და დანაშაულის ჩადენის ფაქტებს. სანამ ხელისუფლება შეიცვლებოდა, მუდამ ვაცხადებდი, რომ ამ სასამართლოს პირობებში სასამართლოს არ ჰქონდა მომავალი. დღეს ჩვენ ვბედავთ, რომ ის მოსამართლეები, რომლებმაც საქართველო მიიყვანეს სამართლებრივ კატასტროფამდე, აგრძელებენ სასამართლოს მანტიის ქვეშ მოღვაწეობას, მათგან მოსალოდნელია ახალი სიბინძურეები სამოქალაქო საზოგადოებასთან მიმართ, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ზაზა ხატიაშვილმა წარმოადგინა რამდენიმე ფაქტი იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ მოქმედებდნენ მოსამართლეები და როგორ ასრულებდნენ პროკურატურის შეკვეთებს.

– წარმოგიდგენთ რამდენიმე ფაქტს, სადაც ფიქსირდება მოსამართლეების მხრიდან დანაშაულის ჩადენა. ჟურნალისტებს ალბათ იშვიათად გინახავთ, ერთსა და იმავე საქმეზე, ორი სასამართლო ინსტანციის მიერ ერთ დრეში გამოტანილი განჩინებები. კერძოდ, არსებობს ერთ დღეში ერთსა და იმავე საქმეზე საქართველლოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის განჩინება და სააააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის განჩინება. სასამართლომ ერთ დღეში დაასრულა მართლმსაჯულება. უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა ადვოკატის საჩივარი და სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დააბრუნა ვახტანგ შავგულიძის საქმე.

იმავე დღეს, თურმე, პროკურორმა გააფორმა საპროცესო შეთანხმება და ამ საცოდავს სააპელაციო სასამართლოში გადაახდევინეს 300 ათასი ლარი და სამი წელი მიუსაჯეს. ეს არის სასამართლოს მხრიდან სიყალბის კლასიკური მაგალითი. გაგიგიათ უზენაესი სასამართლოს და სააპელაციო სასამართლოს მიერ ერთ დღეში გამოტანილი გადაწყვეტილების თაობაზე?

როდესაც სააპელაციო სასამართლოში საქმე შედის, პროკურორის მიერ შეტანილი საპროცესო შეთანხმების დოკუმენტები უნდა შევიდეს კანცელარიაში, უნდა დაეწეროს მოსამართლეს. ეს არის მართლმსაჯულება, რომელიც ტელეფონის ზარებით არის განხორციელებული. ეს არის მტკიცებულება იმისა, რომ სამი მოსამართლე უნდა დაჯდეს საბრალდებო სკამზე, – ასკვნის ზაზა ხატიაშვილი.

ზაზა ხატიაშვილმა წარმოადგინა სასამართლოს მიერ გამოტანილი მეორე განჩინება, რომელიც ეხება ადვოკატ მადონა მილდიანს.

– მოსამართლეები „კოპიფეისით“ ახდენდნენ მოსამართლეების მიერ შემოტანილი შუამდგომლობის გადაწერას, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების დროს. იმდენად გაუბედურებული იყო სასამართლო, რომ თუ პროკურორს რაიმე და ბრალდებულის სახელისა და გვარის მაგივრად, სხვას ჩაწერდა, იმის გადმოწერაც ხდებოდა „კოპიფეისით“. მადონა მილდიანის საქმეში მითითებულია, რომ 2011 წლის 28 ოქტომბერს, რუსთავის პროკურორმა მირზა სუბელიანმა (რომელიც სოზარ სუბარმა თანამდებობაზე დანიშნა. ამ დროს ის დღეს ციხეში უნდა იყოს) რევაზ ოქროპირიძის აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ. ე.ი. თურმე მირზა სუბელიანმა სასამართლოს მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს ბრალდებულ რევაზ ოქროპირიძის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შერჩევის თაობაზე. სასამართლო არ ამოწმებდა პროკურორს რა შემოჰქონდა. პირდაპირ ხდებოდა გადაწერა. თუ პროკურორის შეტანილ დოკუმენტში იყო 10 გრამატიკული შეცდომა, ათივე გრამატიკული შეცდომა გადადიოდა სასამართლოს გადაწყვეტილებაში. ვთქვათ, სასამართლო მადონა მილდიანის საქმეს იხილავდა და იქ რევაზ ოქროპირიძეც ეწერა, იმის გადაწერაც ხდებოდა. ყველა მოსამართლის მიერ ნაწარმოები საქმე არის ასეთი. მე გმოვკითხე ასობით ადვოკატი. მათ მითხრეს, რომ ყველა მოსამართლე „კოპიფეისით“, ან „ფლეშკით“ სასამართლოში შეტანილ შუამდგომლობას პირდაპირ ასახავდა სასამართლოს მიერ შერჩეულ აღმკვეთ ღონისძიებაში. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული. მივმართავ ქალბატონ თეა წულუკიანს, ნებისმიერი სასამართლოდან რომ ამოიღოს საქმე, დარწმუნდება, რომ სასამართლო გადაწყვეტილებისა და პროკურორის შუამდგომლობების შრიფტი არის ერთი და იგივე. ეს არის კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა. თუ არა თეა წულუკიანმა, ვინ იცის, რა არის სამართლიანი სასამართლო, – აცხადებს ზაზა ხატიაშვილი.

მესამე საქმე არის ჟურნალისტ დარეჯან მეფარიშვილის საქმე, რომელიც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ წარმოადგინა და და მას სენსაციურს უწოდებს.

– ყველაზე სენსაციური საქმე არის ჟურნალისტ დარეჯან მეფარიშვილის საქმე, რომელზეც მე ვიყავი ადვოკატი და მოვიგე. ერთ დღეში მოსამართლეებმა ჟურნალისტ დარეჯან მეფარიშვილის საქმეზე მოსამართლეებმა გამოიტანეს ორი სხვადასხვა გადაწყვეტილება. პირველი გადაწყვეტილება ჩამაბარეს, რომ საქმე მოვიგე, მერე ეტყობა დაურეკეს და გადაწყვეტილება შეცვალეს. ეს არის ორი გადაწყვეტილება ერთი და იგივე მოსამართლეების მიერ ხელმოწერილი, – გამოტანილი ერთსა და იმავე დღეს, – გვარწმუნებს ზაზა ხატიაშვილი.

მისი განცხადებით, 7 მოსამართლის მიმართ უნდა დაისვას სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. „ესენი არიან, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები ჯუმბერ რუსიაშვილი, ირაკლი შენგელია, ივანე ღლონტი არიან დარეჯან მეფარიშვილის საქმესთან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილების გამო; მადონა მილდიანის საქმეზე პროკურორი მირზა სუბელიანი და ასევე რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე. ასევე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები დიმიტრი მჭედლიშვილი (თავმჯდომარე), მოსამართლეები მაია თეთრაული და ომარ ჯორბენაძე. ამ 7 მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ მოძიებული მასალების საფუძველზე.

– ეს არის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ მოძიებული მასალები. ეტყობა რიგმა ტელევიზიებმა გაიგეს, რა საკითხზე ვატარებდი პრესკონფერენციას და როგორც ახლო წარსულში, ისევ დაბლოკეს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ეს ბრიფინგი, რაც არის სამარცხვინო. არ უნდათ, ვინმემ გაიგოს, თუ რა დღეში აგდებდა კონსტანტინე კუბლაშვილი საქართველოს მოსახლეობას. დანარჩენ საქმეებს ადვოკატთა ასოციაცია იხილავს. თუ დარწმუნდება, რომ სხვა მოსამართლეებსაც ჩადენილი აქვთ ანალოგიური დანაშაული, მათი პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დაისვას.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, მთელი მოსამართლეთა კორპუსის დათხოვნის საბრალდებო სკამზე დასმის მოთხოვნითაც გამოდის. მისი დასკვნებით დაავადებულ სასამართლო ხელისუფლებას ისე არაფერი ეშველება.

– მთელი სამოქალაქო საზოგადოების გასაგონად მინდა ვთქვა, ყველა ის მოსამართლე უნდა დაჯდეს საბრალდებო სკამზე. თუ ერთი მოსამართლე მაინც გადარჩა, საქართველოში

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# სტუდენტები აჯანყდნენ

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა საპროტესტო აქცია გუშინ გამართეს. სტუდენტებმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კორპუსთან შვიდი კარავი გაშალეს და თავიანთი მოთხოვნებიც გაახმოვანეს.**

ნათია ხურცილავა

„დამოუკიდებელი ასოციაციის" ლიდერმა ლექსო კობაიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კარვებში მანამდე დარჩებიან, სანამ მათი მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული. ამასთან, კობაიძე და სტუდენტები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ორ დღეს აძლევენ მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

— ჩვენ ვაძლევთ ორ დღეს, რომ ჩვენს მოთხოვნებზე იყოს დადებითი პასუხი მიღებული. რაც შეეხება ჩვენს შემდგომ გეგმებს, პასუხზე იქნება დამოკიდებული, — განაცხადა კობაიძემ.

სტუდენტები თვითმმართველობის რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას ითხოვენ. ასევე, როგორც „დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაციის" ლიდერი ლექსო კობაიძე აცხადებს, სამსახურიდან უნდა გათავისუფლდეს ოთხი თანამშრომელი, რომლებიც მონაწილეობდნენ მისი და კიდევ რამდენიმე სტუდენტის გატაცებაში.

გუშინ აქციიდან ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოუწოდებენ სხვა სტუდენტებსაც, რომ შემოუერთდნენ მათ აქციას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსთან სტუდენტების აქცია იქამდე გაგრძელდება, ვიდრე მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება. ასეთია სტუდენტების პოზიცია.

სტუდენტთა საპროტესტო აქცია „დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაციის" ორგანიზებით ტარდება და მასში რამდენიმე ათეული სტუდენტი მონაწილეობს. როგორც „დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაციის" ლიდერმა ლექსო კობაიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, სტუდენტების მთავარი მოთხოვნაა, დაინიშნოს რიგგარეშე თვითმმართველობის არჩევნები.

— იმ შემთხვევაში, თუ არ დაკმაყოფილდება ჩვენი მოთხოვნები, დავაყენებთ რექტორის გათავისუფლების საკითხსაც, — აცხადებს კობაიძე.

— ჩვენი მოთხოვნებია, ჩატარდეს თვითმმართველობის ხელახალი არჩევნები და გაუქმდეს ის შედეგები, რომლითაც ამჟამინდელი თვითმმართველობის ხელმძღვანელობა არის არჩეული, რადგან ის არჩევნები იყო გაყალბებული. ამასთან, ჩვენი მოთხოვნაა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტიდან გათავისუფლდნენ ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ გასულ წელს ჩვენს გატაცებაში. ეს ადამიანები არიან ბორის გითოლენდია, რომელიც არის ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტის, კულტურის და სტუდენტებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; გიორგი კულდუნაშვილი, მაშინდელი თვითმმართველობის პრეზიდენტი და ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში მუშაობს; რეზო კელდიშვილი — ამჟამინდელი დაცვის უფროსი და ლევან ტატიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი და მაშინდელი უშიშროების მესამე განყოფილების უფროსი, — განაცხადა ლექსო კობაიძემ.

მისივე თქმით, თუ რექტორი არ მიიღებს გადაწყვეტილებას, ამ ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, მაშინ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები დააყენებენ უკვე მისი გათავისუფლების საკითხსაც.

— ჩვენი მოთხოვნები არის სრულიად ლეგიტიმური და ჩვენი ყველა მოთხოვნა აუცილებლად უნდა იყოს დაკმაყოფილებული, რათა ერთხელ და საბოლოოდ ჩატარდეს ტექნიკურ უნივერსიტეტში ობიექტური არჩევნები და არ იმუშაონ აქ იმ ადამიანებმა, რომლებიც გატაცებაში იღებენ მონაწილეობას, — აღნიშნა ლექსო კობაიძემ.

# ივანიშვილს ელჩები არ დახვდნენ

## სად დადიან სალომე სამადაშვილი და გეგა მგალობლიშვილი

**ბევრი ბჭობის შემდეგ გადაწყდა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პირველი ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრებოდა. პრემიერ-მინისტრის პირველი საერთაშორისო ვიზიტი ევროკავშირისა და ნატოს მიმართულებით სწორი მესიჯი იქნება ყველა მიმართულებით — ამბობენ ექსპერტები. ასევე სწორ გადაწყვეტილებად აფასებენ ივანიშვილის ამ ნაბიჯს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც სწორედ ევროკავშირისა და ნატოს მიმართულებით მუშაობდნენ.**



ნათია ხურცილავა

ბრიუსელში მაღალი დონის შეხვედრები უკვე გამართა ბიძინა ივანიშვილმა.

ბრიუსელში მიმდინარე ვიზიტის შემადგენლობაში შედიან: საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი და თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზოსა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტ ჰერმან ვან რომპეის შეხვდა.

ჟოზე მანუელ ბაროზოსთან შეხვედრას ევროკომისარი ევროკავშირის გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულეც ესწრებოდა.

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟოზე მანუელ ბაროზოსთან ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა. როგორც პრემიერის პრესსამსახურმა აღნიშნა, შეხვედრამ დაგეგმილზე მეტხანს გასტანა.

შეხვედრაზე მთავარი განსახილველი საკითხები იყო ასოცირების შესახებ ხელშეკრულება, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები, უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის ქვეყნებთან.

აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა გაგრძელდება საქართველოში მას შემდეგ, რაც დეკემბერში ვიზიტით ევროკომისარი თბილისს ეწვევა. სწორედ ამ ვიზიტზე მოხდება საგანგებო გეგმის შემუშავება, რათა აღებული ვალდებულების შესრულება დაიწყოს.

როგორც ცნობილია, 2013 წელს დაგეგმილია ვილნიუსის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, სწორედ ამ სამიტზე აღნიშნული საკითხები გადაწყვეტილი უნდა იყოს.

ჟოზე მანუელ ბაროზო, ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებას, რომ მისი პირველი ოფიციალური ვიზიტი ბრიუსელში შედგა, ნათელ დასტურს უწოდებს ევროკავშირთან დაახლოების გზაზე.

— შესაძლებლობა მაქვს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრს არჩევნებში გამარჯვება მივულოცო. მადლობა მინდა გადავუხადო იმისთვის, რომ მოვალეობის შესრულების დაწყებიდან ძალიან მალე გვესტუმრა. პრემიერის გადაწყვეტილება, რომ მისი პირველი ოფიციალური ვიზიტი ყოფილიყო ბრიუსელში, არის საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების ნათელი დასტური. საქართველო არის ერთ-ერთი მთავარი წევრი აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის. მე და პრემიერს ძალიან ღია და ნაყოფიერი საუბარი გვქონდა. ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები გავუზიარეთ. — აცხადებს ჟოზე მანუელ ბაროზო.

ჟოზე მანუელ ბაროზოს განცხადებით, შეხვედრაზე განხილულ იქნა ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოების გზები და ამას საერთო მიზანს უწოდებს ევროკომისიის პრეზიდენტი.

— შეხვედრაზე განვიხილეთ თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების გზები. ეს არის საერთო მიზანი, რომელსაც საქართველომ და ევროკავშირმა ერთად უნდა მივაღწიოთ. — აცხადებს ბაროზო.

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ევროკომისიის პრეზიდენტ ბაროზოსთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ახალი მთავრობის პრიორიტეტი ევროინტეგრაციაა.

— ახალი მთავრობა, რომლის მეთაურსაც მე წარმოვადგენ, ძირითად პრიორიტეტად მიიჩნევს ევროინტეგრაციას. — ამბობს ივანიშვილი.

მისი თქმით, საუბარი იმ საკითხებს შეეხებოდა, რაც საქართველო-ევროკავშირის დღის წესრიგშია.

— შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დავაფიქსირე, რომ ახალი მთავრობა, რომლის მეთაურსაც მე წარმოვადგენ, ძირითად პრიორიტეტად მიიჩნევს ევროინტეგრაციას, ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანებას და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გავაღრმავოთ და დავაჩქაროთ ეს პროცესი. განვიხილეთ ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელიც საქართველო-ევროკავშირის დღის წესრიგშია. გავაანალიზეთ დინამიკა და დავსახეთ ჩვენი ურთიერთობის რაც შეიძლება სწრაფად განვითარების ამოცანები. ორივემ აღვნიშნეთ დიდი ინტერესი 2013 წლის ვილნიუსის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტთან დაკავშირებით და განვაცხადე, რომ საქართველო ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა მოახერხოს და შეასრულოს ის ამოცანები, რაც აღმოსავლეთ პარტნიორობის საგზაო რუკის მოქმედებების გეგმის მიხედვითაა დასახული. — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ვილნიუსის სამიტამდე საქართველოს მთავარ ამოცანას ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა წარმოადგენს.

— უნდა მოვახერხოთ და ყველა სფეროს მომცველი თავისუფალი სავაჭრო ურიერთობები გავაფორმოთ ევროპასთან. ჩვენი მიზანია, თავისუფალი სავიზო რეჟიმის დაწყების განხილვაც. 3 დეკემბერს ევროკომისარ ქალბატონ სესილია მალმსტრემს ველოდებით, რომელიც თავისუფალ სავიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით გეგმას წარმოგვიდგენს. ვეცდებით ის შევასრულოთ, რომ ვილნიუსის სამიტამდე მივიღოთ რეალური გეგმები, — აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.



ბიძინა ივანიშვილის თქმით, მან ევროკომისიის პრეზიდენტი დაარწმუნა იმაშიც, რომ ახალი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველოში ადამიანის უფლებები დაცული, დემოკრატიული ინსტიტუტები კი ძლიერი იყოს.

— მე მადლობა გადავუხადე ბატონ პრეზიდენტს იმ მხარდაჭერისთვის, რასაც ევროკავშირი საქართველოსთან მიმართებით ახორციელებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ჟენევის ფორმატი და ევროპის მტკიცე პოზიცია ამ საკითხზე. მე დავარწმუნე ბატონი პრეზიდენტი, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები განურჩევლად იყოს დაცული. ჩვენ გავაგრძელებთ და გავაღრმავებთ დემოკრატიული ინსტიტუტების მნიშვნელობას. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქართველი ხალხის ნება ინტეგრაცია ევროკავშირის ხედვებთან შესაძლებელი გახდეს უახლოეს მომავალში. — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

შეხვედრაზე, როგორც ცნობილია, საუბარი ასევე შეეხო რუსეთთან ურთიერთობებს. ბაროზოს ივანიშვილმა ის გეგმა გააცნო, რომლის მიხედვითაც ურთიერთობების დარეგულირებას აპირებს რუსეთის ფედერაციასთან.

— რაც შეეხება რუსეთის საკითხს, პრემიერმა მომაწოდა ინფორმაცია სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ. ძალიან დიდი ინტერესით მოვისმინე, რადგან ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორი ურთიერთობა აქვს ჩვენს პარტნიორ ქვეყნებს ისეთ მნიშვნელოვან სახელმწიფოსთან, როგორიც რუსეთია. — ამბობს ბაროზო.

პრემიერმა ივანიშვილმა ჟოზე მანუელ ბაროზოს უთხრა მის მიერ გადადგმულ ნაბიჯზე რუსეთის მიმართ (სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა), რომელსაც, მისი თქმით, შეუსაბამო რეაქცია მოჰყვა რუსეთის მხრიდან.

— პირველ ეტაპზე რუსეთის მხრიდან არ იყო შესატყვისი რეაქცია. ჩვენ ველოდებით, რუსეთის ხელისუფლება შემხვედრ ნაბიჯს გადადგამს, რომ ესკალაცია, რომელიც ორ ქვეყანას შორის არის, აღარ იყოს. — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი 14 ნოემბერს შეხვედრას გამართავს ნატოს გენერალურ მდივან ანდრეს ფოგ რასმუსენთან. გენერალურ მდივანს უკვე შეხვდა პრეზიდენტი სააკაშვილი.

ბრიუსელში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც იმყოფება. ორხელისუფლებიანობის ელფერი, როგორც ჩანს, მკვეთრად საგრძნობი იქნება აღნიშნულ შეხვედრებზე.

საქართველოს პრეზიდენტი ნატოს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენს, როგორც აღვნიშნეთ, უკვე შეხვდა. საქართველოს პრეზიდენტსა და ნატოს გენერალურ მდივანს შორის ორმხრივი შეხვედრა პრაღაში ალიანსის საპარლამენტო ასამბლეის 58-ე სესიის ფარგლებში იმართება. მიხეილ სააკაშვილი ყოველწლიურ სესიას ანდერს ფოგ რასმუსენის პირადი მიწვევით დაესწრო.

ნატოს გენერალურმა მდივანმა, ანდერს ფოგ რასმუსენმა არჩევნების შედეგად მოსული ახალი მთავრობის მიერ ოპონენტების დაკავების გამო შეშფოთება გამოთქვა. საერთაშორისო საინფორმაცი სააგენტოს „როიტერის" ცნობით, რასმუსენმა საქართველოს მთავრობას მოუწოდა, რომ სასამართლო პროცესები პოლიტიკური ჩარევისგან თავისუფალი იყოს.

ნატოს გენერალური მდივნის შეწუხებაში ქართველი საზოგადოების ნაწილმა ორმაგი სტანდრატი დაინახა. თუმცა, მოქმედი გენშტაბის უფროსი ჯერ არ დაუკავებიათ.

— მე უკიდურესად შეწუხებული ვარ არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენებით, რომლებიც საქართველოში პოლიტიკური ოპონენტების დაკავებას უკავშირდება. ამ საკითხების გადაწყვეტა სასამართლო სისტემის პრეროგატივაა, მაგრამ ცხადია, მნიშვნელოვანია, რომ ასეთი საქმეები პოლიტიკური ჩარევის გარეშე განიხილებოდეს. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით დავაკვირდებით მოვლენების განვითარებას ამ მიმართულებით, — განაცხადა რასმუსენმა პრაღაში, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე.

— ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს დადებითად აფასებს, ახალ მთავრობას და პრეზიდენტს კი 2013 წლის არჩევნებამდე თანამშრომლობისკენ მოუწოდებს, — ნატოს საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ამის შესახებ ნათქვამია ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის სამუშაო ვარიანტში.

— ვაფასებთ რა საქართველოში ჩატარებულ დემოკრატიულ არჩევნებს, რომელიც იყო ლაკმუსის ტესტი საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის და ვაფასებთ რა ხელისუფლების პირველ საარჩევნო გზით გადაცემას ამ ქვეყანაში, ნატოს საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს საქართველოს ახალ მთავრობას და პრეზიდენტს, განაგრძონ რეფორმები და უზრუნველყონ ეფექტური თანამშრომლობა 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე.

მოუწოდებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფოების მთავრობებს, პარლამენტებს და ნატოს: მიიწვიოს საქართველო ბუქარესტისა და ჩიკაგოს სამიტების გადაწყვეტილებების შესაბამისად და მისი დემოკრატიული პროგრესის აღსანიშნავად გადადგას ნაბიჯი წინ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ, განიხილოს მისთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (მაპის) მინიჭება, რათა უზრუნველყოს მისი პოლიტიკური და ინსტიტუციური რეფორმების უფრო მრავლისმომცველი და სიღრმისეული განხორციელება, — ნათქვამია ნატოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის სამუშაო ვარიანტში.

საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის, სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს ევროკავშირში საქართველოს ელჩი სალომე სამადაშვილი და საქართველოს ელჩი ნატო-ში გეგა მგალობლიშვილი აეროპორტში არ დახვდნენ.

ამის შესახებ სალომე ზურაბიშვილი ფეისბუკის საკუთარ გვერდზე წერს.

— საქართველოს ელჩი ევროკავშირში სალომე სამადაშვილი ბიძინა ივანიშვილს აეროპორტში არ დახვედრია. ნატოში ჩვენი ელჩი მგალობლიშვილი ადგილზე არ იმყოფება. წასულია პრაღაში სააკაშვილის დასახვედრად? — კითხულობს ზურაბიშვილი.

# ლადო პაპავა: პენსია 150 ლარამდე გაიზრდება“

შორენა კოწოწაშვილი

**პროფესორი ლადო პაპავა პენსიების გაზრდასთან დაკავშირებით ივანიშვილის ხელისუფლებას გარკვეულ რჩევას აძლევს და იმ დანაშაულზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ირაკლი ქადაგიძის სამსახურებრივ მოღვაწეობას უკავშირდება.**



გთავაზობთ ინტერვიუს პროფესორ **ლადო პაპავასთან.**

***— ბატონო ლადო, რა შეგიძლიათ თქვათ მომავალი 2013 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით, რომელშიც გარკვეულწილად „ქართული ოცნების“ და პირადად ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო დანაპირების შესრულების წინაპირობები უნდა იკვეთებოდეს?***

— იმის გათვალისწინებით, რომ ახალ მთავრობას ძალზედ შემჭიდროებულ ვადებში მოუწია 2013 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობა, ეს პროექტი ნამდვილად ვერ ჩაითვლება სრულყოფილად, თუმცა მასში მოხერხდა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დანაპირების ნაწილობრივ გათვალისწინება. ამ ბიუჯეტის დამტკიცება 20 დეკემბრისათვისაა დაგეგმილი და დარჩენილ ვადაში სათანადო საპარლამენტო განხილვების შედეგად შესაძლებელი იქნება არაერთი საბიუჯეტო პარამეტრის დაზუსტება.

***— რამდენად გამართლებული, სწორი და დროული სვლა იყო პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისგან პრეზიდენტისთვის და დედაქალაქის მერისთვის ფინანსების შეზღუდვა?***

— როცა ქვეყანას უჭირს, ამ ქვეყნის პრეზიდენტი ფუფუნებაში არ უნდა იყოს! ასე, რომ პრეზიდენტისათვის ხარჯების შემცირება სავსებით ლოგიკურია. რაც შეეხება დედაქალაქის მერიისათვის ფინანსების შეზღუდვას, აქ გასათვალისწინებელია, რომ მერაბიშვილის მთავრობამ უკანონოდ გადასცა მერიას განსაკარგავად თანხები და ეს თანხები დაიბრუნა ფინანსთა სამინისტრომ. 2013 წლისათვის მერიამ უნდა გადახედოს თავის პრიორიტეტებს და მაგალითად, გუდაურის განვითარების მსგავს პროექტებზე ფული აღარ უნდა ხარჯოს.

***— საზოგადოებას აინტერესებს, როდიდან მოხდება პენსიების ზრდა. ახალი წლიდან ეს შესაძლებელი იქნება?***

— დავიწყოთ იმით, რომ პენსია არცერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები და „ქართული ოცნების“ ეს პოზიცია სწორია. უბრალოდ, ჯერჯერობით, საარსებო მინიმუმი დაახლოებით 150 ლარის ტოლია და ჩვენ ვიცით, რომ თვითონ საარსებო მინიმუმი უნდა იქნეს გადაანგარიშებული. ამიტომ მთავრობა ოფიციალურად ვერ იხელმძღვანელებს, მაგალითად, თავისუფალი დემოკრტაების მიერ დათვლილი საარსებო მინიმუმის მაჩვენებლით – 220 ლარით, რადგანაც ჯერ ეს მაჩვენებელი არ არის ფორმალურად დამტკიცებული. ამიტომ, ამ ეტაპზე, მთავრობა პენსიის გაზრდას 150 ლარამდე გეგმავს. „ერთი ნაბიჯით“ პენსიის ზრდა შეცდომა იქნება, რადგანაც ეს ინფლაციას შეუწყობს ხელს, რადგან გაიზრდება მოთხოვნა სასურსათო პროდუქტებსა და მედიკამენტებზე. შედეგად გამოვა, რომ, ერთი მხრივ, მთავრობა პენსიას გაზრდის და მეორე მხრივ, ჯიბიდან ამოაცლის ფულს იმიტომ, რომ ლარის მსყიდველობითი უნარი დაეცემა. ამიტომ გამართლებულია პენსიების თანდათანობითი ზრდა, ანუ ბაზარზე ხდებოდეს ამის ნელ-ნელა ადაპტაცია.

***— ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდგომ ძალიან ბევრს გაუჩნდა იმედი, რომ სამართალს იპოვის და სააკაშვილის ხელისუფლების მიერ წართმეულ ქონებას დაიბრუნებს ანდა ფულად კომპენსაციას მიიღებს. როგორ უნდა მოხდეს ამ თანხების ანაზრაურება ბიუჯეტიდან?***

— არსებობს ორი გზა. ერთი – უნდა შესწავლილ იქნეს თვითონ ეს პროცესი, რამდენად სამართლიანად გაუჩნდა წართმეულ ქონებას ახალი მესაკუთრე. თუ ის სამართლებრივად სწორედ გახდა ახალი მესაკუთრე, მისთვის ქონების წართმევა უკვე ახალი დანაშაული იქნება. ამ შემთხვევაში ქონებაწართმეულ ხალხს უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია.

***— ანუ ბიუჯეტზე მოხდება ასეთი სერიოზული დარტყმა?***

— რა თქმა უნდა. ხოლო თუ იქ აღმოჩნდება, რომ ახალი მესაკუთრეები არიან კანონდარღვევით და აშკარად იკვეთება კორუფციული გარიგება, მათ ეს ქონება უნდა ჩამოერთვათ და კანონიერ მესაკუთრეებს დაუბრუნდეთ. ამიტომ ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. ყოველი კონკრეტული საქმე ცალკე უნდა იქნეს შესწავლილი და სასამართლომ უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

***— მოდით ვისაუბროთ იმაზე, თუ რა პროცესი მიდის ბიზნესსა და ეკონომიკაში. ფაქტია, ბიძინა ივანიშვილის ბიზნესმენებთან შეხვედრის შემდეგ საბანკო სექტორში საპროცენტო განაკვეთებმა დაიწია. რა ტენდენციაა ეს, ასე მარტივი იყო საპროცენტო განაკვეთების დაწევა?***

— არა, პირიქით, ძალიან რთული იყო. საქმე ისაა, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდა ელიტარული კორუფცია. რაც შეეხება საბანკო სექტორს, ეს ფაქიზი თემაა. ჩვენ ვიცით, რომ საბანკო სექტორიც პრაქტიკულად დაშინებული იყო. ბანკები რომ პოლიტიკაში არ უნდა ერთვებოდნენ, ეს საკამათო არ არის. საბანკო სექტორი პოლიტიკისგან შორს უნდა იდგეს. ვიცით, რომ ბანკებსაც ჰქონდათ სხვადასხვა ტიპის ზეწოლა სხვადასხვა პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებით. ბუნებრივია, ბანკს, როცა ამას აიძულებენ, იმისათვის რომ წაგებაზე არ გავიდეს, შესაბამისად, ის ზრდის საპროცენტო განაკვეთს. ხელისუფლება კი ბანკებზე პოლიტიკური ზეწოლის მექანიზმს იყენებდა. გავიხსენოთ გირაოს შესახებ კანონმდებლობაში ცვლილება, რომელმაც პრაქტიკულად სერიოზული დარტყმა მიაყენა „ქართუ ბანკს“. ჩვენ გვახსოვს, რომ ამაზე ყველა ბანკი გაჩუმდა. ჯერ ერთი სწორად მოიქცნენ, რომ გაჩუმდნენ იმიტომ, რომ ბანკი თუ ყვირილს ატეხავს, ის დაზარალდება. ბანკი თუ დაზარალდება, დაზარალდება ეკონომიკის ის სეგმენტი, რომელიც ამ ბანკზეა მიბმული. ბანკები გაჩუმდნენ, მაგრამ პოლიტიკური წნეხის ქვეშ ხომ იყვნენ? შეკრთნენ, იფიქრეს, ხვალ შეიძლება ჩვენზეც იყოს ეს შემოტევაო და გაჩუმდნენ. ამიტომ მე ბანკების დუმილის მესმის. მაგრამ აბსოლუტურად არ ვამართლებ საბანკო ასოციაციის დუმილს.

***— რამდენიმე დღის წინ ასოციაციის ხელმძღვანელმა ზურაბ გვასალიამ ამაზე განმარტა, რომ სამართლებრივ დასკვნას ელოდა და ამიტომ ვერ გააკეთა „ქართუ ბანკთან“ დაკავშირებით დროულად სათანადო განცხადება.***

— მე პირადად ვიცნობ ბატონ გვასალიას, როგორც სერიოზულ პიროვნებას და მისგან მსგავსი ქმედება გამიკვირდა. მე, როგორც ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე, მისგან ადეკვატურ ნაბიჯს ველი.

***— ადეკვატურ ნაბიჯში რას გულისხმობთ, გადადგომას?***

— ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯია თავად მიიღოს გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ. თუ სხვა ადეკვატურ ნაბიჯს მოიფიქრებს ვნახოთ... მას ევალება საბანკო ასოციაციაში შემავალი ბანკების ინტერესების დაცვა. როცა ხელისუფლება იღებს კანონს, რომელიც პრაქტიკულად არის საბანკო სისტემაზე დარტყმა, საბანკო ასოციაციის ხელმძღვანელი ჩუმად არ უნდა იყოს. თუ მასაც უთხრეს, ამას მარტო „ქართუ ბანკის“ წინააღმდეგ გამოვიყენებთ და სხვა ბანკებს არ შეეხებაო, ეს მით უფრო არ არის დუმილის გამამართლებელი მიზეზი. რატომ იყო გვასალია ჩუმად? საბანკო ასოციაცია რისთვის არის? მან უნდა დაიცვას ბანკების ინტერესები მთავრობასთან, პარლამენტთან, ეროვნულ ბანკთან მიმართებაში, რაც გვასალიამ არ გააკეთა. გვასალიამ თავის ფუნქცია ვერ შეასრულა. ის თავისი დუმილით ასრულებდა პოლიტიკურ დავალებას, რომელიც ჰქონდა მიღებული მთავრობიდან და გვერდზე არ დაუდგა საბანკო სისტემას. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში „ქართუ ბანკს“ არაფერი დარჩენოდა და ის გავიდა საბანკო ასოციაციიდან. რაში სჭირდება ბანკს საბანკო ასოციაცია, თუ ის ბანკის ინტერესებს არ დაიცავს?! რაც შეეხება „ქართუ ბანკის“ პოლიტიზაცია-არაპოლიტიზაციას, თავის დროზე, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ სარბიელზე გამოვიდა, ბანკმა ერთი ტექნიკური შეცდომა მაინც დაუშვა, როდესაც ბანკის ზოგიერთი ოფისი გამოყენებულ იქნა იმისათვის, რომ ხელმოწერები შეგროვებულიყო ივანიშვილის მოქალაქეობასთან დაკავშირებით. ბანკის ჩართვა ამ საქმეში, რა თქმა უნდა, შეცდომა იყო. მაგრამ ის რაც მთავრობამ, ეროვნულმა ბანკმა და პარლამენტმა გააკეთა ბიძინა ივანიშვილთან მიმართებაში, ეს იყო პოლიტიკური ზეწოლა. ივანიშვილზე პოლიტიკურ ზეწოლად გამოყენებულ იქნა ზეწოლა „ქართუ ბანკზე“, მისი მიზანმიმართული გაკოტრების მიზნით.

***— ახლა გამორიცხულია, პოლიტიკური წნეხის განხორციელება, როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტად იგივე ქადაგიძე რჩება?***

— აქ ორი მომენტია. ერთი მხრივ, ის არის იმ სქემის კომპონენტი, რომელიც სააკაშვილის რევანშს უკავშირდება. ამიტომ მე ამ განცხადებას ვაკეთებდი და გავაკეთებ პრევენციის მიზნით, რომ სერიოზული საფრთხე ელის ქვეყანას ინფლაციის ზრდასთან და სავალუტო კურსის სტაბილურობის დაკარგვასთან დაკავშირებით. შეიძლება აქაც იყოს გარკვეული პროვოკაცია ეროვნული ბანკისგან, რათა მოსახლეობაში უკმაყოფილება გაძლიერდეს. მეორე მხრივ, ქადაგიძეს რამდენადაც ვიცნობ, ის საკმაოდ ფრთხილი კაცია და თავის მომავალზეც უნდა ფიქრობდეს, თუნდაც თვითგადარჩენაზე. ამიტომ, ასე ერთმნიშვნელოვნად, რომ ქადაგიძე ბოლომდე ითამაშობს სააკაშვილის თამაშს, ამაში არ ვარ დარწმუნებული, თუმცა, არც არაფერი არის გამორიცხული. რაც შეეხება „ქართუ ბანკის“ და ეროვნული ბანკის დამოკიდებულებას, აქ ლოგიკური იქნება „ქართუ ბანკის“ მიერ სასამართლოში ეროვნული ბანკის ქმედებათა გასაჩივრება, ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც დაკავშირებულია ფულის დაყაჩაღება-წართმევასთან, კანონის მიღებასთან გირაოს შესახებ და შემდეგ მისი მხოლოდ „ქართუ ბანკის“ მისამართით გამოყენებასთან, დროებითი მმართველის მიერ ბანკის გაკოტრების მცდელობასთან. ამაზე სასამართლომ უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. საბანკო სექტორის სტაბილურობისათვის აუცილებელია, რომ მიღებულ იქნას ადეკვატური გადაწყვეტილებები და ყველა დამნაშავემ აგოს პასუხი. ზოგის მიმართ შეიძლება პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, ზოგის მიმართ კი – სისხლისსამართლებრივიც კი.

***— ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიმართ უფრო მეტად რა სახის პასუხისმგებლობა იკვეთება, სისხლისსამართლებრივი?***

— ქადაგიძეს რაც შეეხება, მე სასამართლოს ფუნქციას ვერ შევასრულებ. მაგრამ აშკარად იკვეთება მისი ბრალეულობა „ქართუ ბანკთან“ მიმართებაში. თუმცა, ამის შესახებ სასამართლომ უნდა იმსჯელოს.

# ზაზა გაბუნია თბილისის განვითარების ფონდთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურას მიმართავს



თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე ზაზა გაბუნიამ თბილისის განვითარების ფონდთან დაკავშირებით „მაესტროს“ პრეს-კლუბში ახალ დეტალებზე ისაუბრა და მთავარ პროკურატურას საქმის გამოძიების თხოვნით მიმართა.

ზაზა გაბუნიას თქმით, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, არჩევნების შემდეგ თბილისის განვითარების ფონდიდან გატანილია ნაღდი ფული და დოკუმენტაცია. ამასთან მიმალულია ფონდის ყოფილი დირექტორი გიორგი საბანაძე. დეპუტატის თქმით, ფონდის საქმიანობა იყო გაუმჭვირვალე, მასთან დაკავშირებით არსებობდა ბევრი კითხვა და როგორც ჩანს თბილისის მერიის მესვეურებს არ სურდათ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. ამ მიზნის გათვალისწინებით, არჩევნების შემდეგ იგეგმებოდა ფონდის ლიკვიდაცია, თუმცა ფონდის თანამშრომლებისა და პოლიტიკური ზეწოლის გამო აღნიშნული გადაწყვეტილება შეიცვალა და ფონდმა ახალი დირექტორის მართვით ქვეშ გააგრძელა საქმიანობა.

„მე გასულ კვირას მივმართე საკრებულოს „ნაციონალურ მოძრაობას“ და მოვუწოდე მათ თავად უზრუნველყოთ საკუთარი თანაგუნდელის, ფონდის ყოფილი დირექტორის გიორგი საბანაძის საქართველოში დაბრუნება, იმისათვის, რომ ბატონი საბანაძე წარმდგარიყო ჩვენი ფრაქციის წინაშე არსებულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად. თუმცა, ამიტომ, მე ხვალ ოფიციალური წერილით მივმართავ მთავარ პროკურორს, რომ მისმა უწყებამ დაიწყოს თბილისის განვითარების ფონდთან დაკავშირებული საკითხების გამოძიება“-განაცხადა გაბუნიამ.

მისივე თქმით, ის გიორგი საბანაძეს მხოლოდ შემსრულებლად მიიჩნევს და თვლის, რომ გამოძიების შედეგად დიდი ალბათობით თბილისის მერიის მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება.

ნიუსპრესი

# ზაზა ხატიაშვილი: მივმართავ თეა წულუკიანს, დაინტერესდეს მოსამართლეთა საქმიანობით!“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

სამართლიანი სასამართლო არ შეიქმნება იმიტომ, რომ მეტასტაზი, რითაც ეს სასამართლო იყო დაავადებული, ისე არ ამოიკვეთება. ყველა მოსამართლე უნდა წამოვიდეს იქიდან და შევიდეს ახალი, წესიერი მოსამართლეთა შემადგენლობა. ეს არს სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნა. ვფიქრობ, ამაში სოლიდარულები უნდა ვიყოთ. თუ გაგრძელდა, რაც იყო, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ არ გაგვიმარჯვია. რეჟიმის მთავარი დასაყრდენი იყო სასამართლო და ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ეს დავსვათ საბრალდებო სკამზე, – მოითხოვს ზაზა ხატიაშვილი.

— მოსამართლეების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას ითხოვთ?

— მე ვამბობ, რომ წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე მოსამართლე „კოპიფეისით“ ახდენდა პროკურორის შუამდგომლობის სასამართლოს ბრძანებაში უცვლელად გადაწერას. მივმართავ იუსტიციის მინისტრს, ამოიღოს არქივიდან საქმეები, ყველა საქმეზე ჩაატაროს ექსპერტიზა, თუ უნდა, რომ საქართველოს სასამართლო სისტემა გაიწმინდოს. ასობით ადვოკატს ვესაუბრე და მეუბნებიან, რომ ყველა საქმეზე ჩადენილია სიბინძურე. იუსტიციის მინისტრმა უნდა შექმნას ჯგუფი, ამოიღონ მოსამართლის 10 საქმე და ნახონ, თუ პროკურორის მიერ წარდგენილ შუამდგომლობაში 10 გრამატიკული შეცდომა, ათივე შეცდომა გადატანილია სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

ეს არ არის სამართლიანი სასამართლო. ეს არის ტელეფონისა და „კოპიფეისის“ სასამართლო. თუ ჩვენ გვინდა ელემენტარულად წინ წავიდეთ, ეს უნდა გავაკეთოთ

ადეიშვილი ცოტა ავადმყოფი კაცი იყო, არ აკმაყოფილებდა იუსტიციის მინისტრობა. დააკვირდით რეჟიმის ყველა მომსახურე პირმა, ე.წ სააკაშვილის რეჟიმის მომსახურე პერსონალმა სასახლეები აიშენეს. სააკაშვილმა, მერაბიშვილმა და ადეიშვილმა სასახლეები აიშენეს. მიშა სააკაშვილმა კონსტიტუციის უზურპირებით უფლებამოსილება გაიზარდა, ვანო მერაბიშვილმა უშიშროების სამინისტრო შეიერთა, იუსტიციის მინისტრა კი – პროკურატურა. დააკვირდით, რამდენად დიდ ფსიქიურ ავადმყოფებთან გვქონდა საქმე. ეს არის უბედურება. ამ ხალხის შემოქმედება იყო სასამართლო. გამოდის, რომ დღეს ამ უსამართლოებმა უნდა გაასამართლონ ადამიანები და ჩვენი ბედი სისხლის სამართლის დამნაშავეებს უნდა ვანდოთ. ეს არ იყო მართლმსაჯულება. ამაზე ხმას არავინ იღებს, ანუ საზოგადოება ამ უბედურებას შეეგუა.

— ქალბატონო თეა, მოვითხოვ, სასწრაფო წესით დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა ზემოთაღნიშნული მოსამართლეების მიმართ. დადგინდეს, ვისი დავალებით ხდებოდა სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილების შეცვლა და რა იყო ამის საფუძველი; რატომ ხდებოდა სასამართლოს მხრიდან პროკურორის მიერ შეტანილი შუამდგომლობების პირდაპირი წესით გადაწერა. აგებათ დამეთანხმებით, ყველა მოსამართლე ერთნაირად ვერ ჩაიდენდა. მათ ჰქონდათ მითითება და ყველა ემორჩილებოდა აღნიშნულ მითითებებს. თუ არ გაირკვა ის სიმახინჯე, თუ რატომ გვაქვს ასეთი სასამართლო, ჩვენ ვერასოდეს ვეღირსებით სამართლიან სასამართლოს. გერმანიაში რომ არ მოეწყოთ ნიურნბერგის პროცესი, დღეს გერმანია ვერ გახდებოდა დემოკრატიული სახელმწიფო, – წერს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე იუსტიციის მინისტრს.

# ვინ დატოვა პოლიტპატიმართა საკითხების შემსწავლელი ჯგუფი?

მერი ნამორაძე

**პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და ორგანიზაციამ 'კონსტიტუციის 42-ე მუხლი~ დატოვა. ამის თაობაზე თავად ორგანიზაციებმა გაავრცელეს განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ სამუშაო ჯგუფის მუშაობის პროცესში არაერთი პრობლემა გამოვლინდა, რომლებიც ხელისშემშლელნი აღმოჩნდნენ ჯგუფის ეფექტური მუშაობისთვის. მთავარ მიზეზად ხელისშემშლელი ფაქტორი იქნა დასახელებული.**

სამუშაო ჯგუფი საქართველოს პარლამენტის ინიციატივით შეიქმნა, რომელსაც პოლიტპატიმრების და პოლიტდევნილთა საკითხი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით უნდა შეესწავლა. ეს ნაბიჯი მისასალმებლად ჩათვალეს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა და აქტიურად ჩაერთვნენ მუშაობაში, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ სამუშაო ფორმატი და ვადები დაწუნებული აღმოჩნდა საია-ს და „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“-გან.

აღნიშნული პროცესის წამოწყება და სწორად წარმართვა სამართლიანობის აღსადგენად უმნიშვნელოვანეს მოვლენად არის აღიარებული მესამე სექტორის მიერ, სწორედ ამიტომ ჩათვალეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა მასში მონაწილეობა აუცილებლობად.

მაინც რა ხელისშემშლელ ფაქტორებზე ალაპარაკდნენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები? როგორც აღმოჩნდა, საია-სა და „კონსტიტუციის 42-ე მუხლისთვის“ სამუშაო ფორმატი და ვადები არ იძლევა საკითხის საფუძვლიანად შესწავლის შესაძლებლობას. ისინი მიიჩნევენ, რომ ჯგუფმა უნდა მოამზადოს დასაბუთებული, ობიექტური და სამართლიანი რეკომენდაციები თითოეული საქმის შესახებ, რათა თავიდან იქნას აცილებული ზედაპირული შეფასებები, უზუსტობები და უსამართლო მიდგომები.

არასამთავრობოები აცხადებენ, რომ დადგენილი ორკვირიანი ვადის ფარგლებში ჯგუფის მიერ განსაზღვრული ფორმატით შეუძლებელია 185 პოლიტიკური პატიმრისა და 13 პოლიტიკური დევნილი პირის საქმეებზე სრულყოფილი დასკვნების მომზადება. მათთვის ცნობილია, რომ სამუშაო ჯგუფის მანდატის ვადის გაგრძელება არ იგეგმება, რაც საკითხის სიღრმისეულად შესწავლის შესაძლებლობას არ იძლევა. როგორც გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, მიუხედავად საიას და „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მცდელობისა, ჯგუფის მუშაობის ფორმატის შეცვლა ვერ მოხერხდა და ჯგუფში აღნიშნულის თაობაზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ ვერ კისრულობს ამ ფორმატით სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის ვალდებულებას და მუშაობას წყვეტს.

მიუხედავად მუშაობის შეწყვეტისა, ისინი მზად არიან მათ მიერ წარმოებული საქმეები და მომზადებული დასკვნები წარადგინონ ჯგუფში და ამ მხრივ დაეხმარონ მუშაობაში.

– სამუშაო ჯგუფის შექმნა მიუთითებს, რომ პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ, აუცილებელია პარლამენტი საკითხს სიღრმისეულად მიუდგეს, უზრუნველყოს სამართლიანი და ობიექტური პროცედურები, რათა საზოგადოებას უსამართლობის განცდა არ გაუჩნდეს. ამასთან, უცნობია, თუ რა პროცედურით აპირებს პარლამენტი სამუშაო ჯგუფის მიერ პოლიტიკურ პატიმრებად მიჩნეული პირების გათავისუფლებას. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ინფორმაცია პარლამენტმა უნდა მიაწოდოს საზოგადოებას. ამასთან, ამ პროცესში გამოყენებულ უნდა იქნეს სხვა ქვეყნების გამოცდილებაც ამ მიმართულებით, – აღნიშნულია განცხადებაში.

საია და „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ უკვე წლებია მუშაობენ პოლიტიკური პატიმრების საქმეებზე, მათ საადვოკატო დახმარებას უწევენ საქართველოში და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. შესწავლილი აქვთ არაერთი პოლიტიკური პატიმრის საქმე, გამოცემულია ანგარიშები და კვლევები. ჯგუფის დატოვების მიუხედავად, დასახელებული ორგანიზაციები ამ მიმართულებით მუშაობას გააგრძელებენ და საზოგადოებას ინფორმაციას პერიოდულად მიაწვდიან.

# რა წარმატებებს აღწევენ ქუჩის ბავშვები?

მერი ნამორაძე

ქუჩაში მცხოვრები ბავშვები რომ ცუდად ვითარდებიან, ამაში გასაკვირი არაფერია. როცა საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ნაწილისათვის ჯანდაცვის და განათლების პროგრამებში ჩართულობა შეუძლებელი ხდება, რა თქმა უნდა, ნორმალური ზრდა-განვითარება შეფერხებულია. ამის მაგალითად ქუჩის ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციის „ბავშვი და გარემო“ პრეზიდენტმა, ნანა იაშვილმა ერთი ბავშვის ისტორია გაიხსენა, რომელიც 8 წლის განმავლობაში ამბობდა, რომ 14 წლის იყო: – 8 წლის განმავლობაში ეს ბავშვი ხან ჩვენთან იყო, ხან „კარიტასში“ და ასაკს რომ შეეკითხებოდი, სულ 14 წლის იყო. ტანი 20 წლის მერე აიყარა. ზოგადად, ქუჩაში მცხოვრები ბავშვები ცუდად ვითარდებიან, – გვითხრა იაშვილმა.

დღეისათვის არასამთავრობო სექტორს ამ ბავშვებისთვის დღის ცენტრების შეთავაზება შეუძლია დასახმარებლად. ამ სერვისს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონებში, სადაც სოციალური ფონი გაცილებით მძიმეა. „ბავშვი და გარემოს“ ამგვარი ცენტრები ამოქმედებული აქვს ჭიათურაში, მარნეულში, წყალტუბოსა და ლანჩხუთში. მუშაობს რუსთავის დღის ცენტრიც, თუმცა ნაქირავებში არიან. როგორც იაშვილმა გვითხრა, რუსთავის ხელისუფლებამ ვერ გამონახა 100-120 კვადრატი დღის ცენტრისათვის, რომელიც 2006 წლიდან მუშაობს სოციალურად დაუცველ ბავშვებთან. თბილისში კვლავ მოქმედებს დღის ცენტრი „ცისარტყელა“, სადაც 52 სოციალურად დაუცველი ბავშვია ჩარიცხული. ჯერჯერობით აღარ მოქმედებს ღამის თავშესაფარი, რომელზედაც ყოველთვის დიდი მოთხოვნა იყო, განსაკუთრებით ზამთრის სეზონზე. შესაძლოა ეს სერვისი უცხოელ დონორთა დახმარებით თბილისში ისევ აღდგეს.



მიუხედავად მძიმე ყოფისა, წარმატებებს ქუჩაში მცხოვრები ბავშვებიც აღწევენ. ამის მაგალითად იაშვილმა 7-8 წლის და-ძმა გაიხსენა, რომლებიც მარნეულის ქუჩებში ბელურებივით ცხოვრობდნენ და შემდეგ თბილისში გადმოიყვანეს. დედა მეძაობდა, მასთან ბავშვების ყოფნა არ შეიძლებოდა. მამას მიტოვებული ჰყავდა ოჯახი: – ჩამოვიყვანეთ ჩვენთან, ცენტრ „ბელურებში“, ისეთ ცხოვრებას ეწეოდნენ, პატარა მაუგლებივით იყვნენ. ქვეყანაზე არაფერი იცოდნენ. არანაირი სოციალური უნარ-ჩვევები არ გააჩნდათ. მერე სკოლაშიც დაიწყეს სიარული, სპექტაკლშიც მიიღეს მონაწილეობა, მოვძებნეთ მამა და მერე მამიდამ წაიყვანა ეს ბავშვები, – გვითხრა ქალბატონმა ნანამ.

„ბავშვი და გარემოს“ ერთი აღსაზრდელი დღეს გერმანიაში, სამხატვრო აკადემიაში სწავლობს. თავის დროზე ეს გოგონა ნაგვის ბუნკერიდან ამოიყვანეს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით:

–ბავშვს ნაგვის ბუნკერში ეძინა, ხმა რომ გაიგეს, გახსნეს და ამოიყვანეს, მოიყვანეს ჩვენთან. ჩვენთან გაიზარდა. გოგონა გერმანულ მხატვრულ ფილმში გადაიღეს, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად და რამდენიმე პრიზი აიღო ევროპის კინოფესტივალზე. დღეს აბსოლუტურად რეალიზებული, ჩამოყალიბებული პიროვნებაა, გერმანიის სამხატვრო აკადემიაში სწავლობს და რაც მთავარია, ჩვენ მიმართ მადლიერებით აღსავსე ადამიანია, – გვითხრა ქალბატონმა ნანამ.

რა თქმა უნდა, ყველა ასეთ წარმატებას ვერ აღწევა, ყველა ქუჩაში გაზრდილი ბავშვი უმაღლეს სასწავლებლამდე ვერ მიდის, მაგრამ ადამიანებად არიან ქცეულნი მას შემდეგ, რაც დღის ცენტრებში შეაფარებენ თავს.

– მათ უკვე საკუთარი ოჯახები ჰყავთ და საკუთარ შვილებს ზრდიან, რომლებსაც ქუჩაში არასოდეს გამოუშვებენ, – აღნიშნა იაშვილმა ჩვენთან საუბრისას.

# კბილაშვილის კურსელები



საქართველოს პროკურატურაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა თბილისის პროკურორად, საოლქო პროკურორებად და მთავარ პროკურატურაში დეპარტამენტების უფროსებად საკუთარი კურსელები და ახლობლები დანიშნა.

არჩილ კბილაშვილი საქართველოს მთავარ პროკურორად 30 ოქტომბერს დაინიშნა. „მე არაერთგზის მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ მოხდება ცენტრალურ აპარატში არსებული სტრუქტურული ერთეულების, ზედა დონის ხელმძღვანელების, მათი მოადგილეების შეცვლა, როგორც სტრატეგიის ნაწილი; საოლქო პროკურორების და თბილისის პროკურორის და მათი მოადგილეების შეცვლა, როგორც სტრატეგიის ნაწილი. ხოლო რაიონულ დონეზე პროკურორების თანამდებობაზე ყოფნის საკითხს განვიხილავთ ინდივიდუალურ რეჟიმში“, – განაცხადა კბილაშვილმა 30 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე და იქვე აღნიშნა, რომ პროკურორები პატიოსნებით და პროფესიონალიზმით შეირჩეოდნენ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა რამდენიმე საკადრო ცვლილების შესახებ შეიტყო. ყველა შემთხვევაში ახლადდანიშნული პროკურორები არჩილ კბილაშვილის კურსელები არიან. მათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი 1993 წელს დაამთავრეს.

თბილისის პროკურორად დანიშნულ დავით კოჭლამაზაშვილთან კბილაშვილს ნათელმირონობაც აკავშირებს. ის დავით კოჭლამაზაშვილის შვილის ნათლიაა. დავით კოჭლამაზაშვილი 2008 წლიდან დღემდე სიღნაღის რაიონული პროკურორი იყო. 2006 – 2008 წლებში მუშაობდა გურჯაანის რაიონულ პროკურორად; 2004 – 2006 წლებში სიღნაღის პროკურორად; 2004 წლის ივნისიდან აგვისტოს ჩათვლით ლაგოდეხის პროკურორად; 2003-2004 წლებში მუშაობდა გენერალურ პროკურატურაში ფინანსთა სამინისტროს სისხლისსამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს განყოფილების პროკურორად; 2001 – 2003 წლებში გენერალურ პროკურატურაში სახელმწიფო ბრალდების სამმართველოს განყოფილების პროკურორად; 1997-2011 წლებში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის სამმართველოს პროკურორად; 1996 – 1997 წლებში გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატის პროკურორად; 1995 – 96 წლებში სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს განყოფილების პროკურორად;

სიღნაღის რაიონულ პროკურორად მუშაობის დროს კოჭლამაზაშვილის დაქვემდებარებაში შედიოდა სიღნაღის, საგარეჯოს და დედოფლისწყაროს რაიონები.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, ამ რაიონებში „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის გამო არაერთი აქტივისტი დააკავეს და დააპატიმრეს; უფრო მეტიც, წინასაარჩევნოდ სიღნაღის რაიონში თანამდებობის პირებმა „ქართული ოცნების“ აქტივისტები სასტიკად ცემეს. პროკურატურას არცერთი ფაქტი არ გამოუძიებია.

27 სექტემბერს, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერს, 32 წლის ნიკოლოზ მოსულიშვილს თავს ნიღბიანები დაესხნენ და ნეკნები ჩაუმტვრიეს. მას სამედიცინო დახმარება საავადმყოფოში აღმოუჩინეს. მომხდარზე გამოძიება დაიწყო, მაგრამ უშედეგოდ.

მანამდე, 22 სექტემბერს, პარლამენტის წევრმა ნუგზარ აბულაშვილმა წნორში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები გელა და ვახტანგ დარჩიაშვილები ცემა. ნუგზარ აბულაშვილი იმ დროისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ სიღნაღის მაჟორიტარობის კანდიდატის ლევან ბეჟაშვილის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა. ცემის შედეგად გელა დარჩიაშვილმა სხეულის დაზიანებები მიიღო. მას სამედიცინო დახმარება წნორში, „არქიმედეს“ კლინიკაში აღმოუჩინეს. სისხლის სამართლის საქმე ამ ფაქტზეც აღიძრა, მაგრამ სამართალდამცავებს არავინ დაუკავებიათ.

წინასაარჩევნოდ სიღნაღის სოფლებში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს შეიარაღებული, ნიღბიანი პირებიც აშინებდნენ. სოფელ ქვემო მაჩხაანის მაცხოვრებლებმა რეაგირებისათვის პოლიციას და პროკურატურას მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ.

სიღნაღის რაიონული პროკურატურა არც 16 – 17 სექტემბერს, დედოფლისწყაროში, კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის ირაკლი ღარიბაშვილის სახლთან უცნობი პირების მიერ იარაღიდან გასროლის ფაქტებით დაინტერესდა. ირაკლი ღარიბაშვილის მშობლებმა სამართალდამცავებს იმ ავტომობილების ნომრებიც მიაწოდეს, საიდანაც გასროლა მოხდა, თუმცა პოლიციას არავინ დაუკავებია.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, 21 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით, პოლიციის თანამშრომლებმა სიღნაღის და საგარეჯოს რაიონებში „ქართული ოცნების“ 6 აქტივისტი დააკავეს. დაკავების მიზეზი ძირითადად „ქართული ოცნებიდან“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების საარჩევნო პლაკატების გაკვრა გახდა. იმის მიუხედავად, რომ დაკავებულების მშობლებმა პროკურატურას რეაგირებისათვის თითქმის ყველა ფაქტზე მიმართეს და პოლიციის თანამშრომლებს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებდნენ, რეაგირება არცერთ ფაქტზე არ მომხდარა.

21 სექტემბერს, საგარეჯოში დააკავეს შმაგი ბერიძიშვილი. „ქართული ოცნებიდან“ საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თინათინ ხიდაშელი აცხადებდა, რომ სოფელ კოჭლაანში ამომრჩეველთან შეხვედრაზე რამდენიმე ახალგაზრდა იმყოფებოდა, რომელთაგან ერთ-ერთმა „ნაციონალური მოძრაობის“ მაისური გაიხადა და სანაცვლოდ „ქართული ოცნების“ მაისური ჩაიცვა. „პოლიცია კი დღეს აცხადებს, რომ ახალგაზრდას მსგავსი საქციელი შმაგი ბერიძიშვილმა აიძულა. სინამდვილეში, არავითარ იძულებას ადგილი არ ჰქონია“, – განაცხადა ხიდაშელმა. სასამართლომ ბერიძიშვილს ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

22 სექტემბერს, სიღნაღის რაიონის დაბა წნორში დააკავეს გივი ნანობაშვილი. „გივი ნანობაშვილი ორ ახალგაზრდასთან ერთად ქუჩაში მიდიოდა, რა დროსაც პოლიციის მანქანა დაეწია და მას მანქანაში ჩაჯდომა მოსთხოვეს. ახალგაზრდებმა გაქცევა მოახერხეს, ხოლო გივი ნანობაშვილი კი ძალით ჩატენეს მანქანაში“, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების“ სიღნაღის შტაბის უფროსმა ზვიად ჯანყარაშვილმა. სიღნაღის სასამართლომ გივი ნანობაშვილი წვრილმან ხულიგნობაში ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სცნო და 100 ლარით დააჯარიმა.

24 სექტემბერს, სიღნაღის რაიონის დაბა წნორში დააკავეს შოთა ხუციშვილი. პოლიციამ ის წვრილმანი ხულიგნობის ჩადენაში დაადანაშაულა. რაში გამოიხატა წვრილმა ხულიგნობა, შს სიღნაღის სამმართველოში კახეთის საინფორმაციო ცენტრს ინფორმაცია არ მიაწოდეს. სასამართლომ შოთა ხუციშვილს 40 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

24 სექტემბერს, სიღნაღის რაიონის დაბა წნორში დააკავეს ნიკოლოზ კიკილაშვილი. პოლიციაში მას „ნაციონალური მოძრაობის“ გავლენის ქვეშ მყოფი სააგენტოს „ინფო9.ცომ.გე“-ის წარმომადგენელმა ნათია მირიანაშვილმა უჩივლა, რომელმაც განაცხადა, რომ გადაღების დროს ნიკოლოზ კიკილაშვილმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და ხელი ატკინა. სასამართლომ ნიკოლოზ კიკილაშვილი წვრილმან ხულიგნობაში სამართალდამრღვევად სცნო და 40 დღით პატიმრობა შეუფარდა.

25 სექტემბერს, საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოში დააკავეს ნათიკ რასულოვი. იგი „ქართული ოცნებიდან“ სოფელში საუბნო – საარჩევნო კომისიის წევრი იყო. პოლიციამ ის დაუმორჩილებლობაში დაადანაშაულა. შს საგარეჯოს სამმართველოში არ განმარტეს, დაუმორჩილებლობა რაში გამოიხატა. სასამართლომ ნათიკ რასულოვი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სცნო და 40 დღით პატიმრობა შეუფარდა. პოლიციას რასულოვი აგვისტოშიც ჰყავდა დაკავებული, მაშინ რასულოვმა 15 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მოიხადა. იზოლატორში გადაყვანამდე რასულოვი სოფელ მელაანის ტყეში სასტიკად ცემეს.

25 სექტემბერს, საგარეჯოს რაიონის სოფელ წყაროსთავში დააკავეს ზაქარია გაგნიაშვილი. პოლიციამ მას ბრალად წვრილმანი ხულიგნობის ჩადენა წაუყენა. „24 სექტემბერს, ზაქარია მთელი დღე ჩემთან ერთად იყო თბილისში, ცესკოს წინ, აქციაზე. 25 სექტემბერს, დილით ათ საათზე დააკავეს ბენზინგასამართ სადგურზე, გუშინ საღამოს გვაგინებდიო და ძალიან მაინტერესებს სად აგინებდათ? ყველა ტელევიზიას აქვს გადაღებული, კადრებში ჩანს, რომ თბილისში მთელი დღე იყო ცესკოს წინ, ჩემს გვერდით“, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნებიდან“ საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა თინათინ ხიდაშელმა. ზაქარია გაგნიაშვილს სასამართლომ 40 დღით პატიმრობა შეუფარდა.

მთავარი პროკურორის კურსელია შოთა რეხვიაშვილიც, რომელიც 2004-08 წლებში ქვემო ქართლის საოლქო პროკურორად მუშაობდა. არჩილ კბილაშვილმა ის საქართველოს მთავარ პროკურატურაში ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსად დანიშნა.

არჩილ კბილაშვილის კურსელია ზაქარია დარჩიაშვილიც, რომელიც საქართველოს მთავარ პროკურატურაში, შს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა..

არჩილ კბილაშვილის კურსელია ლაშა ლეთოდიანიც. მთავარმა პროკურორმა ის ქვემო ქართლის საოლქო პროკურორად დანიშნა. 2012 წლიდან ლეთოდიანი შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურორის მოადგილე იყო. 2004-12 წლებში ლეთოდიანი ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის მოადგილედ მუშაობდა.

**ნატალია სარქისაშვილი; კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# გურამ ოდიშარიამ მოადგილეები დაასახელა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ სამინისტროში გამართულ საგანგებო შეხვედრაზე ფართო საზოგადოებას თავისი ოთხი მინისტრი ოფიციალურად წარუდგინა და საბოლოოდ დაასრულა მითქმა-მოთქმა მინისტრის მოადგილეობის სავარაუდო კანდიდატებთან დაკავშირებით.



ხელისუფლებაში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, ქართული საზოგადოების მხრიდან ნებისმიერი სამინისტროს მისამართით ინტერესი გაორმაგდა. სანამ კულტურის მინისტრი პირობას ასრულებდა და მინისტრის მოადგილეებს არა ერთპიროვნულად, არამედ გუნდური პრინციპით არჩევდა, მის მიმართ არაერთი ღია წერილი მომზადდა, რომელსაც ხელს საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ხელოვანები აწერდნენ. ნაწილს გურამ ოდიშარიას მოადგილედ ხელოვნებათმცოდნე თაკო ჩარკვიანის ხილვა სურდა, მეორე ნაწილი ითხოვდა, ახალ მინისტრს კულტურა პოლიტიკისგან რადიკალურად გაემიჯნა, ხოლო კონსერვატორიის რექტორი რევაზ კიკნაძე პირადად სთავაზობდა მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე პიანისტი ვალერიან შიუკაშვილის კანდიდატურას. საზოგადოებაში აქტიურად საუბრობდნენ იმაზეც, რომ გურამ ოდიშარიას მოადგილე მისი მეგობარი, რეჟისორი მერაბ თავაძე გახდებოდა.

საბოლოოდ გურამ ოდიშარიამ თავის გუნდთან ერთად გადაწყვეტილება მიიღო და შერჩეული 17 კანდიდატიდან 4 მათგანი აუდიტორიას წარუდგინა. კულტურის მინისტრის მოადგილეები არიან: ალექსანდრე მარგიშვილი კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე – ეკონომისტი, მენეჯმენტის მაგისტრი, ის უხელმძღვანელებს კულტურის სამინისტროს საქმიანობის სტრატეგიულ განვითარებას, ეკონომიკურ და იურიდიულ საკითხებს, ასევე, ქართული კულტურის საერთაშორისო ასპარეზზე გატანასა და პოპულარიზაციას, სხვა პრიორიტეტული პროგრამების მართვას, ამავდროულად იქნება სამინისტროს საპარლამენტო მდივანი. იური მეჩითოვი – კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე – ფოტოგრაფი, პედაგოგი, ფოტოსახელოსნოს „მეჩითოვი-დეისაძე" დამფუძნებელი და ლექტორი, ის უხელმძღვანელებს ხელოვნების დარგების განვითარების სფეროს. ხათუნა ხუნდაძე – კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე – თავისუფალი ხელოვანი, ხელოვნების მაგისტრი, კულტურის მენეჯერი, ის უხელმძღვანელებს სახელოვნებო განათლების, ღონისძიებებისა და რეგიონებთან კოორდინაციის სფეროებს და კულტურის სამინისტროში ახლად ჩამოყალიბებულ თანამედროვე ხელოვნების განვითარების მიმართულებას.

მარინე მიზანდარი – კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ქართული ხელოვნების მკვლევარი, საერთაშორისო ექსპერტი კულტურის, ინსტიტუციური განვითარებისა და კომუნიკაციის სფეროებში, ის უხელმძღვანელებს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და საერთაშორისო პროგრამების განვითარების სფეროებს.

ჯერ კიდევ გასულ კვირას კულტურის მინისტრი აცხადებდა, რომ ერთ-ერთი მოადგილის მოწვევას გერმანიიდან აპირებდა, რადგან მას კულტურის საკითხებში დიდი გამოცდილება ჰქონდა. სწორედ ხათუნა ხუნდაძე აღმოჩნდა ის კანდიდატი, რომელიც საზღვარგარეთიდან გურამ ოდიშარიამ სამშობლოში დააბრუნა.

ჯერ კიდევ ორიოდე კვირის წინ ფოტოხელოვანი იური მეჩითოვი კულტურის მინისტრის მოადგილეობაზე კატეგორიულ უარს აცხადებდა და არც იმას მალავდა, რომ ამ თანამდებობაზე არაოფიციალური შეთავაზება ნამდვილად მიიღო. მაშინ ფოტოხელოვანი აცხადებდა, რომ:

– მოვიტყუები თუ გეტყვით, რომ შეთავაზება არ მქონდა, ოღონდ დიდი ხნის წინ და ეს შეთავაზება სულ არ ნიშნავდა ოფიციალურ შეთავაზებას, არანაირი განხილვა არ მოყვა ამას. მახსოვს, რომ 2 -3 კვირის წინ იყო ეს შემოთავაზება და მაშინაც უარი ვუთხარი. არ მისაუბრია გურამ ოდიშარიასთან. ოფიციალური შემოთავაზების შემთხვევაში განვიხილავ წინადადებას, რა სფერო იქნება ჩემი და შევძლებ თუ არა. არ გამოვეკიდები პოსტს. მე ჩემი საქმეც მაქვს და პოსტების გარეშეც შემიძლია ვიარსებო, მაგრამ შევხედავ, თუ ჩავთვლი, რომ საჭირო ვიქნები, მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთანხმდები, – აცხადებდა ფოტოხელოვანი.

თუმცა, მოგვიანებით, იური მეჩითოვმა მინისტრის მოადგილეობის კანდიდატურის შეთავაზება დაადასტურა, საკუთარი პოზიციაც შეცვალა და აღნიშნა:

– საუბრები ნამდვილად არის ამის შესახებ, შემოთავაზებაც იყო, საკითხი განიხილება, თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. მე ვფიქრობ, რომ წინასწარ ამაზე ხმაურის ატეხვა არ ღირს. საკუთარ თავსა და ჩემს შესაძლებლობებზე ცუდ კონტექსტში ნამდვილად არ ვფიქრობ და მგონია, რომ ბევრი რამის გაკეთება შემიძლია. ასე რომ, არ მგონია, კულტურის სამინისტროში ისეთი რამე იყოს გასაკეთებელი, რასაც ვერ შევძლებ, შესაბამისად, ოფიციალური შემოთავაზების შემთხვევაში, წინადადებას ალბათ დავთანხმდები.

კულტურის მინისტრმა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა და განაცხადა, რომ მას ისეთი მოადგილეები ჰყავს, რომლებიც თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალები არიან.

– დიდი მადლობა ყველას მობრძანებისთვის და მინდა წარმოგიდგინოთ ჩემი მოადგილეები. რა თქმა უნდა, დავიწყებ ქალბატონებით. წარმოგიდგენთ ხათუნა ხუნდაძეს, რომელმაც დაამთავრა შტუტგარდის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია თანამედროვე და თავისუფალი ხელოვნების განხრით. გახლავთ ხელოვნების მაგისტრი, არის კულტურის მენეჯერი, განახორციელა ბევრი პროექტი, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის, ასევე საქართველოს ფარგლებშიც. არის დოკუმენტური ფილმების ავტორი, აქვს მუსიკალური განათლებაც. მან ბევრი ღონისძიება განახორციელა უცხოეთში, მათ შორის „სუხიშვილების" და ჯგუფ „შინის" კონცერტები. ხათუნა ამ ჯგუფების აქტიურ პოპულარიზაციას ეწევა ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში. მას მრავალმხრივი აქტივობა აქვს და ამის შესახებ ალბათ თავადაც ისაუბრებს. ხათუნას გამოცდილება ჩვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. ის კულტურულ ღონისძიებებს გაუწევს კურატორობას. რაც შეეხება მეორე ქალბატონს, ეს გახლავთ მარინა მიზანდარი, რომელიც მოღვაწეობს საქართველოში და ასევე ბელგიაშიც. გახლავთ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, განხორციელებული აქვს არაერთი პროექტი, მათ შორის ევროკავშირის ეგიდით, აქვს მუშაობის გამოცდილება რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის ალჟირში, ტუნისში, ეგვიპტეში. კითხულობდა და კითხულობს ლექციებს საფრანგეთის, გერმანიის და ბელგიის უნივერსიტეტებში და საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებში. მას აქვს ის პოტენციალი, რაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოადგება. რაც შეეხებათ მამაკაცებს, მგონია, რომ ფოტოხელოვან იური მეჩითოვს განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება, ძალიან პოპულარულია ბატონი იური, ის ცნობილი ფოტოხელოვანია, მან შექმნა თავისი სკოლა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1985 წელს დაარსებული სტუდია „თვალსაზრისი", რომელიც ხელოვანთა გაერთიანებაა და მან შეიტანა დიდი წვლილი ქართული ფოტოხელოვნების განვითარების საქმეში. აქვს 200-მდე პერსონალური და გუნდური გამოფენა სხვადასხვა ქვეყნებში. რამდენიმე დღეში იგი გაემგზავრება პარიზში, სადაც პერსონალური გამოფენა აქვს და წარმატებებს ვუსურვებ. ალბათ კარგად გახსოვთ მისი ფოტოგამოფენები, რომლებიც ჩვენს უახლეს ისტორიას აღბეჭდავდა და ურთულეს წლებს გვახსენებდა. მან შექმნა არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ფოტოკადრი. თავისი ნამუშევრები მან საქართველოს ფარგლებს გარეთაც გაიტანა. ბატონ იურის მიღებული აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი პრიზები, მათ შორის ალექსანდრე როინიშვილის პრემიით, გამოსცა შესანიშნავი ფოტოალბომი „მეჩითოვის 101 ფოტო" და ასევე შესანიშნავი წიგნი, რომელიც უძღვნა სერგო ფარაჯანოვს. რაც შეეხება ჩემს მეოთხე მოადგილეს, ეს არის ალექსანდრე მარგიშვილი, რომელიც ჩემთან ერთად სამინისტროში უკვე ორი კვირაა მუშაობს. თავიდან ჩვენ ვიყავით ორნი, ახლა ხედავთ, რომ ვართ მეტნი. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა კაცია, საკმაოდ დიდი პროფესიული გამოცდილება აქვს. განხორციელებული აქვს რამდენიმე პროექტი მსოფლიო ბანკის ეგიდით და ასევე სხვა ორგანიზაციების, როგორც კერძო სექტორის, ასევე საჯარო ორგანიზაციების. აქვს ინსტიტუციონალური განვითარების გამოცდილება და ამ ორი კვირის განმავლობაში, ვფიქრობ, ბევრი გავაკეთეთ, მაგრამ კიდევ ბევრი საქმე გვაქვს. უკვე დაგეგმილი გვაქვს, რაზე ვიმუშავებთ ერთად. ის იურიდიულ და ეკონომიკურ საკითხებზე იმუშავებს. ჩვენ განსაკუთრებით ერთობლივად ვიმუშავებთ იმ სტრატეგიაზე და კულტურულ პოლიტიკაზე, რომელსაც დავიწყებთ 2013 წლიდან. ალეკო ასევე ჩვენი სამინისტროს საპარლამენტო მდივანია. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სხვა საქმეებიც დავავალოთ მათ, ვინც კარგად მუშაობს, რადგან ასეთი ადამიანები უფრო მეტად იტვირთებიან, – აღნიშნა კულტურის მინისტრმა საგანგებო შეხვედრაზე.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია თანამდებობაზე ოფიციალურად 25 ოქტომბერს დაინიშნა, საქმიანობას კი 29 ოქტომბრიდან თავის მოადგილესთან ალექსანდრე მარგიშვილთან ერთად შეუდგა. მან კულტურის სამინისტრო ალექსანდრე მარგიშვილთან ერთად მოინახულა და თანამშრომლებსაც გაეცნო და გაესაუბრა. კულტურის მინისტრის გადაწყვეტილებით, ის აქტიურად ხვდება ახალგაზრდობას, რათა იცოდეს მომავალი თაობის აზრი და მიდგომები ქართული კულტურის მიმართ. მინისტრი უკვე შეხვდა ახალ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე


ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




ცფ,ფყრჯ პტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 LBRTGE22
fyu8 N GE28LB 0122 1802 48686 000



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs
cohfab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib
2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2
[j,bc vjyfcnthb8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ


● ოსტეოქონდროზის, ძლიერ დაქვეითებული სმენის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების და ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. გადახდა განკურნების შემდეგ. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული და დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის გაჩეჩა, საბნების განახლება. მოგემსახურებათ პროფესიონალი მკერავი. შემოგთავაზებთ ქსოვილების ფართო არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82 ლამარა თოდუა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის და რაოდენობის წიწვოვანი და ფოთლოვან და დეკორატიული მცენარეების ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. გაგიფორმებთ დეკორატიულ კუთხეებს. ტელ: 236-28-78; 599-15-67-28.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

# თემურ ქეცბაია: წელი მოგებით უნდა დავასრულოთ

საქართველოს ეროვნული ნაკრები სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ დილით შეიკრიბა და თემურ ქეცბაიამ ტრადიციულად პრესკონფერენციაც გამართა. სანამ ამ თემაზე ვისაუბრებდეთ, გეტყვით, რომ ნაკრებს გამოძახებულთაგან დავით დევდარიანი, ლევან მჭედლიძე, ზურაბ არზიანი, მათე ვაწაძე, ჯანო ანანიძე, ბუბა დაუშვილი, ლევან ყენია სხვადასხვა მიზეზების გამო დააკლდებიან. მათ ნაცვლად, ქეცბაიამ მიიწვია ჯაბა დვალი, თორნიკე გორგიაშვილი, ლადო დვალიშვილი, ირაკლი ძარია, ირაკლი ქობალია.

პრესკონფერენციაზე ნაკრების თავკაცმა ჯანო ანანიძეს მამის გარდაცვალება მიუსამძიმრა, ხოლო მეტოქეზე აღნიშნა, რომ გუნდია, თუმცა ყველანაირად ეცდება, რომ წელიწადი მოგებით დაასრულოს.

**თემურ ქეცბაია:**

– ეგვიპტესთან მატჩი წლეულს ბოლო იქნება ნაკრებისთვის, გვსურს მოვიგოთ და წელიწადი კარგ ნოტაზე დავასრულოთ. პრობლემები ბევრია. საკმაოდ ბევრი ცვლილებაა შემადგენლობაში, თუმცა საშუალება გვეძლევა, საქმეში ახლებიც ვნახოთ. გვსურს, გულშემატკივარს კარგი თამაში ვაჩვენოთ. ეგვიპტეს სერიოზული ნაკრები ჰყავს, ბოლო წლებში აფრიკაში დიდი წარმატებები ჰქონდა.

***– რა ინფორმაცია გაქვთ მეტოქეზე?***

– საინტერესო, ტექნიკური ბიჭები ჰყავთ. თუმცა, როგორც ვიცი, ეგვიპტელთა მწვრთნელმაც მოახდინა ცვლილებები შემადგენლობაში.

***– რა კუთხით გამოიყენებთ ამ მატჩს? შედეგის გარდა, არის თუ არა ისეთი დეტალი, რაზეც განსაკუთრებით გსურთ ყურადღების გამახვილება?***

– ერთი მხრივ, კარგია, რომ შედარებით ახალბედებს მიეცემათ შანსი. ისე კი, რომ ვთქვა, ეგვიპტესთან თამაში საფრანგეთთან მატჩისთვის მოსამზადებლად გამოგვადგება-მეთქი, სიმართლე არ იქნება. საფრანგეთთან 22 მარტს ვთამაშობთ და მანამდე საკმაო დროა.

***– თებერვალში, ან მარტის დასაწყისში ნაკრებს ამხანაგური თამაში არ ექნება? მაგალითად, წლეულს და შარშან გქონდათ.***

– ჯერ არ ვიცით. ეს არც ისე იოლია.

***– დავით დევდარიანი გამოიძახეთ, ნაკრებში ტრავმის გამო ვერ ჩამოვიდა და პარასკევს „ორჰუსში“ ითამაშა. ამაზე რას გვეტყვით?***

– ტრავმა აქვსო, არ გვითქვამს. ტრავმა მანამდე ჰქონდა, ვიდრე გამოვიძახებდით და ბოლომდე არ ჰქონდა მოშუშებული. თანაც, „ორჰუსს“ თამაშები ელოდა ამ პერიოდში. უფრო ამის გამო ვერ ჩამოვიდა.

***– ვინ იქნება კაპიტანი ეგვიპტესთან თამაშში?***

– ამას მატჩის დღეს შეიტყობთ.

***– ბოლო პერიოდში ალექსანდრე ამისულაშვილს „კრასნოდარში“ სათამაშო პრაქტიკა მოაკლდა. გაქვთ ინფორმაცია, თუ რა მიზეზით?***

– როგორც ვიცით, რამდენიმე ტურის წინ იმიტომ არ გამოიყვანეს, რომ ნაკრებიდან ახალი ჩასული იყო და გადაღლას მოერიდნენ. იმის შემდეგ კი, არ ვიცი. ალბათ, დროებითია მისი უთამაშებლობა.

# დინამო და დილა კონკურენტებს მოსწყდნენ

**ზესტაფონი – ტორპედო 1:0**

**ზესტაფონი.** დავით აბაშიძე
1:0 გორგიაშვილი (25)

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, ღონღაძე, კაჭკაჭიშვილი, კობახიძე, თევდორე გრიგალაშვილი, შარიქაძე, მენთეშაშვილი, მილხრაუმი (იელიჩი90), ბენაშვილი, გორგიაშვილი (ბაბუნაშვილი 56), ბოტი გოა (წინამძღვრიშვილი65)

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, ჭელიძე, გურული, რიგვავა, შერგელაშვილი, გ.დათუნაიშვილი, კუხიანიძე ვ.(ბოლქვაძე55), დოლიძე (ტუღუში55), ე.გრიგალაშვილი, ბერიაშვილი (ფანცულაია 85), საბანაძე

მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული გამოდგა. ერთადერთი გოლი 25-ე წუთზე გავიდა – „ზესტაფონის“ მრავალსვლიანი შეტევის დასრულება პატრიკ მილხრაუმმა სცადა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი ერთ-ერთ ქუთაისელს მოხვდა, თორნიკე გორგიაშვილს მიუვიდა და მისმა დარტყმამ მიზანს უწია.

გოლამდეც და გოლის შემდეგაც თანაბარი თამაში იყო. თავიდან მომენტები „ზესტაფონს“ უფრო ჰქონდა. გორგიაშვილს მიგინეიშვილმა აუღო, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა თემურ ღონღაძემ კი, ქუთათურთა კიპერს ვერ აჯობა. ამას მოჰყვა ქუთათურთა ორი შეტევა – ორჯერვე მეკარესთან პირისპირ დარჩენილ გიორგი ბერიაშვილს ჯერ როინ კვასხვაძემ აჯობა, შემდეგ მეკარეს მცველიც წაეხმარა.

მეორე ტაიმი მარგველთა იერიშებით გაიხსნა. ძალიან კარგი შანსი ჰქონდა ბოტი გოას – ალექსი ბენაშვილის დარტყმული ბურთი მიგინეიშვილმა ვერ მოიხელთა, აფრიკელს კი ახლოდან დარტყმული გაუცუდდა.

მერე იყო ქუთათურთა გააზრებული, მრავალსვლიანი იერიში, რომელსაც ელგუჯა გრიგალაშვილი აგვირგვინებდა, მაგრამ მიზანს ააცილა.

მატჩის ბოლოს გუნდებმა სახიფათო მომენტები გაცვალეს. ჯერ ელგუჯა გრიგალაშვილის თაური მოხვდა ძელს, მერე კი მეკარესთან პირისპირ გასულმა რატი წინამძღვრიშვილმა ააცილა კარს დიდი მანძილით.

### მატჩის შემდეგ

**დავით მუჯირი, „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი:**

– ძალიან კარგი, სანახაობრივი თამაში იყო. უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობდით და მოხარული ვარ, რომ ქომაგის იმედი გავამართლეთ. მადლობას ვუხდი მათ ასეთი დიდი მხარდაჭერისათვის. სატურნირო თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იყო. ჯერ ჩვენი მიზანი ექვსეულში მოხვედრაა. მერე კი უფრო მეტზეც ვიფიქრებთ.



**გია გეგუჩაძე, „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი:**

– სანახაობრივი, კარგი თამაში იყო. ჩვენს ბიჭებს მადლობას ვუხდი თავდადებისთვის. გავათამაშეთ რამდენიმე კარგი კომბინაცია და მომენტებიც გვქონდა, თუმცა „ზესტაფონის“ გამარჯვება მაინც ლოგიკურად მიმაჩნია. რა შეიცვალა „ზესტაფონში“ ჩემი წასვლის შემდეგ? ალბათ ის, რომ გუნდი უფრო პრაგმატულად თამაშობს. ალბათ ასე სჭირდება დღეს გუნდს, ასე მიიღწევა შედეგი.

**დინამო (თბ) – დინამო (ბთ) 5:3**

**თბილისი.** დინამო არენა
0:1 ბაციკაძე (6), 1:1 ხმალაძე (12), 2:1 ჩისკო (20), 3:1, 4:1 დვალი (23, 39), 4:2, 4:3 ბერიძე (49, 51), 5:3 ჩისკო (90)

**დინამო (თბ.):** ლორია, ხიზანეიშვილი, ძარია, გლიშიჩი, ხმალაძე, (ნ.კვეკვესკირი, 72), კვარაცხელია, სეთურიძე, მერებაშვილი, ალვარო, ჩისკო, დვალი (რობერტინიო 86)

**დინამო (ბთ.):** მამინაშვილი, მაკარიანი, ბაციკაძე, მუჯირი, ცანავა (თევდორაძე 80), კილაძე, ბაჯელიძე, თოთაძე, ვარშანიძე (სიჭინავა 72), ბერიძე (ტიმჩიშინი 72), ბაციკაძე

თბილისელებს ყველა იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ბათუმელებმა მრისხანე მეტოქეს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს და ხმაურიან სენსაციამდეც ცოტა დააკლდათ.

მატჩის პირველი სახიფათო მომენტი ბათუმელებმა შექმნეს – ნიკა დიასამიძემ თავით სცადა გიორგი ლორიას კარის აღება, მაგრამ ააცილა. თუმცა, სტუმრები მაინც დაწინაურდნენ – თორნიკე ბერიძის დაწყებული შეტევა ალექსანდრე ბაციკაძემ დააგვირგვინა – 1:0.

დედაქალაქელები მალევე მოეგენ გონს და გოლები ერთმანეთის მიყოლებით გაუტანეს ზღვისპირელებს. ჯერ გიორგი მერებაშვილის მიერ ჩაწოდებულ ბურთს შეტევაში ჩასულმა გივი კვარაცხელიამ თავი დაჰკრა, სტუმართა მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ იქვე და ბურთს ყველაზე ადრე ლევან ხმალაძემ მიუსწრო – 1:1.

მე-20 წუთზე, მასპინძლები ესპანელმა ჩისკომ დააწინაურა, რომელიც ირაკლი ძარიას ბრწყინვალე პასის შემდეგ, მეკარესთან პირისპირ დარჩა – 2:1.

ორიოდ წუთში, გლიშიჩი-ჩისკო-დვალის სამსვლიანი კომბინაცია დასრულდა გოლით – 3:1.

ბათუმელთა შემადგენლობაში, თავდამსხმელ თორნიკე ბერიძესთან ერთად, გამორჩეული იყო 18 წლის მარჯვენაფლანგელი ნიკა დიასამიძეც, რომელიც თავისი სისწრაფისა და დრიბლინგის წყალობით, თბილისელ მცველებს იოლად უმკლავდებოდა. სწორედ მის აქტიურობას მოჰყვა მორიგი სახიფათო ეპიზოდი – რამდენიმე მეტოქეს იოლად აუარა გვერდი და კარისკენაც დაარტყა, ბურთს კი, მიმართულება ბერიძემ შეუცვალა, მაგრამ ააცილა.

39-ე წუთზე, ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულმა ჯაბა დვალმა ისარგებლა მცველების შეცდომით და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა დუბლი გაიფორმა – 4:1.

თითქოს მატჩიც აქ დამთავრდა, მაგრამ ასე არ ფიქრობდა ბერიძე, რომელმაც მე-2 ტაიმის დასაწყისში, 2-წუთიან ინტერვალში 2 ბურთი გაუტანა ლორიას. ბათუმელთა თავდამსხმელმა ჯერ დიასამიძის გამჭოლი პასით ისარგებლა, შემდეგ კი, საჯარიმო დარტყმა ისე შეასრულა, რომ ბურთი არავის შეხებია და კარის ბადეში მოათავსა.

ამის შემდეგ, თბილისელები ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლნენ და მატჩში წერტილი ჩისკომ დასვა, რომელიც მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებულს დაუხვდა და საბოლოო ანგარიში – 5:3 დააფიქსირა.

**სიონი – დილა 0:2**

**ბოლნისი.** თამაზ სტეფანია
0:1 მოდებაძე (17პ), 0:2 ონიანი (57)

**სიონი:** ბობღიაშვილი, ქემოკლიძე (ქუცურუა 68), მაჭავარიანი, სვანიძე, ოქროპირიძე, უგრეხელიძე, ჯოჯუა, მანწკავა, თარხნიშვილი (ისიანი 78), ჭედია, ჯიქია

**დილა:** სკენდერი, შაშიაშვილი, გ. ონიანი, თომაშვილი, კვირკველია, გვალია, გოგუა, ს.გურული, კახელიშვილი (კლიმიაშვილი 65), მოდებაძე (ბეჭვაია 86), ჟუნიორი (სალუქვაძე 70)

გორის „დილამ“ ზედიზედ მე-10 მოგება მიითვალა მიმდინარე ჩემპიონატში.

მე-16 წუთზე ბოლნისელებმა საჯარიმოში ნათან ჟუნიორი წააქციეს, პენალტი კი გოლად ირაკლი მოდებაძემ აქცია – 0:1.

57-ე წუთზე დავით კვირკველიამ კუთხურიდან ჩააწოდა და გიორგი ონიანმა თავურით შანსი არ დაუტოვა ბოლნისელებს.

**ზუგდიდი – კოლხეთი 1:0**

**განმუხური.** ცენტრალური
1:0 გაბედავა (69)

**ზუგდიდი:** ძაგანია, ონიანი, თოდუა, ფოფხაძე, ტყემალაძე, აფაქიძე, სიხარულია, კოშკაძე (დ.ბოლქვაძე 77), კუტალია (კუკავა 88), შ.ლომია (გუგუჩია 83), გაბედავა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სიტი-ტოტენჰემი ........................ 2:1
ნიუკასლი-ვესტ ჰემი ..................... 0:1
ჩელსი-ლივერპული ........................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 11 | 9 | 0 | 2 | 29:16 | 27 |
| 2.სიტი | 11 | 7 | 4 | 0 | 20:10 | 25 |
| 3.ჩელსი | 11 | 7 | 3 | 1 | 23:11 | 24 |
| 4.ევერტონი | 11 | 5 | 5 | 1 | 21:14 | 20 |
| 5.ვესტ ბრომვიჩი | 11 | 6 | 2 | 3 | 17:12 | 20 |
| 6.ვესტ ჰემი | 11 | 5 | 3 | 3 | 14:11 | 18 |
| 7.ტოტენჰემი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:16 | 17 |
| 8.არსენალი | 11 | 4 | 4 | 3 | 18:11 | 16 |
| 9.ფულემი | 11 | 4 | 4 | 3 | 24:19 | 16 |
| 10.ნიუკასლი | 11 | 3 | 5 | 3 | 12:15 | 14 |
| 11.სუონსი | 11 | 3 | 4 | 4 | 16:15 | 13 |
| 12.სტოკი | 11 | 2 | 6 | | 39:10 | 12 |
| 13.ლივერპული | 11 | 2 | 6 | 3 | 14:16 | 12 |
| 14.უიგანი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:18 | 11 |
| 15.ნორვიჩი | 11 | 2 | 5 | | 48:18 | 11 |
| 16.სანდერლენდი | 10 | 1 | 6 | | 37:11 | 9 |
| 17.ასტონ ვილა | 11 | 2 | 3 | 6 | 10:17 | 9 |
| 18.რედინგი | 10 | 0 | 6 | 4 | 12:18 | 6 |
| 19.საუთჰემპტონი | 11 | 1 | 2 | 8 | 15:29 | 5 |
| 20.ქპრ | 11 | 0 | | 4 | 78:20 | 4 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბრისტოლი-ჩარლტონი ..................... 0:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-ვალენსია ................. 1:1
ბილბაო-სევილია ......................... 2:1
მალიორკა-ბარსელონა ..................... 2:4
ატლეტიკო-ხეტაფე ........................ 2:0
ლევანტე-რეალი ........................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 11 | 10 | 1 | 0 | 36:14 | 31 |
| 2.ატლეტიკო | 11 | 9 | 1 | 1 | 24:11 | 28 |
| 3.რეალი | 11 | 7 | 2 | 2 | 27:82 | 3 |
| 4.ბეტისი | 11 | 6 | 1 | 4 | 18:17 | 19 |
| 5.მალაგა | 11 | 5 | 2 | 4 | 15:9 | 18 |
| 6.ლევანტე | 11 | 5 | 2 | 4 | 13:16 | 17 |
| 7.რაიო | 11 | 5 | 1 | 5 | 16:25 | 16 |
| 8.ვალიადოლიდი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:12 | 15 |
| 9.ვალენსია | 11 | 4 | 3 | 4 | 14:13 | 15 |
| 10.სევილია | 11 | 4 | 3 | 4 | 13:13 | 15 |
| 11.სარაგოსა | 11 | 5 | 0 | 6 | 14:18 | 15 |
| 12.ბილბაო | 11 | 4 | 2 | 5 | 16:21 | 14 |
| 13.ხეტაფე | 11 | 4 | 1 | 6 | 12:18 | 13 |
| 14.სოსიედადი | 11 | 4 | 1 | 6 | 12:16 | 13 |
| 15.მალიორკა | 11 | 3 | 2 | 6 | 12:19 | 11 |
| 16.გრანადა | 11 | 3 | 2 | 6 | 11:18 | 11 |
| 17.სელტა | 11 | 3 | 1 | 7 | 13:74 | 10 |
| 18.დეპორტივო | 11 | 2 | 4 | 5 | 18:25 | 10 |
| 19.ესპანიოლი | 11 | 2 | 3 | 6 | 12:18 | 9 |
| 20.ოსასუნა | 11 | 2 | 2 | 7 | 11:15 | 8 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხერესი-ელჩე ............................ 0:0
ვილიარეალი-მურსია ...................... 1:1
ერკულესი-ლას პალმასი .................. 0:2
ალკორკონი-ლუგო ......................... 2:1
ალმერია-მირანდესი ...................... 0:0
პონფერადინა-კორდობა ................... 3:5

**იტალია. სერია ა**

პალერმო-სამპდორია ...................... 2:0
ჯენოა-ნაპოლი ............................ 2:4
კიევო-უდინეზე ........................... 2:2
ლაციო-რომა ............................... 3:2
მილანი-ფიორენტინა ...................... 1:3
პარმა-სიენა .............................. 0:0
ტორინო-ბოლონია .......................... 1:0
ატალანტა-ინტერი ......................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 12 | 10 | 1 | 1 | 29:93 | 1 |
| 2.ინტერი | 12 | 9 | 0 | 3 | 24:13 | 27 |
| 3.ნაპოლი | 12 | 8 | 2 | 2 | 20:9 | 26 |
| 4.ფიორენტინა | 12 | 7 | 3 | 2 | 19:92 | 4 |
| 5.ლაციო | 12 | 7 | 1 | 4 | 18:17 | 22 |
| 6.ატალანტა | 12 | 6 | 2 | 4 | 13:15 | 18 |
| 7.რომა | 12 | 5 | 2 | 5 | 28:23 | 17 |
| 8.კატანია | 12 | 4 | 4 | 4 | 15:16 | 16 |
| 9.პარმა | 12 | 4 | 4 | 4 | 14:16 | 16 |
| 10.უდინეზე | 12 | 3 | 6 | 3 | 16:18 | 15 |
| 11.კალიარი | 12 | 4 | 3 | 5 | 11:17 | 15 |
| 12.ტორინო | 12 | 3 | 6 | 3 | 13:10 | 14 |
| 13.მილანი | 12 | 4 | 2 | 6 | 18:16 | 14 |
| 14.პალერმო | 12 | 2 | 5 | 5 | 11:17 | 11 |
| 15.კიევო | 12 | 3 | 2 | 7 | 12:23 | 11 |
| 16.პესკარა | 12 | 3 | 2 | 7 | 9:22 | 11 |
| 17.სამპდორია | 12 | 3 | 2 | 7 | 13:18 | 10 |
| 18.ჯენოა | 12 | 2 | 3 | 7 | 12:19 | 9 |
| 19.ბოლონია | 12 | 2 | 2 | 8 | 12:18 | 8 |
| 20.სიენა | 12 | 3 | 4 | 5 | 12:14 | 7 |

შენიშვნა:
*სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ატალანტას დაკებული აქვს 2 ქულა*
*სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა*

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბურგი-ლევერკუზენი ................ 3:1
ფიურტი-გლადბახი ......................... 2:4

## შედეგები

შტუტგარტი-ჰანოვერი ...................... 2:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 11 | 1 | 0 | 01 | 32:43 | 0 |
| 2.შალკე | 11 | 7 | 2 | 2 | 22:12 | 23 |
| 3.აინტრახტი | 11 | 6 | 2 | 3 | 21:16 | 20 |
| 4.დორტმუნდი | 11 | 5 | 4 | 2 | 23:12 | 19 |
| 5.ჰანოვერი | 11 | 5 | 2 | 4 | 24:18 | 17 |
| 6.მაინცი | 11 | 5 | 2 | 4 | 15:13 | 17 |
| 7.გლადბახი | 11 | 4 | 4 | 3 | 17:21 | 16 |
| 8.ლევერკუზენი | 11 | 5 | 3 | 3 | 19:17 | 15 |
| 9.ვერდერი | 11 | 4 | 2 | 5 | 18:17 | 14 |
| 10.ჰამბურგი | 11 | 4 | 2 | 5 | 11:14 | 14 |
| 11.ფრაიბურგი | 11 | 3 | 4 | 4 | 14:13 | 13 |
| 12.შტუტგარტი | 11 | 3 | 4 | 4 | 12:19 | 13 |
| 13.ჰოფენჰაიმი | 11 | 3 | 3 | 5 | 17:23 | 12 |
| 14.ფორტუნა | 11 | 2 | 5 | 4 | 10:16 | 11 |
| 15.ნიურნბერგი | 11 | 3 | 2 | | 69:17 | 11 |
| 16.ვოლფსბურგი | 11 | 3 | 2 | | 69:18 | 11 |
| 17.ფიურტი | 11 | 1 | 4 | | 69:20 | 7 |
| 18.აუგსბურგი | 11 | 1 | 3 | | 76:18 | 6 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ინგოლშტადი-რეგენსბურგი ................ 4:2
ფრანფურტი-მიუნხენ 1860 ................ 0:1
კოტბუსი-დინამო .......................... 2:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მარსელი-ნიცა ............................ 2:2
ლორიენი-ბორდო ........................... 0:4
სოშო-ლიონი .............................. 1:1
მონპელიე-პსჟ ............................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 12 | 6 | 5 | 1 | 18:9 | 23 |
| 2.მარსელი | 12 | 7 | 2 | 2 | 16:10 | 23 |
| 3.ლიონი | 11 | 6 | 4 | 1 | 20:11 | 22 |
| 4.სენტ ეტიენი | 12 | 6 | 3 | 3 | 22:82 | 1 |
| 5.ვალანსიენი | 12 | 6 | 3 | 3 | 26:14 | 21 |
| 6.ტულუზა | 12 | 5 | 5 | | 220:14 | 20 |
| 7.ლილი | 12 | 5 | 5 | 2 | 16:12 | 20 |
| 8.ბორდო | 12 | 4 | 7 | 1 | 16:10 | 19 |
| 9.რენი | 12 | 6 | 1 | 5 | 16:15 | 19 |
| 10.რეიმსი | 12 | 4 | 3 | 5 | 13:11 | 15 |
| 11.ლორიანი12 | 3 | 6 | 3 | | 19:25 | 15 |
| 12.ბასტია | 12 | 4 | 2 | 6 | 19:29 | 14 |
| 13.მონპელიე | 12 | 3 | 4 | 5 | 17:17 | 13 |
| 14.ნიცა | 12 | 2 | 7 | 3 | 17:22 | 13 |
| 15.ბრესტი | 12 | 4 | 1 | 7 | 11:18 | 13 |
| 16.აიაჩო | 12 | 4 | 4 | 4 | 14:17 | 11 |
| 17.ევიანი | 12 | 3 | 2 | 7 | 13:20 | 11 |
| 18.სოშო | 12 | 3 | 2 | 7 | 12:19 | 11 |
| 19.ტრუა | 12 | 1 | 4 | 7 | 11:22 | 7 |
| 20.ნანსი | 11 | 1 | 2 | | 84:18 | 5 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ვიტესი-ტვენტე ........................... 0:0
ზვოლე-აიაქსი ............................ 2:4
ფეინოორდი-როდა ......................... 5:2
პსვ-ჰერენვენი ........................... 5:1

**ჰოლანდია. 1 დივიზიონი**

ვოლენდამი-ექსელსიორი .................. 3:1

**პორტუგალია. ა ლიგა**

ოლჰანენსე-ბეირა მარი ................... 1:0
ეშტორილი-მორიერენსე .................... 2:0
პორტუ-აკადემიკა ........................ 2:1
რიუ ავე-ბენფიკა ......................... 0:1
სპორტინგი-ბრაგა ......................... 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ლოკომოტივი-ანჟი ......................... 1:1
რუბინი-კრ.სოვეტოვი ..................... 2:0
ვოლგა-ზენიტი ............................ 1:2
სპარტაკი-კრასნოდარი .................... 2:0

**შოტლანდია.პრემიერლიგა**

ჰიბერნიანი-იუნაიტედი .................. 2:1
სელტიკი-სტ.ჯონსონი ..................... 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ნოიშტადი-ზალცბურგი ..................... 0:3
რაპიდი-ვოლფსბერგერი ................... 0:2

**ბელგია. პროლიგა**

ანდერლეხტი-ბრიუგე ...................... 6:1
გენკი-მონსი .............................. 5:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-პანიონიოსი ................. 1:0
პანთრათიკოსი-ასტერასი .................. 1:0
პაოკი-პლატანიასი ........................ 2:0
აეკი-ოლიმპიაკოსი ........................ 0:4

**თურქეთი.სუპერლიგა**

გაზიანთეპი-გენჩლერი .................... 2:3
მერსინი-გალათასარაი .................... 1:1
ელაზიგი-ქაისერი ......................... 0:4
ფენერბახჩე0ორდუ ......................... 2:1

**ჩეხეთი.გამბრინუსლიგა**

ტეპლიცე-ლიბერეცი ........................ 3:0
პლზენი-სიგმა ............................. 3:0
სპარტა-ბრნო .............................. 2:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

გურნიკი-ზაგლებიე ........................ 0:2
კორონა-ვისლა ............................. 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ილიჩევეცი-დნოპრო ........................ 0:0
მეტალურგი(დ)-შახტარი ................... 0:4
არსენალი-ჩერნომორეცი .................. 0:1
მეტალისტი-კარპატი ....................... 2:1

**დანია. სუპერლიგა**

ოდენსე-სონდერიისკე ..................... 5:0
სილკებორგი-ბრონდბიუ .................... 1:2
კოპენჰაგენი-ოლბორგი .................... 4:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ბრანი-ტრომსო ............................. 0:2
მიოლდე-ჰონეფოსი ......................... 1:0
ვალერენგა-ლილესტრიომი ................. 1:2
რუსენბორგი-ფრედრიკსტადი .............. 0:1
ულფი-სტრომგოდსეტი ...................... 2:1
სტაბეკი-სონგდალი ........................ 2:1
ოდ გრელანდი-ალესუნდი .................. 3:0
ჰაუგესუნდი-ვიკინგი ...................... 1:0

**აშშ. მლს**

**პლეი ოფი**

ჰიუსტონი-დს იუნაიტედი .................. 3:1
ლოს ანჯელესი-სიეტლი .................... 3:0

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

ლანუსი-ტიგრე ............................. 4:1
სან მარტინი-ინდეპენდიენტე .............. 0:0
კოლონი-ბოკა .............................. 0:0
რასინგი-სარანდი ......................... 0:0

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ბრუკლინი-ორლანდო ...................... 82:74
კლიპერსი-ატლანტა ....................... 89:76
მემფისი-მაიამი .......................... 104:86
ოკლაჰომა-კლივლენდი ................... 106:91
ლეიკერსი-საკრამენტო ................... 103:90

## ჩოგბურთი

**ატპ. ლონდონი. პირი**

**შემაჯამებელი ტურნირი**

ჯოკოვიჩი-დელ პოტრო ... 4:6;6:3;6:2
მიურეი-ფედერერი ................. 6:7;2:6

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ელისო ბოლქვაძე პოდიუმზე გამოვა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სი წარმატებულობა კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე პოდიუმზე გამოსვლით დაამტკიცოს.

როგორც სამოდელო სააგენტო ლიკა ყაზბეგის ხელმძღვანელმა ლიკა ყაზბეგმა განაცხადა:

– ეს არის ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ჩვენება, რადგან მასში მონაწილეობას ულამაზესი, უნიჭიერესი და უმშვენიერესი ელისო ბოლქვაძე იღებს. ამაზე დიდი ბედნიერება და წარმატება ჩემთვის ამ პროექტის მანძილზე არ ყოფილა. წელს ჩვენი ჩვენება საიუბილეოა – „წარმატებული ქალბატონები“ უკვე ხუთი წლისაა. ნუ მიწყენენ ამ პროექტში მონაწილე ქალბატონები, მაგრამ ჩემთვის ქალბატონი ელისოს ამ ჩვენებაში ჩართვა ყველაზე დიდი პატივია და ამიტომ მთლიანად მის განრიგზე ვარ გადართული.

***– როდის გეგმავთ რიგით მეხუთე „წარმატებული ქალბატონების“ ჩვენებას?***

– ჯერ ზუსტი თარიღი არ ვიცი, რადგან მთლიანად ქალბატონი ელისოს გრაფიკზე ვარ დამოკიდებული. ალბათ იცით, რომ მას მთელი წელიწადი საკონცერტო გრაფიკი უკვე გაწერილი აქვს, ამიტომ, როგორც კი თავისუფალი დრო გამოუჩნდება, საქართველოში ჩამოვა და ამ პროექტში მიიღებს მონაწილეობას.

***– როგორ მოახერხეთ ასეთი დაკავებული ქალბატონის დათანხმება?***

– მან თვითონ გამოთქვა სურვილი, მონაწილეობა მიეღო ჩემს პროექტში. ინიციატივა მისი იყო. ძალიან დამეხმარა მისი მენეჯერი ავთო ტულუში. ქალბატონი ელისო ისეთი თბილი, უშუალო და უბრალო ადამიანია, მისით მოხიბლული ვარ. მინდა აქედან დადებითი ემოციებით და ბევრი საჩუქრით დატვირთული გავუშვათ. ცნობილი დიზაინერები კერავენ მისთვის კაბებს, დავუმზადებთ პორტფოლიოებს.

***– წელს მოასწრებთ ამ ჩვენების ჩატარებას?***

– რა თქმა უნდა. 24 დეკემბერს მაქვს დაბადების დღე და თუკი ჩემს დაბადების დღეზე ქალბატონი ელისო ასეთ საჩუქარს გამიკეთებს, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება.

***– მისი პოდიუმზე გამოყვანა გინდოდათ?***

– მანამდეც ვფიქრობდი მასზე, რადგან მართლაც რომ წარმატებული, საქმიანი და ულამაზესი ქალბატონია, რომელსაც ჩვენი ქვეყნის სახელი მთელ მსოფლიოში წარმატებით გააქვს. გარდა ამისა, დააფუძნა ფონდი, რომელიც ნიჭიერ პიანისტებს გზის გაკვალვაში ეხმარება. მისი საქციელი ჩემთვის ნამდვილად მისაბაძია.

***– როგორ ფიქრობთ, გაუჭირდება მოდელის იმიჯის მორგება და პოდიუმზე სიარული?***

– არა მგონია, საოცარი ქალბატონია, ამიტომ მიმაჩნია, რომ მისთვის დაუძლეველი არაფერია. მჯერა, რომ ელისო ბოლქვაძეს პოდიუმზე გავლა არ გაუჭირდება და განსაკუთრებული სწავლებაც არ დასჭირდება.

***– ასე რატომ დააგვიანეთ „წარმატებული ქალბატონების“ პოდიუმის გამართვა?***

– არჩევნებმა შემიშალა ხელი. საქართველოში ისეთი დაძაბული სიტუაცია იყო, მეგონა საერთოდ ველარ ჩავატარებდი, მაგრამ მადლობა ღმერთს, ყველაფერი შეიცვალა და ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში ჩემი პოდიუმი არასოდეს გამიკეთებია.

***– კიდევ ვის გამოიყვანთ ქალბატონ ელისოსთან ერთად პოდიუმზე?***

– საერთოდ, ქალების ვინაობა ჩემთვის არ არის მნიშვნელოვანი, რადგან შეიძლება ჩვენებამდე ორი-სამი დღით ადრეც ჩავსვა ან ამოვიღო ვინმე მონაწილეთა სიიდან. არ მინდა წინასწარ ლაპარაკი, რადგან მერე ამ ჩვენებას ინტერესი დაეკარგება, თუმცა იმას გეტყვით, რომ ჩვენებაზე მოსულ მაყურებელს ბევრი სიურპრიზი ელოდება. წელს ჩემი პარტნიორია „იტალიური გალერეა“ და მის მენეჯერ თამუნა საავაშვილთან ერთად ვგეგმავ ყველაფერს. მართალია პროექტი და იდეა ჩემია, მაგრამ თანაპარტნიორთან მუშაობისას მაინც ყველაფერს ვათანხმებ. მარტო იმას ვიტყვი, რომ ქალბატონ ელისოსთან ერთად პოდიუმზე დადგებიან წარმატებული ხელოვანი ქალბატონები.

***– მისი კოლეგები? ანუ მუსიკოსები?***

– არა, ამჯერად მინდა მის გარშემო მსახიობები, მხატვრები და კულტურის სფეროს სხვა წარმომადგენლები იდგნენ, მაგრამ არა პიანისტები და მომღერლები. ძალიან მინდა სხვანაირი ჩვენება გამომივიდეს და ალბათ გამომივა კიდეც.

***– სად ააშენებთ საიუბილეო პოდიუმს?***

– ესეც ერთგვარი სიახლეა – „წარმატებული ქალები“ პოდიუმზე ღია ცის ქვეშ გამოვლენ, ჩემს სიცოცხლეში ეს ჩვენება ზამთარში არ ჩამიტარებია. ისე მალე გავიდა დრო, უკვე ხუთი წელი გავიდა, მინდა ეს ჩვენება ნამდვილად საიუბილეო და გრანდიოზული იყოს. პირველად, ამ პროექტის არსებობის ისტორიაში, მოეწყობა აფთერ ფართი, რაც არასდროს გამიკეთებია. დიდი სურვილი მაქვს, 10 წლის იუბილეც ასეთივე გრანდიოზულობით აღვნიშნოთ.

***– სტუმრების რაოდენობა ისევ პრობლემაა?***

– კი და ამაზე საშინლად ვნერვიულობ. სამწუხაროდ, იმ ტერიტორიაზე, სადაც საიუბილეო ჩვენების ჩატარება გვინდა, ცოტა ხალხი ეტევა, ამიტომ ბევრი ადამიანის მოსაწვევის გარეშე დატოვება მომიწევს. ამჯერად მკაცრად გავწერთ სტუმართა სიას, რის გამოც ყველას წინასწარ ბოდიშს ვუხდი.

***– კიდევ როგორი ჩვენების მოწყობას აპირებთ?***

– იდეები საბედნიეროდ ბევრი მაქვს. „წარმატებული ქალბატონების“ ჩვენების შემდეგ ძალიან მალევე, იანვარში ვაპირებ წარმატებული და პოპულარული კომპანიების პირები გამოვიყვანო სცენაზე. უკვე სამი წელია მელოდებიან ბიზნესლედები, რომელთა გამოყვანაც მინდა პოდიუმზე. ამ პროექტში ჩაერთვებიან უცხოეთში მცხოვრები ქართველები, ასევე საქართველოში მომუშავე უცხოელი ლამაზი ბიზნესლედები. თბილისში მოღვაწეობს ამერიკელი ქალბატონი, რომელიც ულამაზესია, ის თავის დროზე სინდი კროუფორდთან ერთად გამოდიოდა პოდიუმზე, ახლა კი ჩემს პროექტში მიიღებს მონაწილეობას. მინდა, რომ ყველა ჩემი პროექტი მრავალფეროვანი იყოს და მოსულ საზოგადოებას დიდხანს დაამახსოვრდეს.

# მენინგი ვიკილიქსისათვის“ დოკუმენტების გადაცემის ფაქტის აღიარებისათვის მზადაა



ამერიკელი სამხედრო ბრედლი მენინგი, რომელსაც ვებგვერდ ვიკილიქსისათვის ასი ათასობით საიდუმლო დიპლომატიური და სამხედრო დოკუმენტის გადაცემა ბრალდება, მზადაა, თავი დამნაშავედ ცნოს, მხოლოდ შედარებით ნაკლებად სერიოზულ დანაშაულში. აღნიშნულის შესახებ, მენინგის ადვოკატმა დევიდ კუმბსმა გუშინ განაცხადა.

მენინგის წინააღმდეგ 22 ბრალდებაა წამოყენებული, მათ შორის – ჯაშუშობა და მტრის დახმარება. ამ პუნქტების დამტკიცების შემთხვევაში მენინგს სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

ადვოკატის განცხადებით, მენინგი ჯაშუშობასა და მტრისათვის დახმარების აღმოჩენას არ აღიარებს, თუმცა ის პირველად მზად არის საიდუმლო დოკუმენტების გადაცემის ფაქტი აღიაროს.

სასამართლო მენინგის ადვოკატის განცხადებას 10 დეკემბერს დანიშნულ მოსმენაზე განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ ვიკილიქსი საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც აქვეყნებს ანონიმური წყაროებიდან მოპოვებულ, ჩვეულებრივ ხელმიუწვდომელ დოკუმენტებს. მისმა ვებგვერდმა ფუნქციონირება დაიწყო 2006 წელს. ამოქმედებიდან ერთ წელიწადში გვერდის მონაცემთა ბაზა შეიცავდა 1.2 მილიონ დოკუმენტს.

თავად ორგანიზაციის განცხადებით, ის დააარსეს ჩინელმა დისიდენტებმა, ასევე ჟურნალისტებმა, მათემატიკოსებმა და პროგრამისტებმა აშშ-დან, ტაივანიდან, ევროპიდან, ავსტრალიიდან, სამხრეთ აფრიკიდან.

# გურამ ოდიშარიამ მოადგილეები დაასახელა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გაზრდებს კლუბში „დივანი“, ასევე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. გურამ ოდიშარია პირობას დებს, რომ ნებისმიერი საკითხი საზოგადოებასთან დიალოგის გზით გადაწყდება. რაც ყველაზე მთავარია მისთვის, არის ის, რომ კულტურული ცხოვრების ეპიცენტრი არა მარტო თბილისი, არამედ მთელი საქართველო უნდა იყოს.

როგორც ბრიფინგზე კულტურის მინისტრმა განმარტა, მისი პირველი მოადგილე იქნება ალექსანდრე მარგიშვილი, მეორე მოადგილეა იური მეჩითოვი, მესამე მოადგილე – მარინა მიზანდარი, ხოლო მეოთხე მოადგილე – ხათუნა ხუნდაძე. ბრიფინგზე გახდა ცნობილი, რომ კულტურის სამინისტროში შეიცვალა მენეჯმენტის სტრუქტურაც. ხათუნა ხუნდაძე უხელმძღვანელებს ღონისძიებებისა და ხელოვნებათმცოდნეობის სფეროს, საერთაშორისო პროქტებსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე მარინა მიზანდარი იზრუნებს, იური მეჩითოვს შეეხება თეატრები, სახელოვნებო სკოლები და კინოსტუდიები, ხოლო ალექსანდრე მარგიშვილი სამინისტრში ფინანსურ საკითხებს განკარგავს.

როგორც მინისტრის ერთ-ერთმა მოადგილემ მარინა მიზანდარმა განაცხადა:

– ვიმუშავებ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგიის შესამუშავებლად, ჩემს დაქვემდებარეში იქნება კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების დეპარტამენტი და ასევე საერთაშორისო პროგრამების დეპარტამენტი.

აქვე ცნობილი გახდა, რომ კულტურის სამინისტრომ საერთაშორისო პროექტების დაფინანსება შეაჩერა. როგორც კულტურის მინისტრის ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი:

– საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სახელით უნდა მოგახსენოთ, რომ საერთაშორისო პროექტების – ინდივიდუალური თუ ჯგუფური ინციატივები, რომელიც გულისხმობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ და მასთან დაკავშირებულ მგზავრობის ხარჯებს – დაფინანსება შესაბამისი პროექტების განმხილველი კომისიის შექმნამდე, ანუ 2012 წლის 15 დეკემბრამდე, დროებით შეწყვეტილია. აღნიშნული შეფერხებისთვის გიხდით ბოდიშს და მომავალში ჩვენი აქტიური თანამშრომლობის იმედს ვიტოვებ, – აცხადებს გურამ ოდიშარია.

# ცენტრალური აფრიკის პრეზიდენტმა თავისი ვაჟის დაპატიმრების განკარგულება გასცა

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფრანსუა ბოზიზემ საკუთარი ვაჟის დაპატიმრების განკარგულება გასცა. აღნიშნულის მიზეზად პრეზიდენტის შვილის მიერ სასტუმროში გადაუხდელი ანგარიშები სახელდება.

ბი-ბი-სი ადგილობრივი პოლიციაზე დაყრდნობით იტყობინება, რომ სახელმწიფოს მეთაურის შვილმა რამდენიმე ღამე გაატარა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ ბანგის ხუთვარსკვლავიან სასტუმროში და არ გადაიხადა 13 ათასი აშშ დოლარი.

ქვეყნის პრეზიდენტის განცხადებით, ყველა თანამდებობის პირს, რომელიც არ გადაიხდის სასტუმროში ცხოვრების ხარჯებს, დაეკისრება სათანადო პასუხისმგებლობა.

ფრანსუა ბოზიზე იანგუვონდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტია 2003 წლიდან.

1979-1981 წლებში თავდაცვის მინისტრია, ხოლო 1981-1982 წლებში – კულტურისა და ინფორმაციის მინისტრია. ხელისუფლების სათავეში მოვიდა სახელმწიფო გადატრიალების შედეგად. ორწლიანი გარდამავალი პერიოდის შემდეგ ჩაატარა საპრეზიდენტო არჩევნები და გაიმარჯვა. ასევე გამარჯვებას მიაღწია 2011 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# დინამო და დილა კონკურენტებს მოსწყდნენ

დასაწყისი მე-9 გვერდზე

**კოლხეთი:** ხარშილაძე, ზ.ჩხეტიანი, ფარულავა, ცხვიტარია, გაბუნია, ქორჩილავა (კობერიძე 25), ცხადაია (პავლიაშვილი 76), ქებაძე, კვანტალიანი (ღუჭაშვილი 43) კრასოვსკი, პ.დათუნაიშვილი

ზუგდიდელებმა ზედიზედ მე-4 მატჩი მოიგეს და სამეულში დამკვიდრებას ცდილობენ. ამჯერად მასპინძლებს გაბედავამ მოაგებინა, რომლის გოლი ერთადერთი აღმოჩნდა მატჩში.

ჩიხურა – ვიტ ჯორჯია 4:0

საჩხერე. ივანწმინდის სტადიონი

1:0 კასრაძე (4სკ), 2:0 ოდიკაძე (35პ), 3:0 შარაშენიძე (83), 4:0 დეკანოიძე (84)

ჩიხურა: სომხიშვილი, ოდიკაძე, ბერიანიძე, საჯაია, ჩიკვაიძე, დილმელაშვილი, ლომაშვილი, ნ.კვასხვაძე (ნ.მაისურაძე 31), კირკიტაძე (ბაკურაძე 75), დეკანოიძე, შარაშენიძე

ვიტ ჯორჯია: დაუშვილი, გოგიაშვილი, კასრაძე, გეთიაშვილი, დავლაშელიძე, ჯავაშვილი (უბილავა 87), ვასაძე (გაბრიჭიძე 69), გურეშიძე, ღიბრაძე, კორიფაძე, ჩიმაკიძე (ლობჟანიძე 69)

საჩხერელებმა მორიგი გამარჯვება მიითვალეს და სამეულში მოხვედრის შანსი კიდევ უფრო გაიზარდეს. ვეტერინარებს კი საკმაოდ იოლად გაუსწორდნენ. თუმცა, ყველაფერი კურიოზული გოლით დაიწყო – კასრაძემ ბურთი საკუთარ კარში გაგზავნა. ამას პირველ ტაიმში ოდიკაძის პენალტი მოჰყვა, ხოლო მატჩის მიწურულს შარაშენიძემ და დეკანაოიძემ ანგარიში გამანადგურებელი გახადეს.

მერანი – მეტალურგი 0:0

მარტვილი. ცენტრალური

მერანი: შეროზია, გეგეჭკორი, ჟვანია, ქარქუზაშვილი, დიდავა (ნოზაძე 29), მელიავა, ფონიავა, კუჭუხიძე, ტორონჯაძე (ამბროლაძე 87), რეხვიაშვილი (ს.ლომია 59), ბუკია

მეტალურგი: ბათიაშვილი, ინწკირველი, მახვილაძე, რაზმაძე, ჯაფარიძე, სუხიაშვილი, ი.მაისურაძე (გავაშელიშვილი 87), ტატანაშვილი (მიქაბერიძე 74), ქავთარაძე (დობროვოლსკი 61), გეწაძე, სიხარულიძე

„მეტალურგი“ კიდევ უფრო ჩამორჩა ექვსეულს და სავარაუდოდ, დამრჩენთა შორის მოუწევს ბრძოლა. მარტვილელებმა კი უპირატესობის მიუხედავად მოგება ვერ მოახერხეს, თორემ მეტოქეს გადაასწრებდნენ კიდეც.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 14 | 10 | 3 | 1 | 41:13 | 33 |
| 2.დილა | 14 | 10 | 1 | 3 | 24:8 | 31 |
| 3.ზუგდიდი | 14 | 7 | 5 | 2 | 19:9 | 26 |
| 4.ტორპედო | 14 | 8 | 2 | 4 | 29:13 | 26 |
| 5.ჩიხურა | 14 | 8 | 2 | 4 | 21:14 | 26 |
| 6.ზესტაფონი | 14 | 7 | 3 | 4 | 17:9 | 24 |
| 7.მეტალურგი | 14 | 5 | 2 | 7 | 9:18 | 17 |
| 8.ვიტ ჯორჯია | 14 | 4 | 3 | 7 | 10:20 | 15 |
| 9.მერანი | 14 | 4 | 2 | 8 | 7:23 | 14 |
| 10.სიონი | 14 | 3 | 4 | 7 | 11:22 | 13 |
| 11.დინამო (ბთ) | 14 | 2 | 2 | 10 | 13:31 | 8 |
| 12.კოლხეთი | 14 | 0 | 3 | 11 | 5:26 | 3 |

ბომბარდირები: ჯაბა დვალი (დინამო თბ) – 12 ბურთი; ალვარო, ჩისკო (ორივე დინამო თბ); ნიკა საბანაძე (ტორპედო) – 7; მიხეილ ჯორბენაძე (დინამო ბთ), რევაზ ჯიქია (სიონი).



**შვეულად:** 1. ძველებური ცხვირზე დასამაგრებელი სათვალე; 2. ქართული ლუდი; 3. ბულვარული ჟურნალ-გაზეთების სახელწოდება აშშ-ში; 4. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 6. ბერიკაობის ერთ-ერთი მონაწილე, დევის ნიღაბი; 8. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 11. ბროშში, ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 12. ქუჩის ძველი ქართული სახელწოდება; 16. ტროპიკული ტენიანი ტყეების სახელწოდება სამხრეთ ამერიკაში; 17. ფრანგი პოეტი „ინტერნაციონალის“ ტექსტის ავტორი; 18. კუთხე საქართველოში.

**თარაზულად:** 1. საძინებელი სარკინიგზო ვაგონის გამომგონებელი ამერიკელი მრეწველი; 5. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 7. ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია, გაკოტრების პირას მყოფი კომპანიების, ბანკების გადარჩენა; 9. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 10. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 13. ფრანგი ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 14. ქვანახშირის, ქვიშის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 15. გაწყალებული ღვინო; 19. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 20. ტვირთის მცირე სიმაღლეზე ასაწევი მექანიზმი; 21. ქართველი მხატვარი, გობელენისტი; 22. ხუმარა, ოხუნჯი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ტაბლეტი; 3. მარილი; 8. არტელი; 10. ლიანოსი; 11. კამეა; 12. მარადია; 14. დებიტი; 15. პრიმატი; 16. ლიოსი; 19. მიტენი; 20. კიმბალა; 21. იონიკა.

**შვეულად:** 1. ტეტრამეტრი; 2. ტაპირი; 3. მილორდი; 4. ლინზა; 5. კრენდელი; 6. ფერია; 7. ვიადუკი; 9. პრერია; 13. მარტი; 17. ოსპი; 18. ეხი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. კალა; 2. პრესი; 3. მანონ; 4. მთა; 5. „ალია“; 6. „პიგმალიონი“; 7. „ილიადა“; 8. იპრი; 9. საგა; 10. სპიჩი; 11. პლანეტა; 12. აკირა; 13. მა; 14. ლაინერი; 15. რაე; 16. ჩაი; 17. კობიაშვილი; 18. ტომ; 19. რამპა; 20. რუბაია; 21. ნობათი; 22. მაკარენა; 23. სნო; 24. პანტა; 25. ამიმია; 26. რეალი; 27. ბურანი; 28. ლორდი; 29. ერესი; 30. ელიტა; 31. ლიანდაგი; 32. ირიდა; 33. იერი; 34. იგავი.

**სურათებზე:** კირა ნაითლი; ლუიშ ნანი.

## დიდი ბრიტანეთი სირიაში შეზღუდული სამხედრო ინტერვენციის საკითხს განიხილავს




„სამხედრო ინტერვენცია — ეს უპირობოდ არის ის, რაც ჩვენ მოცემულ მომენტში უნდა განვიხილოთ. ქვეყანაში დღითიდღე უარესდება ჰუმანიტარული მდგომარეობა და ამან შესაძლოა შეზღუდულ სამხედრო ინტერვენციამდე მიგვიყვანოს", — განაცხადა დიდი ბრიტანეთის თავდაცვის შტაბის ხელმძღვანელმა, სერ დევიდ რიჩარდსმა.

მისივე თქმით, თუ როგორ წარიმართება ოპერაცია, ეს საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს. ამასთან, დანაყოფები ახლოაღმოსავლურ ქვეყანაში შესაძლოა უკვე ზამთარში გადაიგზავნოს.

„ჩვენ მუდმივად განვიხილავთ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო გზებს. ჩვენი მუშაობა იმაში მდგომარეობს, რომ შევაფასოთ თუ რამდენად შესაძლებელია მათი შესრულება", — აღნიშნა გენერალმა. აღნიშნულთან დაკავშირებით, თავის მხრივ კომენტარი გააკეთა სირიის პრეზიდენტმა, ბაშარ ასადმა.

„სირიაში უცხო ქვეყნის ინტერვენციის ფასი იმაზე მაღალი იქნება, ვიდრე ამას მთელი მსოფლიო ერთად გაიღებდა. ამას დომინოს ეფექტი ექნება, რომელიც ატლანტიკიდან წყნარ ოკეანემდე, მთელს მსოფლიოს შეეხება. არ მჯერა, რომ დასავლეთი ამ გზით მიდის, თუმცა თუ დასავლური ქვეყნები ამას გააკეთებენ, მაშინ ვერავინ შეძლებს იმის თქმას, რა შედეგსაც ისინი მიიღებენ", — განაცხადა ასადმა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი კი მხარს უჭერს ყატარის დედაქალაქ დოჰაში ფორმირებულ სირიის ოპოზიციურ კოალიციას.

„ჩვენ მოხარეულები ვართ მხარი დავუჭიროთ, კოალიციას, რადაგანაც იგი კურსს, რომელიც მიმართული ბაშარ ასადის სისხლიანი რეჟიმის დასასრულებლად და მშვიდობიანი, სამართლიანი და დამოკრატიული მომავლისკენ, რომელსაც იმსახურებს სირიელი ხალხი", — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-მდივნის მოადგილის მარკ ტონერის განცხადებაში. ახალი ოპოზიციურ სტრუქტურას — ოპოზიციური ძალებისა და სირიის რევოლუციის ეროვნული კოალიციას სათავეში ერთ-ერთი გამორჩეული ისლამის მღვდელმსახური, მუაზ ხატიბი ჩაუდგა სათავეში.

იგი ცნობილია, როგორც გაწონასწორებული პიროვნება. რამდენიმე ხნის წინ მან გააკეთა მოწოდება სირიის კრიზისის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისკენ. ხატიბი მიიჩნევს, რომ მოლაპარაკებები ასადთან ვერ გადაარჩენს რეჟიმს, თუმცა შესაძლებელს გახდის მისი წასვლა ნაკლებად მტკივნეული გახადოს.

გაერთიანების ერთ-ერთი მთავარი ინციატორი დიდი ბრიტანეთი იყო. მთავარი მიზანია სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ კოორდინირებული ბრძოლა. ასევე გაერთიანება ვალდებული იქნება მართოს სირიის ის პროვინციები, რომლებიც ამბოხებულების კონტროლ ქვეშ არის.

## ბერლუსკონის იტალიიდან გადასახლებას ურჩევენ



იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს სილვიო ბერლუსკონის აფრიკულ კენიაში გადასახლებას ურჩევენ. ბერლუსკონის პირადი ექიმის ალბერტო ძანგრილოს განცხადებით, ეს 76 წლის ბერლუსკონის ბევრ სტრესს აარიდებს, რაც მისი ჯანმრთელობისთვის ძალიან ცუდია.

„ბერლუსკონი იმის მსგავს სტრესს განიცდის, კრიშტიანუ რონალდუ ახლა რომ მეორე ლიგის გუნდში ათამაშო, სწორედ ამ მდგომარეობაში იმყოფება ახლა ბერლუსკონი, ამიტომ ვთვლი, რომ კენიაში მისი ყოფნა ასჯერ უფრო უკეთესია, ვიდრე მისი შეხვედრა მოწინააღმდეგეებთან", — აცხადებს ძანგრილო .

სილვიო ბერლუსკონი ბოლო პერიოდში კენიაში უკვე ორჯერ იმყოფებოდა. აქ მას ექიმებმა ნახშირწყლებსა და ადგილობრივ ხილზე მორგებული დიეტა დაუნიშნეს.

ბერლუსკონის რამდენიმე კვირის წინ მილანის სასამართლომ, განსაკუთრებით დიდი ოდენობის გადასახდების დამალვისა და მაქინაციების ჩატარებისთვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა, ის შემდეგ ერთწლიანი სასჯელით შეუცვალა და 30 მილიონი დოლარის სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდა დააკისრა, იტალიის ყოფილ პრემიერს კიდევ ერთი სასამართლო პროცესი ელოდება — ბერლუსკონის საკუთარ ვილაში „ბუნგა— ბუნგას საღამოების" გამართვა და არასრულწლოვანებთან სექსუალური კავშირის დამყარება ედება ბრალად.

შეგახსენებთ, რომ გადადგომის შემდეგ სილვიო ბერლუსკონიმ იტალიელ ხალხს ბოდიში მოუხადა, რათა მან ვერ შეძლო და ვერ მოახერხა ეკონომიკური კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის შესახებ ბერლუსკონმა იტალიელ ჟურნალისტთან ბრუნო ვესპოლთან ინტერვიუში განაცხადა.

„მე პატიებას ვთხოვ იტალიელებს, რადგანაც ვერაფრის გაკეთება ვერ შევძელი. კრიზისმა გაანადგურა ყველა ჩვენი ძალისხმევა, რასაც ჩვენ ბოლო 20 წლის განმავლობაში, უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეში მივაღწიეთ", — განაცხადა ბერლუსკონიმ.

## მოსკოვი აშშ-ს ირანთან პირდაპირი დიალოგისკენ მოუწოდებს

რუსეთის ხელისუფლებამ აშშ-სა და თეირანს ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით პირველად ორმხრივი პირდაპირი დიალოგისკენ მოუწოდა. ამის შესახებ „ფაინეშლ თაიმსი" რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, სერგეი რიაბკოვის ინტერვიუზე დაყრდნობით წერს.

მოსკოვი იმედოვნებს, რომ ამგვარი მოლაპარაკებები ხელს შეუწყობს, თავიდან იქნას აცილებული ირანის ობიექტებზე ისრაელის დარტყმა.

„შეკითხვაზე, თუ როგორი რეაქცია ექნება მოსკოვს, თუ აშშ და ირანი პირდაპირ დიალოგზე მოახდენენ ფოკუსირებას, რიაბკოვმა განაცხადა, რომ მათ არაფერი საწინააღმდეგო არ აქვთ და იმედია, რომ მათ ამ მოლაპარაკებების შინაარსის შესახებ ინფორმაციას მიაწვდიან", — წერს გამოცემა.

„აშშ-სა და ირანს შორის არაფორმალური კონტაქტები გრძელდება, თუმცა შესაძლებელია პირდაპირი დიალოგიც. ასეთი შეთანხმება ჩვენ პრობლემას არ გვიქმნის. ჩვენ პრაგმატული ადამიანები ვართ — გვსურს, რომ დღევანდელი ქაობიდან ამოვიდეთ", — დასძინა რიაბკოვმა.

გამოცემის ცნობით, ამერიკულ-ირანული პირდაპირი მოლაპარაკებების აუცილებლობაზე დასავლური სახელმწიფოების დიპლომატები უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში აქტიურად საუბრობენ.

ამასთან, გამოცემას ერთ-ერთი „მაღალი თანამდებობის ბრიტანელი პირის" სიტყვები მოჰყავს, რომლის მიხედვითაც აშშ ირანთან პირდაპირ მოლაპარაკებებში უნდა ჩაერთოს, რათა დაარწმუნოს, რომ ის ირანში რეჟიმის შეცვლას არ აპირებს.

თავის მხრივ, რიაბკოვმა დასძინა, რომ საერთაშორისო



ექვსეულისა და ირანის მოლაპარაკებები ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გაგრძელდეს.

შეგახსენებთ, რომ 2010 წლიდან ირანი ოფიციალურად მუშაობს ურანის გამდიდრებაზე, რაც საერთაშორისო საზოგადოებას უქმნის ეჭვს, რომ ირანის ბირთვულ პროგრამას სამხედრო მიზნები აქვს. საერთაშორისო შუამავლების ექვსეული, რომელშიც რუსეთი, აშშ, ჩინეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და გერმანია შედიან, ცდილობენ დაარწმუნონ თეირანი, რომ ურანის გამდიდრება შეწყვიტოს.

თავის მხრივ, ირანი ყველა ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ მისი ბირთვული პროგრამა მშვიდობიან მიზნებს ემსახურება.

ამ ფონზე, აშშ-მა ირანის წინააღმდეგ ცალმხრივი საქციების ახალი პაკეტი დაამტკიცა. მისი ფორმულირებაა „ადამიანის უფლებების დარღვევის, მასობრივი განადგურების იარაღის და ტერორიზმის მხარდაჭერისთვის". აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სადამსჯელო ღონისძიებები შეეხო 17 ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

მათ შორის არიან კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მინისტრი რეზა ტაგიპური, ირანის კულტურის სამინისტრო და მას დაქვემდებარებული პრესაზე ზედამხედველობის სამსახური, ირანის ნავთობის ნაციონალური კომპანია, ქვეყნის მართლწესრიგის დაცვის ძალების უფროსი ისლამ აჰმადი მოჰამედი.

შავ სიაში ასევე მოხვდნენ, სახალხო ლაშქრის ძალების მეთაურის მოადგილე ალი ფაზლი, ერაყში მოქმედი და ირანის მიერ მხარდაჭერილი დაჯგუფება „ჰატაიბ ჰეზბოლას" ლიდერი კარიმ ჯაფარ მუჰსინ ალჰამინი და მისი ორი თანამებრძოლი. ასევე სხვა პირები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სხვადასხვა შეიარაღებულ დაჯგუფებებთან.

სიაში აღმოჩნდა თეირანის იმამ ჰუსეინის სახელობის უნივერსიტეტი და სამედიცინო უნივერსიტეტი. სხვა დაწესებულებები და ფიზიკური პირები.

საქციების მიხედვით, „შავ სიაში" მოხვედრილ ფიზიკურ პირებს ეკრძალებათ აშშ-ში ჩასვლა. მათი და სიაში მოხვედრილი კომპანიების და ფიზიკური პირების აშშ-სთვის ხელმისაწვდომი აქტივები გაიყინება.

## ევროს დიზაინი იცვლება



სულ მალე ევროს კუპიურის დიზიანი შეიცვლება. კუპიურაზე გამოსახული ხიდები, კარებები და ფანჯრები შეიცვლება მითოლოგიური ფინელი პრინცესას სახით, რომელსაც მოსატაცებლად ხარად გადაქცეული ზევსი მისდევს.

ევროპის ცენტრალური ბაკის განცხადებით, შეიცვლება არა მარტო კუპიურის დიზიანი, არამედ მისი დაცვის ნიშანიც.

„პორტრეტებს ტრადიციულად იყენებენ ფულად კუპიურებზე, რადგან ადამიანები უფრო ადვილად იმახსოვრებენ მას, ვერც მოვძებნით უკეთესს გამოსახულებას, ვიდრე ევროპის მითოლოგიაა, რომელიც ევროს დაამშვენებდა", —განაცხადა ევროპის ბანკის ცენტრალურმა დირექტორმა მარიო დრაგამ.

პრინცესას გამოსახულებიანი ხუთევროიანი კუპიურა მიმოქცევაში 2013 წლის მაისიდან ჩაეშვება, დანარჩენი ბანკნოტებც უახლოეს პერიოდში გამოჩნდება. ძველი ევროს კუპიურების ამოღება სრულად 10 წელიწადში მოხდება.

ევრო ევროპის კავშირის ოფიციალური ვალუტა და ერთადერთი ფულადი ერთეული 300 მილიონი ევროპელისთვის ევროგაერთიანების შემდეგ ქვეყნებში: ავსტრია, ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, პორტუგალია, ესპანეთი და ესტონეთი, რომელსაც კოლექტიურად ევროზონასაც უწოდებენ. ორმხრივი შეთანხმებების შედეგად ევრო ასევე ოფიციალური ვალუტაა შემდეგი არაწევრი ქვეყნებისთვის: მონაკო, სან-მარინო და ვატიკანი. ევრო დე-ფაქტო ვალუტაა ანდორაში, კოსოვოსა და მონტენეგროში.

ევრო მსოფლიო სავაჭრო ბაზრებზე როგორც სააღრიცხვო ვალუტა შემოვიდა 1999 წელს, ფიზიკური ბანკნოტები და მონეტები კი შემოღებულ იქნა 2002 წელს. ევროგაერთიანების ყველა ქვეყანას აქვს უფლება შეუერთდეს ევროზონას იმ შემთხვევაში, თუ ისინი პასუხობენ გარკვეულ მონეტარულ მოთხოვნებს, ევროს გამოყენება ვალდებულებაა ევროკავშირის ყველა ახალი წევრისთვისაც.

ევროს მართავს და ადმინისტრირებას უწევს ფრანკფურტში მდებარე ევროპის ცენტრალური ბანკი (ეცბ) და ევროპის ცენტრალურ ბანკთა სისტემა (რომელშიც წევრ ქვეყანათა ცენტრალური ბანკები შედის). როგორც დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი, „ეცბ-ს" ერთპიროვნული უფლება აქვს, მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრის. „ეცბს" მონაწილეობს ბანკნოტების ბეჭდვაში, მონეტების ჩამოსხმაში და მათ სისტემაში გავრცელებაში ყველა წევრ ქვეყანაში, ისევე როგორც ევროზონის საგადამხდელო სისტემის ფუნქციონირებაში.

## სამხრეთ კორეაში პირველ ლედის დაკითხავენ



სამხრეთ კორეაში სკანდალი აგორდა — პირველ ლედის კიმ იუნ ოკს კორუფციაში ბრალდების მოტივით დაკითხავენ. საქმე ეხება იმ სახლის მშენებლობას, რომელიც შენდება და რომელიც ამჟამინდელი პრეზიდენტის, ლი მენ ბაკისთვისაა განკუთვნილი მას შემდეგ, რაც მას საპრეზიდენტო უფლებამოსილება შეუწყდება.

ქვეყანაში შეიქმნა სპეციალური 63-კაციანი კომისია სპეციალური მრჩევლის ლი გვან ბუმის ხელმძღვანელობით, რომელიც პირველ ლედის დაკითხვას მიმოწერის რეჟიმში შეუდგება. გარდა ამისა, კომისია აპირებს ჩხრეკა ჩაატაროს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, დაკითხოს პრეზიდენტის ოჯახის წევრები და დაცვა. კომისია ეჭვობს, რომ პრეზიდენტის დაცვამ მნიშვნელოვანი დოკუმენტების განადგურება მოახერხა.

კომისია ცდილობს დაადგინოს, ვინ გასცა ბრძანება და სად წავიდა ის თანხები, რაც სახლის მშენებლობისთვის გამოყო პრეზიდენტის ადმინისტრაციამ პრეზიდენტის ფეშენებელური სახლის მშენებლობისთვის.

სამხრეთ კორეაში მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის 17 დეკემბერსაა ჩანიშნული.

სამხრეთ კორეის პრეზიდენტი, ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, არის სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის მეთაური და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. კონსტიტუციითა და 1987 წელს შესწორებული საპრეზიდენტო არჩევნების აქტით, საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება პირდაპირი, ფარული კენჭის ყრით. პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით, ხელახალი არჩევის შესაძლებლობის გარეშე. თუ ქვეყანაში შეიქნება საპრეზიდენტო ვაკანსია, მომდევნო პრეზიდენტი აირჩევა 60 დღის ვადაში, რომლის დროსაც საპრეზიდენტო უფლებამოვალეობებს ასრულებს პრემიერ-მინისტრი ან კაბინეტის სხვა უპირატესი წევრი, რასაც არეგულირებს კანონი. ოფიციალური რეზიდენცია ლურჯი სახლი.

2008 წლის 25 თებერვლიდან სამხრეთ კორეის პრეზიდენტია ლი მენ ბაკი.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

აფხაზეთის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თაობათა აღმზრდელი, მეთოდკაბინეტის გამგე, აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ქალბატონი

**მარო ლაშხია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

*ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლები*

**ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7 რდბჰბს უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8**

## TV პროგრამა

**სამშაბათი 13 ნოემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე). **7.30** "ჩვენი დილა". **09.00, 10.00, 11.30, 12.00, 13.30, 14.00, 15.30, 16.00, 20.00, 01.10** მოამბე. **10.30** დილის საუბარი. **11.00** "სამოთხის ვაშლები". **12.45** "პირადი ექიმი". მარი მალაზონია. **13.30** "დღეს ორის ნახევარზე". **15.00** სოციალური აზრი. **15.30** მულტფილმი "პაპირუსი". **17.00** დოკ.ფ. "ძვლების მკვლევარები". **17.55 კალათბურთი**. არმია — ანტვერპ ჯაიანტსი (ბელგ.) **21.00** სერ. "**საიდუმლო აგენტები**". **22.00** "აქცენტები". **23.00** მხ.ფ. "**სასიკვდილო იარაღი-2**" (მ. გიბსონი) **01.30** მხ.ფ. "**კუნძული**" (ს. იოჰანსონი) **03.40** მხ.ფ. "**იმპერია**". **06.00** დოკ.ფ.

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე). **09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00** ბრიფინგის დრო. **11.00** დოკ.ფ. "ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე". **4** ს. **14.00** დოკ.ფ. "სიცოცხლე ადამიანის შემდეგ". **12** ს. **16.00** დოკ.ფ. "რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა". **7** ს. **19.00** დოკ.ფ. "სამასის სპარტელის უკანასკნელი შერკინება". **1** ს. **22.00** თავისუფალი ტრიბუნა. **01.00** მხ.ფ. "**სირიანა**". (ჯ. კლუნი)

**08.00** ან.ფ. "პიტერ პენი და მეკობრეები". **2** ს. **09.00** სერ. "**ცხელი ძაღლი-2**". 7-სერ. **10.00** სერ."**იღბლიანი მოახლე**" **11.00** სერ. "**უკვდავი ამბავი**". **12.00** სერ. "**მემკვიდრეები**". **13.00** სერ. "**გაქცევა**". **14.00** სერ. "**თვალი არ მომაცილო**". **15.00** მხ.ფ. "**მაღალი ქერა მამაკაცი შავი ფეხსაცმლით**". **17.00** სერ. "**მოჯადოებული**". **18.00** სერ. "**მეწამული ცა**". **19.00** სერ. "**სახიფათო ვნება**". **20.00** ქ.სერ. "**ყავა და ლუდი**". **21.00** სერ. "**მემკვიდრეები**". **22.00** ქ.სერ. "**ცხელი ძაღლი**". **23.00** სტუმრად "იუმორინასთან". **00.20** ახალი ქართული ხმა. **02.10** მხ.ფ. "**მისტერ და მისის სმიტები**" (ბ. პიტი) **04.10** მხ.ფ. "**კეთილი ჯონი**" (ჩ. ტატუნი) **05.55** მხ.ფ. "**გატეხილი ისარი**" (ჯ. ტრავოლტა) **07.45** მუსიკა.

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო. **10.00** სერ."**ქალის მსხვერპლი**". **11.00** სერ. "**ეჭვი და სიყვარული**". **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები. **13.00** შუა დღე. **15.30** ვანოს შოუ. **17.00** სერ."**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**მგზნებარე გული**" **19.50, 20.05** სერ. "**ღირსება და ამბიცია**" **21.50** ეროვნული ლატარეა. **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.40** ჩემპიონთა ლიგა **01.00** მხ.ფ. (ტიტ.) **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**მზე 08.00** ან. ფ. **08.55** სერ. "**მისი სულის მუსიკა**" **09.45, 12.00, 15.00, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფ. "**გაძარცვა**". **12.15** სერ. "**დიელი&პასკო**" **13.00** მხ. ფ. "**პრეზიდენტის თვითმფრინავი**". **15.15** მხ. ფ. "**მომავალში დაბრუნება-2**". **17.10** სერ. "**პოლიციელთა ამბები**" **18.00** მხ. ფ. "**მოჩვენება**". **20.00** სერ. "**ტყუპები**" **21.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ.ფ. "**ფორმესტ გამპი**". **00.40** მხ. ფ. "**განსაკუთრებით მძიმე დანაშაული**".

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა. **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი. **06.15** სპექტაკლი "**აკაკი**". **08.00** დილის ლოცვა. **08.20** სახარება. **08.25** ჩვენი ფონდი. **08.30** განთიადი. **10.05, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი. **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური. **10.10** სიახლენი. **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება. **10.40** წმინდა იოთამ ზედგენიძე. **10.45** დოკ.ფ. "ადილა". **11.20** საღვთისმეტყველო საუბრები. **12.05** ამინდი. **12.15** მხ.ფ. "**ჩვენი ქალაქის ვარსკვლავი**". **13.35** კონცერტი – თამარ ჭოხონელიძე. **15.05, 18.53, 22.55** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთან". **15.35** დოკ.ფ. "ველური ბუნება". **16.00** მხ.ფ. "**წინა მორბედი**". **18.10** სალბუნი. **18.25** დიდხარ შენ, უფალო. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **19.20** ჩვენი ტრაპეზი. **19.30** დროის ჩანაწერები. **20.40** ძილი ნებისა. **21.05** პატრიარქის ქადაგება. **21.30** საყვაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია. **22.25** მგზავრები წუთისოფლისა. **23.00** საღამოს ლოცვა. **23.15** დოკ.ფ. "**100** ათასი მოწამე". **00.30** ერთსულოვნების სალონი. **01.15** კარაბადინი. **01.40** ირაო.

**მაესტრო 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.00, 00.00, 02.35, 06.00** ახალი ამბების კოლაჟი. **07.30, 08.20, 10.30, 12.30, 13.45, 15.30, 16.30, 18.40, 05.30, 06.35** უცხოეთის ამბები. **08.30, 09.15** შალვა რამიშვილის "დილა". **11.30, 22.00, 02.15** ყოველდღიური ამბები. **13.30** აკრედიტაციის გარეშე. **14.05** მაესტროს პრესკლუბი. **17.10, 04.50** თოქ-შოუ "პირდაპირი საუბარი". **19.05** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი". **19.30, 00.55** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები". **22.20, 03.10** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

ß noemberi

აშშ დოლარი — 1,6589
ევრო —2,1221
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779
რუსული რუბლი — 0,0512

**აღმოსავლეთ საქართველო:** დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 20–21, ღამით — 15–17.
**დასავლეთ საქართველო:** დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 21–23, ღამით — 16–17
**სამხრეთ საქართველო:** დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 16–17, ღამით — 7–8

ამინდის პროგნოზი 13 ნოემბრისთვის





# 7 ნოემბრიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად




წმინდანთა ცხოვრება

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

# 12 noembridan

ახალ თაობასთან“ ერთად

hxtekbmfhsekb

pqfght,bc cfvnjvtekbc

მესამე ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი


## ·ღცჯფვ უფბსღფჟბცობყცს= საინტერესო დღეა

fcnhjghjuyjpb

!# ყჯცვ,პბცსღბც

**ვერძი** — თქვენს ცხოვრებაში სიახლეა, გახარებული ხართ. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** — არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **ქალწული** — არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **სასწორი** — ბრწყინვალე ფორმაში ხართ, ყველას თვალში ხვდებით. **ღრიანკალი** — იმიჯის შეცვლა კარგია, იფიქრეთ ამაზე. **მშვილდოსანი** — თავს გამოიჩენთ, დაჯილდოვდებით კიდეც. **თხის რქა** — გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა, გელით სხვა სიახლეც. **მერწყული** — ჰარმონიული დღე გელით, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **თევზები** — ახალი ცხოვრება მოგწონთ, ცდილობთ, მას ფეხი აუწყოთ.

უბცეპღც,ს ,ცღყბცპ ღქცს=

## hპჯცღჯპღბ ფ

**შვეულად:** 1. ინგლისის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდების კაპიტანი; 2. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 3. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 4. ძალზე მტკიცე მინერალი; 5. ყაზახეთის დედაქალაქი; 9. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა; 10. მაღალმთიანი ტბა გულრიფშის რაიონში; 14. სპეციალურად შეგროვებული, გამხმარი მცენარეების კოლექცია; 15. ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების გვერდების ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. ტომატის საწებელა; 20. ქერცლფრთიანი ოჯახის მწერი; 21. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.

**თარაზულად:** 6. სასუნთქი ორგანოების, მავნე აირებისა და მტვრისაგან დამცავი მოწყობილობა; 7. ყველაზე დიდი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 8. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 11. ფოლადის შტამპი მატრიცების დასამზადებლად; 12. მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი საქართველოში; 13. სომეხთა მღვდელი; 17. ჩქარტემპიანი ესპანური ცეკვა კასტანიეტებისა და გიტარის თანხლებით; 18. გრძელი ჭოკი, რომლითაც თოკზე მოსიარულე ჯამბაზი წონასწორობას იცავს; 22. საქონელზე ფასის დაკლება უხარისხობის გამო; 23. ძვირფასბეწვიან ცხოველებზე მონადირე პროფესიონალი ჩრდილო ამერიკაში; 24. რაიმე ღონისძიების დამფინანსებელი; 25. შვეციის პარლამენტი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## თავისუფლების ქანდაკებამ ჩირაღდანი ისევ აანთო

ქარიშხალ „სენდიდან“ 10 დღის შემდეგ ნიუ იორკში ცნობილმა თავისუფლების ქანდაკებამ ჩირაღდანი ისევ აანთო. თავისუფლების ქანდაკება, რომელიც ძალიან პოპულარულია მეგაპოლისის სტუმრებს შორის, ნიუ იორკის ერთ-ერთ კუნძულზე დგას. როგორც ამერიკელები ამბობენ, სწორედ ის ხვდება პირველი ამერიკაში ოკეანიდან მოსულ სტუმრებს, ის ხვდებოდა პირველ ევროპელ ემიგრანტებს. ოქტომბერში ქალაქის მთავრობამ ქანდაკების რესტავრაცია დაიწყო და სწორედ ქარიშხლის წინა დღეს მოხდა მისი საზეიმო გახსნა, ქანდაკებაზე ასასვლელ კიბეს რამდენიმე საფეხური დაემატა, გარემონტდა ლიფტიც. ნიუიორკელებს იმედი აქვთ, რომ ამჯერად თავისუფლების ქანდაკებაზე ჩირაღდანი დიდი ხანი აღარ ჩაქრება.



თავისუფლება მსოფლიოს განმანათლებელი, უკეთ ცნობილი, როგორც თავისუფლების ქანდაკება, 1885 წელს საფრანგეთის მიერ აშშ-სთვის ნაბოძები მონუმენტია, რომელიც ლიბერთი-აილენდზე (თავისუფლების კუნძული) მდებარეობს ნიუ იორკის უბეში, მდინარე ჰუძონის შესართავთან, ამერიკაში ჩამოსულთათვის კეთილმოყვარეობის გამოხატვის ნიშნით. სპილენძის ქანდაკება, რომელიც 1886 წლის 28 ოქტომბერს გაიხსნა, აშშ-ის ასი წლისთავს მიეძღვნა და ამ ორ ერს შორის მეგობრობის გამოხატვის ჟესტი იყო.

ქანდაკების სკულპტორი იყო ფრედერიკ ოგიუსტ ბარტოლდი. ალექსანდრე გუსტავ ეიფელმა მონუმენტის შიდა სტრუქტურა დააპროექტა. იუჟინ-დე-დუკი იყო სპილენძის შერჩევაზე პასუხისმგებელი. ამჟამად თავისუფლების ქანდაკება აშშ-ის ყველაზე ცნობილი სიმბოლოა და, უფრო ვრცელი მნიშვნელობით, ჩაგვრისგან გათავისუფლებას აღნიშნავს. მისი დადგმის დღიდან თვითმფრინავის ერამდე ეს იყო პირველი ნიშანი, რომელსაც აშშ-ში ჩამოსული მილიონობით ემიგრანტი ხედავდა ევროპიდან ოკეანის გადმოჭრის შემდეგ. მოქანდაკეებმა თავისუფლების ქანდაკებისთვის შთაგონებად როდოსის კოლოსი გამოიყენეს.

1984 წლიდან ქანდაკება შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში

მოამზადა გვრა მამულაშვილმა

## ფაჩულია სასტარტო ხუთეულში ისევ გამოჩნდა



„ატლანტა ჰოუქსის“ მწვრთნელი დრიუ გუდენი ექსპერიმენტებს განაგრძობს. ერთმატჩიანი შესვენების შემდეგ მან სასტარტო ხუთეულში დააბრუნა ზაზა ფაჩულია. თავიდანვე იყო მოედანზე ატლანტელთა ცენტრი ალ ჰორფორდიც, რაც იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელი 2 ცენტრით თამაშის გზებს ეძებს. სამწუხაროდ, „კლიპერსთან“ მატჩში ამან არ გაამართლა. ატლანტელები ლოს ანჯელესში 76:89 დამარცხდნენ.

ზაზამ 5-დან 2 ჩააგდო, რასაც 2-დან 1 საჯარიმო მოაყოლა და საბოლოოდ 5 ქულა დააგროვა, რასაც 6 მოხსნა და 1 დაფარება მიაყოლა, ბურთი კი 4-ჯერ დაკარგა.

ატლანტელებს 5 მატჩიდან 2 გამარჯვება აქვთ და ამ შედეგით აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-10 ადგილზე იმყოფებიან.

5-დან 3 გამარჯვებით მე-5 ადგილზეა თორნიკე შენგელიას „ბრუკლინი“, რომელმაც „ორლანდოს“ უმასპინძლა და 82:74 დაამარცხა. ქართველი ფორვარდი სათადარიგო იყო და მოედანზე არ გამოჩენილა. მ. ჟ.

## ელისო ბოლქვაძე პოდიუმზე გამოვა



ეკა ირემაშვილი

მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ბოლქვაძე სულ მალე ქართველ საზოგადოებას უჩვეულო ამპლუაში მოევლინება. პიანისტი მოდელის იმიჯს მოირგებს და ლიკა ყაზბეგის მიერ მოწყობილ ჩვენებაში „წარმატებული ქალი პოდიუმზე“ მიიღებს მონაწილეობას. მიუხედავად გადატვირთული საგასტროლო გრაფიკისა, ქართველმა პიანისტმა თავად გამოთქვა სურვილი, ლიკა ყაზბეგის პროექტში ეცადა ბედი. როგორც ჩვენების ავტორი აღნიშნავს, მას სჯერა, რომ მუსიკალურ სამყაროში წარმატებული და პოპულარული პიანისტი პოდიუმზეც ისეთივე ფურორს მოახდენს, როგორც მსოფლიოს წამყვან საკონცერტო დარბაზებში.

ელისო ბოლქვაძე მაქსიმალურად ცდილობს ახლოს იყოს სამშობლოსთან, ხშირად ჩამოვიდეს საქართველოში და მის გულისცემას ყური დაუგდოს. ზაფხულში პიანისტი საპატიო სტუმრის მისიით ესტუმრა ბათუმს, სადაც მონაწილეობა მიიღო საპრეზენტაციო ფესტივალში „ბათუმის ზაფხულის ფესტივალი“. თუკი აქამდე ელისო ბოლქვაძე ნიჭიერ ქართველ პიანისტებს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის საშუალებით ეხმარებოდა და სასწავლებლად აგზავნიდა მათ მსოფლიოს წამყვან მუსიკალურ სასწავლებლებში, ამჯერად ხელოვანს უკვე საკუთარი საქველმოქმედო ფონდი აქვს და უფრო ხელგაშლილია ნიჭიერი მოზარდების დახმარების საქმეში და აი, ამდენი მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საქმის პარალელურად, ელისო ბოლქვაძემ გადაწყვეტილება მიიღო, მოდელობა დაიწყოს და თავი-

გაგრძელება მე-8 გვერდზე